ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 ოქტომბერი პარასკევი 2013
№252 (14 168) ფასი 80 თეთრი



2

## კანკავას მეოთხე სიმბოლური



2

# ყენია ფორტუნას ხელს უშლის?



# ფორტუნა იგებს, როცა ჩვენებური არ თამაშობს

შეცვლის ტაქტიკას ქართველის გამო დიუსელდორფი?

2

# სპარტაკს ანანიძე არ უნდა...

ჯერჯერობით



მერაბ ჟორდანია



ალექსანდრ ჩიგირინსკი

2

# ვიტესში ისევ ქართულად ლაპარაკობენ

ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაცია უკმაყოფილოა

16

# ფაჩულია შინაურულად



UEFA EUROPA LEAGUE

## შედეგები სტატისტიკა

10

## ანონსი ხვალ ლელოში



როგორ შეარცხვინა სარფელმა ლაზმა მეთევზე იბრაჰიმ მემიშიშიმ ცნობილი ინგლისელი ძალოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი გარიგების გარშემო

# ვიტესის ახალი მეპატრონეც ქართულად ლაპარაკობს

## ჰოლანდიის საფეხბურთო ასოციაცია უკმაყოფილოა...

ბოლო რამდენიმე დღეა, **მერაბ ჟორდანიას** მიერ არნემის „ვიტესის" აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვა აქტუალური თემა გახდა საქართველოში, ჰოლანდიასა და რუსეთში. ცნობილია, რომ ჟორდანია 50 წლის რუსმა ბიზნესმენმა **ალექსანდრ ჩიგირინსკიმ** ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელი 2010 წლიდან ჟორდანიას ფინანსური პარტნიორი და „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩის** ახლო მეგობარია.

„ლელოში" უკვე იყო ინფორმაცია, რომ ჩიგირინსკი ქუთაისში დაბადებული ებრაელია. დამატებით შევიტყვეთ, რომ მას ყოველთვის ჰქონდა ქართველებთან კავშირი და დღემდე კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს. მეტიც - ვიცით, რომ სწორედ მან გააცნო ჟორდანია აბრამოვიჩს. და რაც არანაკლებ საინტერესოა, „ვიტესის" ახალი მეპატრონეც ქართულად ლაპარაკობს. მან ქუთაისის მე-10 რუსული საშუალო სკოლა დაამთავრა, რომელიც ებრაელების უბნად წოდებულ „შაუმიანზე" მდებარეობს. მერე ჩიგირინსკი სოხუმში დასახლდა, იქიდან კი რუსეთში გადავიდა, ააწყო საქმე და აბრამოვიჩს დაუახლოვდა.

„ვიტესში" აბრამოვიჩის ფულიც რომ იყო, ბევრისთვის ეს საკამათო არ არის. ყველას ახსოვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადაყენებულ ჟორდანიას სერიოზული ფინანსური პრობლემები რომ ჰქონდა. არსებობს ვერსია, რომ ქართული ფეხბურთის ყოფილ მალალჩინოსანს ფეხზე დადგომაში სწორედ აბრამოვიჩი დაეხმარა.

ჟორდანიასა და „ვიტესის" ირგვლივ ბოლო ამბავი ასეთია - არნემული კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვით, თურმე, უკმაყოფილო დარჩა ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაცია. ჰოლანდიური გამოცემა „დე ტელეგრააფის" ცნობით, უკმაყოფილების მიზეზი ის არის, რომ საფეხბურთო ასოციაციას გარიგების დეტალები არ აცნობეს.

„ჩვენი ასოციაციის პრიორიტეტი საფეხბურთო კლუბების დამოუკიდებლობაა. „ვიტესს" არანაირი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია საიმისოდ, რომ კლუბის ახალი აქციონერის ბიოგრაფია, გავცნობოდით", - წერია ასოციაციის განცხადებაში.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



ჯანო ანანიძე

# სპარტაკი ანანიძეს არ დაიბრუნებს

მოსკოვის „სპარტაკის" ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, „როსტოვში" იჯარით გასხვისებული **ჯანო ანანიძე** ზამთრის პერიოდში უკან არ დაიბრუნოს. მოსკოვურმა კლუბმა ჯანო და ფორვარდი **არტიომ ძიუბა** „როსტოვს" ერთი სეზონით ათხოვა, თუმცა ხელშეკრულების მიხედვით, „სპარტაკს" ზამთრის შეკრებისთვის 21 წლის ქართველის უკან დაბრუნების უფლება ჰქონდა. ახლა გაირკვა, რომ ამ უფლებას კლუბი არ გამოიყენებს.

ანანიძე სეზონს „როსტოვში" დაასრულებს და მას სათამაშო პრაქტიკის პრობლემა არ ექნება. შეგახსენებთ, რომ „როსტოვის" ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში ჯანომ თავად გამოთქვა „როსტოვში" დარჩენის სურვილი და აღნიშნა - „სპარტაკის" ხელმძღვანელობას თავად ვთხოვ, ზამთარში არ დამაბრუნონო.

არც ძიუბა ინვის მოსკოვში დაბრუნების სურვილით. მეტიც, რუსეთის ნაკრების ფორვარდს სეზონის მერე „სპარტაკიდან" აზარგება აქვს გადაწყვეტილი.

# კობი საბაიერნოდ მზად იქნება

36 წლის **ლევან კობიაშვილმა** წინა ტურში ბუნდესლიგაში ითამაშა და თავი კარგადაც წარმოაჩინა. თუმცა, „ბერლინერ ცაიტუნგის" ინფორმაციით, ჩვენებურმა ტრავმა მიიღო, ოღონდ, ის არ აღმოჩნდა სერიოზული და ქართველი ლეგიონერი ოთხშაბათს უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. ასე რომ, 26 ოქტომბერს, ბუნდესლიგის X ტურში, ლევანს თამაში შეეძლება. „ჰერტას" კი უსერიოზულესი მეტოქე ჰყავს - „ალიანს არენაზე" „ბაიერნს" ესტუმრება. „კიკერი" სასტარტოში **თოლგა ჩიგერჩის** დაყენებას ვარაუდობს, თუმცა იქვე განმარტებულია, რომ შესაძლოა, მისი ადგილი ნახევარდაცვაში კობიაშვილმა დაიკავოს.

# ყენიამ ვარჯიში განაახლა, თუმცა...

დიუსელდორფის „ფორტუნას" 23 წლის ნახევარმცველმა **ლევან ყენიამ** ტრავმა მოირჩინა და სრულყოფილ ვარჯიშს შეუდგა. შაბათს „ფორტუნას" მეტოქე „პადერბორნია". ყენიას არყოფნაში დიუსელდორფელებმა უკანასკნელ 390 დღეში პირველი საგარეო გამარჯვება იზეიმეს (ინგოლშტადტში).

„მაიკ ბიუსკენსმა გუნდი კლასიკური გამთამაშებლით არ ათამაშა და ამან შედეგი მოიტანა. ბევრის თქმით, „ფორტუნა" ყენიას გარეშე უკეთ თამაშობს, ეს კი ცუდი ამბავია ქართველი ნახევარმცველისთვის", - წერს გერმანული „ექსპრესი".

*„კარგად ვიცი, რომ ჩემი თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებს. იმავეს ვიტყვი ვარჯიშებზეც, სწორედ ამის შესახებ მესაუბრა მწვრთნელი გახსნილად"*, - განაცხადა ქართველმა.

ბიუსკენსს მოსწონს ყენიას დამოკიდებულება საკითხისადმი და აღნიშნავს, რომ ტაქტიკური სისტემები ხშირად იცვლება. ასე რომ, ყენიას შანსი ისევ მიეცემა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კანკავა სამჯერ, კანკავა ოთხჯერ...

**ჯაბა კანკავა** ჩინებულ სეზონს ატარებს. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და „დნიპროს" ერთ-ერთმა ლიდერმა უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში შეუცვლელად ითამაშა - დნეპროპეტროვსკელებმა „კარპატი" გასვლაზე 4:0 დაამარცხეს.

უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა „ფუტბოლმა" ჯაბას შეფასებად 6.5 დაუწერა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მიუჩინა ადგილი. აღსანიშნავია, რომ კანკავამ მეტოქეებს ბურთი 8-ჯერ აართვა და ტურში ამითიც გამორჩეული აღმოჩნდა - მეტი ვერავინ მოახერხა, ხოლო ზუსტად ამდენივე ართმევა ოდესის „ჩერნომორეცის" საყრდენ **არტიომ სტარგოროდსკისა** და უჟგოროდის „ჰოვერლა-ზაკარპატიეს" ნახევარმცველ **სოტირიოს ბალაფასს** ჰქონდათ.



ჯაბა კანკავა

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში (უკრაინის პრემიერლიგაში 13 ტური გაიმართა), „ფუტბოლმა" „დნიპროს" ქართველი ლეგიონერი სიმბოლურ ნაკრებში უკვე მეოთხედ შეიყვანა, „უა-ფუტბოლმა" კი - სამჯერ.

კანკავასთვის ეს სეზონი რომ გამორჩეულია, ამას უკრაინელი სპეციალისტებიც აღნიშნავენ. გარდა ზემოთქმულისა, „დნიპროს" ვებგვერდზე ქართველი პირველ ადგილზეა გულშემატკივართა გამოკითხვაში, რომლის მიზანიც „სეზონის გმირის" გამოვლენაა. კანკავას საშუალო რეიტინგი 8.0 ქულაა. ეს პატარა ამბავი არ არის, რადგან „დნიპრო" უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი საბაზო გუნდია და ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ მისი გულშემატკივრები ადგილობრივი ფეხბურთელის მიმართ ყოველთვის მეტი სიმპათიით არიან განწყობილი. ამ დროს კი, უკრაინის ნაკრების მოთამაშეები და „დნიპროს" ქომაგთა ფავორიტები კანკავას ჩამორჩებიან: მეორე-მესამე ადგილებს **ევგენი კონოპლიანკა** და **რუსლან როტანი** (მათი საშუალო შეფასებაა 7.8) იყოფენ, ხოლო მათ შემდეგ **რომან ზოზულია** და **ევგენი სელეზნიოვი** (ორივეს - 7.7) მოდიან.

ეგ არის, რომ კანკავას წარმატებულ საკლუბო სეზონს საქართველოს ნაკრები აუფერულებს. ისე კი, ვფიქრობთ, ასეთი საყრდენი ნახევარმცველის გარშემო გაცილებით ძლიერი გუნდის აწყობა შეიძლებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ოქრიაშვილი ზამთრამდე მოიცდის

მარიუპოლის „ილიჩივეცის" მთავარი მწვრთნელი **ნიკოლაი პავლოვი** ორმხრივ თამაშებს ატარებს და ამ გზით შემადგენლობაში კონკურენციას ზრდის. ახლაც, უკრაინის ჩემპიონატის ტურიდან ორ დღეში გუნდი ორად გაჰყო და სპარინგი გამართა - „წითლები", რომელთა შორისაც **დავით თარგამაძე** თამაშობდა, „მწვანეებთან" 0:2 დამარცხდნენ. საქართველოს ნაკრების შემტევმა საწვრთნელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. მოედანზე არ ყოფილა **თორნიკე ოქრიაშვილი**. მან დონეცკის „შახტართან" შეხვედრაც გამოტოვა. ოქრიაშვილმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ „ილიჩივეციდან" წასვლა სურს. ეტყობა, სწორედ ეს უნდა იყოს მისი უთამაშებლობის მიზეზი:

*„მარიუპოლში თავს კარგად ვერ ვგრძნობ. სიტუაციას ვერ ვეგუები და ვერ ვთამაშობ ისე, როგორც მინდა - შემტევ ფეხბურთს ვერ ვაბამთ თავს. ისევ დონეცკის „შახტარში" რომ ვიყო, დარჩენის დიდი სურვილი მექნებოდა. „ილიჩივეცი" კი არ მომწონს და სხვა გუნდებისგან ველოდები შემოთავაზებას. ზამთრამდე მოვითმენ და მერე ალბათ რაღაც გამოჩნდება. ვეძებ კლუბს, რომელშიც ჩემს შესაძლებლობებს 100 პროცენტით გამოვავლენ. შეთავაზებები მაქვს საფრანგეთის, ჰოლანდიისა და რუსეთის კლუბებიდან".*

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი ოქრიაშვილი

მერანი



კახა ჩხეტიანი — ნინო გელაშვილის ფოტო

# კახა ჩხეტიანი: ზამთარში გავძლიერდებით

**როგორც იცით, მარტვილის „მერანს" ახალი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. გუნდის მთავარ მწვრთნელად 35 წლის კახა ჩხეტიანი დაინიშნა. მასთან ერთად იმუშავებენ დავით ჯანაშია (ასისტენტი) და დავით მამარდაშვილი (მეკარეების მწვრთნელი). მათი დებიუტი წარუმატებელი გამოდგა - „მერანმა" რუსთავში 1:6 წააგო და ცხრილში მნიშვნელოვნად ჩამოქვეითდა.**

**„ლელომ" ჩხეტიანს რამდენიმე კითხვა დაუსვა...**

**- „მერანში" როგორ აღმოჩნდით?**

- სამწვრთნელო შტაბში მომხდარი ცვლილებების შემდეგ კლუბის დირექტორი ელდერ ბაკურია დამიკავშირდა და თანამშრომლობა შემომთავაზა. მეც დავთანხმდი და დღეს აქ ვარ.

**- კონტრაქტი რამდენწლიანია?**

- სამწლიანი. იმედია, ამ პერიოდში ჩემი მუშაობა ნაყოფიერი იქნება. მინდა, ყოველი წელი წინასთან შედარებით უკეთესი იყოს.

**- რით ახსნიდით „მეტალურგთან" დიდი ანგარიშით მარცხს?**

- თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ასეთი დიდი ანგარიშით მარცხს არ ვიმსახურებდით. საწყის წუთებში დაშვებულმა ბავშვურმა შეცდომებმა წელში გადაგვტეხა და თამაშის გადარჩენის ყოველგვარი შანსი დაგვიკარგა. თუმცა კიჟი მელიავას მეორე ყვითელი ბარათი რომ არ მიეღო, შეიძლება, მატჩი სხვა შედეგით დამთავრებულიყო. ამას გარდა, ცუდი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი ტრავმებიცაა. „მეტალურგთან" ძირითადი შემადგენლობის 5 ფეხბურთელი გვაკლდა - აკაკი შულაია, ლაშა კუჭუხიძე, გელა ხუბუა, გიორგი მელქაძე და გიორგი ლობჟანიძე გუნდის წამყვან მოთამაშეებად მოიაზრებიან. ამის მიუხედავად, რასაკვირველია, „მეტალურგთან" მარცხი დამაფიქრებელია, თუმცა კატასტროფა ნამდვილად არ არის. თამაში ერთად გავარჩიეთ და ანალიზიც გავაკეთეთ. გუნდში ახალი მოსული ვარ და ეს დრო საკმარისი არ არის იმისთვის, რომ გუნდი ათამაშდეს. ყველაფერს რეალურად ვუყურებთ და მჯერა, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

**- ტრამვები სერიოზულია?**

- შულაიამ, კუჭუხიძემ და ხუბუამ უკვე დაიწყეს ვარჯიში. სავარაუდოდ, ისინი „ზესტაფონთან" უახლოეს მატჩში განაცხადში იქნებიან.

**- ყველაზე მეტად რომელ კომპონენტში გესაჭიროებათ გაუმჯობესება?**

- საკმაოდ ბევრ დეტალზე გვმართებს მუშაობა. ამათგან ყველაზე თვალშისაცემი - საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი პროცენტია. „მეტალურგთან", ფაქტობრივად, ჩავარდა დაცვის ხაზიც. ზამთრის სატრანსფერო პერიოდს ნაყოფიერად გამოვიყენებთ და რამდენიმე ფეხბურთელსაც დავიმატებთ.

**- უახლოეს მატჩზე რას იტყვით?**

- „ზესტაფონს" ვეთამაშებით, რაც ნებისმიერი გუნდისთვის რთულია. ვეცდებით, მეტოქეს არაფერი დავუთმოთ და სამი ქულა მოვიპოვოთ. განწყობა საბრძოლო და ოპტიმისტურია.

**- რა არის ამ სეზონში „მერანის" მიზანი?**

- საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა, რისთვისაც ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. პროგრამა მინიმუმი კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა.

**- სამტრედიაში რომ ატარებთ ვარჯიშებს, ეს ხელისშემშლელი ფაქტორი ხომ არ არის?**

- რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, როცა ვარჯიშებსა თუ თამაშებს სხვა რაიონში ატარებ, თუმცა სხვა გზა არ გვაქვს. მარტვილის ცენტრალურ სტადიონს ლიცენზია არ აქვს და ეს ძალიან ცუდია. ისე კი, დაპირებები არის, ფედერაციიდანაც იყვნენ და წესით ახლო მომავალში მოედნის პრობლემა უნდა მოგვარდეს. სხვათა შორის, დაჩქარებულად მიდის რაიონის ცენტრში „მერანის" სასტუმროს მშენებლობა.

**ბესიკ გვაზავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● U19. მოსამზადებელი ეტაპის წინ

## ვასილ მაისურაძე:

# უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე რთულადაა



ვასილ მაისურაძე

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის ემზადება. 13-დან 18 ნოემბრამდე თბილისი კვლავ უმასპინძლებს მინისაკვალიფიკაციო ტურნირს, რომელშიც ჩვენი მეტოქეები ჰოლანდია, მოლდოვა და უელსი იქნებიან. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ რჩეულები ოქტომბერში შეკრიბა და სერბეთთან გორში ორი ამხანაგური მატჩი (1:1, 4:4) ათამაშა.**

**მაისურაძეს სწორედ მოსამზადებელი ეტაპის მიმდინარეობაზე ვესაუბრეთ.**

**- შეკრებაზე როდიდან გადადიხართ?**

- 4 ნოემბერს სასტუმრო „ბომონდ გარდენში" შევიკრიბებით და დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს დავიწყებთ. შეკრება ხანმოკლეა, სულ 9-დღიანი, და იმედია, კლუბები ფეხბურთელებს უპრობლემოდ გამოუშვებენ.

**- შესარჩევ ეტაპამდე საკონტროლო შეხვედრას არ გეგმავთ?**

- სამწუხაროდ, ვერ ვითამაშებთ.

**- რატომ?**

- ჩვენი ფეხბურთელების დიდი ნაწილი პირველ ლიგაში თამაშობს, სადაც 3 და 5 ნოემბერს ტურის მატჩებია დაგეგმილი. 13 ნოემბერს კი პირველი მატჩი გვაქვს და არ გვინდა, ფეხბურთელები ზედმეტად დავტვირთოთ.

**- ეს გუნდი იმ ასაკის მოთამაშეებისგან დაკომპლექტდა, რომლებმაც 2012 წელს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე თქვენი ხელმძღვანელობით ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს...**

- ბირთვი იგივეა, 1995 წელს დაბადებული ჭაბუკები გვყავს. ამას გარდა, ერთი წლით უმცროსი რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშეც დავიმატეთ. აქვე ვიტყვი, რომ განაცხადში ადგილი გარანტირებული არავის აქვს.

**- საბოლოო განაცხადს როდის გამოაქვეყნებთ?**

- უახლოეს პერიოდში.

**- ბოლო შეკრებაზე გამოძახებულთა შორის, ევროპის ჩემპიონატზე ნათამაშები ბევრი ფეხბურთელი აღარ იყო. რა იყო ამის მიზეზი?**

- სამწუხაროდ, ზოგიერთმა ფეხბურთელმა მას მერე ვერ მოუმატა ისე, როგორც გვსურდა და როგორც 19-წლამდელთა დონეს შეეფერება. საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენს ფეხბურთში საქმე რთულადაა.

**-რატომ? წარმატება თავში აუვარდათ, შრომა ეზარებათ თუ რამე სხვა მიზეზია?**

- უმრავლესობას შრომა არ ეზარება, მაგრამ მიზეზი სხვა რამ არის და წესით, ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს - ჩვენი ჩემპიონატის დონე. ფეხბურთელი სწორედ საკუთარ ჩემპიონატში უნდა გაიზარდოს, მაგრამ მითხარით - როგორ, რა პირობებში? ჩვენი მეტოქე ჰოლანდიელები „ფეიენოორდში", „აიაქსსა" და „პსვ ეინდჰოვენში" რომ თამაშობენ, აქეთ მხარეს კი საქართველოს პირველი ლიგის კლუბების მოთამაშეები არიან. ისინი ცდილობენ, მოუმატონ, განვითარდნენ, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. პირველ ლიგაში თამაში ნამდვილად არ არის სათაკილო, მაგრამ ჩვენს ბავშვებს არ აქვთ ის პირობები, როგორიც - ჰოლანდიელებს და იმ გუნდის მოთამაშეებს, რომლებიც 2012 წელს სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე და მანამდე დავამარცხეთ. ეს ფეხბურთელების განვითარებაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს. თუმცა, იმედია, ამ სამი შეხვედრისთვის ყველა მოთამაშე მწყობრში იქნება, შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენთ და პირველ შესარჩევ ეტაპს გადავლახავთ.

### შესარჩევი მატჩების განრიგი

**13 ნოემბერი**

ჰოლანდია-მოლდოვა
საქართველო-უელსი

**15 ნოემბერი**

ჰოლანდია-უელსი
საქართველო-მოლდოვა

**18 ნოემბერი**

მოლდოვა-უელსი
საქართველო-ჰოლანდია

მერაბ მამულაშვილი

## I ლიგა

### IX ტური. A ზონა

| | |
|---|---|
| ალგეთი-გაგრა | 1:0 |
| კოლხეთი (ფ)-საპოვნელა | 4:1 |
| მეშახტე-ჩხერიმელა | 3:3 |
| კახეთი-შუქურა | 2:2 |
| იმერეთი-ადელი | 2:2 |
| მერცხალი-დინამო 2 (ბთ) | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 8 | 7 | 0 | 1 | 18-3 | 21 |
| 2. ალგეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 12-4 | 19 |
| 3. შუქურა | 8 | 5 | 2 | 1 | 22-10 | 17 |
| 4. საპოვნელა | 8 | 5 | 1 | 2 | 13-6 | 16 |
| 5. გაგრა | 9 | 4 | 3 | 2 | 19-10 | 15 |
| 6. მეშახტე | 8 | 4 | 2 | 2 | 19-13 | 14 |
| 6. დინამო 2 (ბთ) | 8 | 3 | 1 | 4 | 13-10 | 10 |
| 8. სქური | 8 | 3 | 0 | 5 | 8-13 | 9 |
| 9. ჩხერიმელა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 10. ადელი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-23 | 7 |
| 11. კახეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-17 | 7 |
| 12. იმერეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-17 | 6 |
| 13. მერცხალი | 7 | 0 | 1 | 6 | 6-17 | 1 |

## II ლიგა

### VII ტური. აღმოსავლეთი ზონა

| | |
|---|---|
| აბული-სასკო 2 | 3:1 |
| მარკ სტარი-ლიახვი | 1:2 |
| იბერია-დინამო (სხ) | 1:3 |
| რუსთავი-ფორვარდი | 1:2 |
| გოლიადორი-ალაზანი | 7:2 |
| საქ. უნივერსიტეტი-ბორჯომი | 1:2 |
| დურუჯი-ივერია | 0:1 |
| ივერიონი-არაგვი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 7 | 6 | 1 | 0 | 22-3 | 19 |
| 2. ლიახვი | 7 | 5 | 2 | 0 | 17-5 | 17 |
| 3. ივერია | 7 | 5 | 1 | 1 | 20-10 | 16 |
| 4. მარკ სტარი | 7 | 5 | 1 | 1 | 27-7 | 15 |
| 5. საქ. უნივერს. | 7 | 5 | 0 | 2 | 26-9 | 15 |
| 6. გოლიადორი | 7 | 5 | 0 | 2 | 23-14 | 15 |
| 7. ივერიონი | 7 | 2 | 4 | 1 | 12-9 | 10 |
| 8. არაგვი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-13 | 9 |
| 9. ალაზანი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-16 | 8 |
| 10. დურუჯი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 7 |
| 11. დინამო (სხ) | 7 | 2 | 1 | 4 | 8-20 | 7 |
| 12. იბერია | 7 | 2 | 1 | 4 | 9-26 | 7 |
| 13. რუსთავი | 7 | 2 | 0 | 5 | 11-24 | 6 |
| 14. აბული | 7 | 1 | 1 | 5 | 6-14 | 4 |
| 15. ფორვარდი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-17 | 4 |
| 16. სასკო | 7 | 0 | 0 | 7 | 4-22 | 0 |

### VIII ტური. დასავლეთი ზონა

| | |
|---|---|
| მერცხალი 2-ქუთაისი | 0:6 |
| საირმე-ლაზიკა | 0:2 |
| ეგრისი-სამეგრელო | 5:0 |
| დინამო 2 (ბთ)-კოლხეთი 2 (ფ) | 4:1 |
| მარგვეთი-საპოვნელა 2 | 5:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 7 | 6 | 1 | 0 | 18-0 | 19 |
| 2. მარგვეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 20-12 | 16 |
| 3. ეგრისი | 7 | 5 | 0 | 2 | 17-7 | 15 |
| 4. რაჭა | 7 | 5 | 0 | 2 | 15-12 | 15 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 7 | 4 | 1 | 2 | 13-7 | 13 |
| 6. ქუთაისი | 7 | 4 | 0 | 3 | 20-14 | 12 |
| 7. კოლხეთი 2 (ფ) | 8 | 4 | 0 | 4 | 15-17 | 12 |
| 8. საპოვნელა | 8 | 3 | 1 | 4 | 18-20 | 10 |
| 9. საირმე | 8 | 3 | 0 | 5 | 14-18 | 9 |
| 10. კოლხეთი 2 (ხ) | 7 | 2 | 1 | 4 | 12-12 | 7 |
| 11. შუქურა 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 12. მერცხალი 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 4-23 | 1 |
| 13. სამეგრელო | 7 | 0 | 1 | 6 | 2-23 | 1 |

# ლორიას 150



**შაბათს, 26 ოქტომბერს ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეული მატჩი გველოდება: გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი თბილისის „დინამო" უახლოეს მდევარს და საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე პრინციპულ მეტოქეს ქუთაისის „ტორპედოს" დაუპირისპირდება. რიგით 56-ე „ქართული კლასიკო" სხვა რამითაც უნდა იყოს გამორჩეული: ბოლო წლების საუკეთესო ქართველი მეკარე გიორგი ლორია თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონატში საიუბილეო, 150-ე შეხვედრას ჩაატარებს!**

...მეხუთე სეზონია, **გიორგი ლორია** თბილისის „დინამოს" შეუცვლელი მეკარე და საერთოდ, ერთ-ერთი ლიდერია; არც ის დაგვავიწყდეს, რომ, როგორც ორი დღის წინათ „ლელო" წერდა, საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელები სწორედ გიორგი ლორია და მისი თანაგუნდელი, **გიორგი მერებაშვილი** არიან - ორივეს სატრანსფერო ღირებულება მილიონ ევროს შეადგენს!

გიორგი ლორია დღესდღეობით 27 წლის გახლავთ; ეს კი მეკარისათვის მართლაც იდეალური ასაკია და იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე მეკარეს წინ არაერთი გამორჩეული სეზონი ელოდება საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე. ჰო, ნაკრებზე ხომ არაფერი გვითქვამს: ჩვენს უპირველეს გუნდში დებიუტი კი 2008 წელს ჰქონდა, თუმცა, ძირითადი მეკარის „სტატუსი" 2010 წლიდან ერგო, როცა საქართველოს ნაკრები **თემურ ქეცბაიამ** ჩაიბარა.

...თითქმის ორი მეტრი სიმაღლის პერსპექტიული მეკარე დიდხანს ელოდა თავის შანსს: ხუთი სეზონის განმავლობაში „დინამო 2"-ში თამაშობდა და რაც შეეხება ძირითად გუნდს, იქ კი ეპიზოდურად უწევდა ასპარეზობა. **ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე, ზვიად სტურუა, კუნეგატო, სოსო გრიშიკაშვილი** და ბოლოს, **დიდიე ოვონო** - 2004-დან 2009 წლამდე სწორედ ესენი მიიჩნეოდნენ თბილისის „დინამოს" ძირითად მეკარეებად და ამ პერიოდში ლორიას ეპიზოდურად თუ უწევდა ხოლმე მოედანზე გამოჩენა.

სხვათა შორის, ლორიას შესაშურ ფიზიკურ მონაცემებს საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებიც „ვერ ამჩნევდნენ" - საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებში, თუ არ ვცდებით, არც ერთხელ არ უთამაშია! ეგ კი არა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ორადორი მატჩი აქვს ჩატარებული: 2006 წლის გაზაფხულზე **რალფ მინგე** ენდო ალბანელი ახალგაზრდების წინააღმდეგ და ერთი წლის შემდეგ **პეტარ შეგრტმა** ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში ძირითადში დააყენა. ეს არის და ეს, თუმცა ახალგაზრდა მეკარე შანსს მოთმინებით ელოდა „დინამო 2-ში" დაუღალავი ვარჯიშით...

სხვათა შორის, 2005-06 წლებში **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამო 2" ერთობ საინტერესო გუნდი იყო და გიორგი ლორიას გარდა ბევრი ისეთი ფეხბურთელიც თამაშობდა, შემდგომში „დინამოსა" თუ სხვა კლუბებში რომ დაიმკვიდრეს ადგილი: **გურამ კაშია, მათე ვაწაძე, სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, ლადო დვალიშვილი, შოთა გრიგალაშვილი, უჩა ლობჟანიძე, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ნავალოვსკი, ირაკლი ჩირიკაშვილი, დავით თარგამაძე, გულვერდ თომაშვილი** და სხვები.

2006 წლის ზაფხულში კი კახა კაჭარავა თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და იმ დროისათვის 20 წლის გიორგი ლორიაც მთავარი გუნდის ძირითად მეკარედ დაანინაურა. თუმცა, მერე „დინამოში" სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა და კაჭარავას ნაცვლად მოსულმა **დუშან უჰრინმა** (უფროსმა) ძირითად მეკარედ გამოცდილი **სოსო გრიშიკაშვილი** დააყენა.

სიტუაცია არც მომდევნო ორ სეზონში შეცვლილა. მით უფრო, რომ „დინამოში" დიდიე ოვონო ჩაირიცხა და უფროსი-უჰრინიც და მისი შემცვლელი, გერმანელი სპეციალისტი **რაინერ ცობელიც** უპირატესობას გაბონის ნაკრების მეკარეს ანიჭებდნენ. თუმცა, 2008-09 წლების სეზონის მიწურული ლორიას კარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდა: „დინამოს" მთავარ მწვრთნელად მობრუნებულმა კახა კაჭარავამ ჩემპიონატის დასკვნით ორ მატჩშიც ლორიას ანდო ძირითადში ადგილი და, რაც მთავარია, რუსთავის „ოლიმპთან" ფინალურ მატჩშიც! ჰოდა, ლორიამაც ეს ნდობა სრულიად გაამართლა და თავისი პირველი ტიტულის მოგების შემდეგ (2009 წლის 30 მაისი) უკვე ოთხწელიწად-ნახევარია „დინამოს" შეუცვლელი ფეხბურთელია!

...2008 წლის 27 მაისს გიორგი ლორიამ სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში: ნაკრების დროებითმა თავკაცმა პეტარ შეგრტმა ესტონელების წინააღმდეგ ანდო კარში ადგილი. ამას ოთხ დღეში პორტუგალიის წინააღმდეგ კვლავაც ძირითადში თამაში მოჰყვა, მალე კი ჩვენს ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს - **ჰექტორ კუპერი** და ცნობილმა არგენტინელმა სპეციალისტმაც არჩევანი სწორედ ლორიაზე შეაჩერა.

კუპერის ხელმძღვანელობით ლორიამ ამხანაგური მატჩი ჩაატარა უელსთან, შემდეგ კი ოთხდღიან ინტერვალში, ჩვენმა ნაკრებმა ორი ოფიციალური შეხვედრა რომ წააგო ირლანდიასთან (1:2) და იტალიასთან (0:2), ბევრის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი... ლორიას შეცდომები იყო. არადა, ლორიას იმ დროისათვის კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა (2008 წლის ზაფხულში, ევროტურნირებზე „დინამოს" კარს დიდიე ოვონო იცავდა) და ნაკრების ოფიციალურ მატჩებში, შესაძლოა, ამიტომაც აკლდა დამაჯერებლობა.

თუმცა, ლორიამ 2008-09 სეზონის ბოლოს ჯერ „დინამოში" შეძლო ძირითადი მეკარის „სტატუსის" დაბრუნება, ხოლო 2010 წლის ზაფხულიდან საქართველოს ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. უფრო ზუსტად, არანაკლებ ნიჭიერ კოლეგასთან, **ნუკრი რევიშვილთან** ჯანსაღი კონკურენციის პირობებში საქართველოს ნაკრებს „მეკარის პრობლემა" გადაუჭრა! ლორიას რამდენიმე გამორჩეული სანაკრებო მატჩი ჩაუტარებია: სტუმრად სლოვენიასთან რომ მოვიგეთ თუ ასევე სტუმრად ხორვატიასთან (დამარცხების მიუხედავად)...

ყველა დაგვეთანხმება, რომ ლორიას ბენეფისი შარშან, 11 სექტემბერს შედგა, როცა თბილისში პლანეტის უძლიერეს გუნდს ესპანეთის ნაკრებს ვუმასპინძლეთ. 73-ე წუთამდე (ვიდრე ტრავმას მიიღებდა) ლორიას თამაშს მხოლოდ და მხოლოდ შთამბეჭდავი ეთქმოდა და გადაჭედილი „დინამო არენის" ტრიბუნებიც მის გვარს სკანდირებდნენ! ჰო, იმ საღამოს ლორიამ ყველა „ასაღები თუ აუღებელი" ბურთი მოიგერია, მაგრამ ტრავმის გამო თავის კარიერაში უმნიშვნელოვანესი მატჩის ჩატარება არ დასცალდა...

ესპანელებთან შეხვედრამ ლორიას ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა, უფრო ზუსტად, მისი პოპულარობის „ინდექსი" მართლაც „არანორმალურად" გაიზარდა: არასპორტულ გამოცემებში ხშირი ინტერვიუები, სატელევიზიო გასართობ თოქშოუებში მონაწილეობა, კინოში როლის შესრულება და ასე შემდეგ.

ბევრის აზრით, სწორედ ასეთი „ზედმეტი ყურადღების" ქვეშ ყოფნის გამოც იყო, რომ ტრავმამოშუშებული ლორიას თამაშში ძველებური დამაჯერებლობა აღარ ჩანდა; თუმცა, გიორგი ლორიამ ყველა სკეპტიკოსს საკუთარი თამაშით გასცა პასუხი და ამის ნათელ მაგალითად წლეულს, 27 აპრილს გამართული, საჩემპიონო მატჩიც გამოდგება: გორში, „დილასთან" შეხვედრაში გიორგი ლორიამ **ნათან ჟუნიორსა** და **ირაკლი მოდებაძეს** ისეთი ბურთები აუღო, მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი კლასის მეკარეებს რომ ხელეწიფებათ.

საერთოდაც, ლორიამ ჩინებულად ჩაატარა წინა სეზონის დასკვნითი ნაწილი - გადამწყვეტ, მეორე ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ორი გოლი გაუშვა და ლომის წილი შეიტანა „დინამოს" ჩემპიონობასა თუ თასის აღებაში! თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ლორია იმ დროისათვის „დინამოს" კაპიტანიც გახლდათ...

გია ტუხაშვილი

### დოსიე

დაიბადა 1986 წლის 27 იანვარს

**საკლუბო კარიერა**

| | | |
|---|---|---|
| 2004-05 | დინამო 2 | 6 მატჩი |
| 2005-06 | დინამო 2 | 25 |
| | დინამო | 1 |
| 2006-07 | დინამო 2 | 10 |
| | დინამო | 10 |
| 2007-08 | დინამო 2 | 3 |
| | დინამო | 4 |
| 2008-09 | დინამო 2 | 6 |
| | დინამო | 3 |
| 2009-10 | დინამო | 34 |
| 2010-11 | დინამო | 35 |
| 2011-12 | დინამო | 30 |
| 2012-13 | დინამო | 24 |
| 2013-14 | დინამო | 8 |

**სანაკრებო კარიერა**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები: **2 მატჩი**

საქართველოს ეროვნული ნაკრები: **21 მატჩი**

**ტიტულები**

საქართველოს ჩემპიონი (2013), საქართველოს თასის ორგზის მფლობელი (2009, 2013)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურები

# ყიფიანი, მელქაძე და რუსები ელიტრაუნდში

**ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი 13-დან 9 ჯგუფში დასრულდა. საქართველოს მსგავსად, ელიტრაუნდში გავიდა რუსეთის ნაკრებიც, რომელმაც წარმატებას მე-10 ჯგუფში მიაღწია. ამ ნაკრებისადმი ჩვენი ინტერესი იმან განაპირობა, რომ იქაურ 17-წლამდელებში ორმა ქართველმა - ნიკა ყიფიანმა და გიორგი მელქაძემ ითამაშა.**

მათზე „ლელო" უკვე წერდა. **ნიკა ყიფიანი** 1997 წლის 25 იანვარს თბილისში დაიბადა. ამჟამად 16 წლის გახლავთ. ყიფიანი მოსკოვში, რინატ დასაევის საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა, ამჟამად კი მოსკოვის „ლოკომოტივის" 17-წლამდელთა გუნდის პლეიმეიკერი, ბომბარდირი და ლიდერია. მან რუსეთის 17-წლამდელებში უკვე 13 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. დებიუტი შოტლანდიასთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა.

**გიორგი მელქაძე** რუსეთის დედაქალაქში 1997 წლის 4 აპრილს დაიბადა და მოსკოვის „დინამოს" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. ისიც შემტევი ნახევარმცველი გახლავთ და ამჟამად „სპარტაკის" 17-წლამდელთა გუნდის კაპიტანი და ბომბარდირია. მისი დებიუტი პორტუგალიასთან ამხანაგურ თამაშში შედგა. სულ რუსეთის ნაკრების ფორმა 19 მატჩში მოირგო და 2 გოლი გაიტანა.

რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერგეი კირიაკოვი** ქართველებს მოსამზადებელი ეტაპის დაწყებისთანავე ენდობოდა და შეკრებაზეც მუდამ დაჰყავდა. ასე მაგალითად, ქართველებმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის, ვიქტორ ბანიკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში სრულად ითამაშეს.


ნიკა ყიფიანი

რაც შეეხება ევროპის 17-წლამდელთა მიმდინარე შესარჩევ ციკლს, ერთ-ერთი ჯგუფის (მე-10) მასპინძელი ვოლგოგრადი იყო. პირველ შეხვედრაში რუსებმა აზერბაიჯანს 1:0 სძლიეს. ყიფიანი ძირითადში იყო და შეუცვლელადაც ითამაშა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის (რსკ) პრესსამსახური წერს, რომ სლავებმა ერთადერთი გოლი მარჯვენა ფლანგზე სწორედ მისი დრიბლინგისა და ჩინებული გადაცემის შედეგად გაიტანეს.

მელქაძეს აზერბაიჯანთან არ უთამაშია, მეორე ტურში კი, სლოვაკეთთან, მოედანზე 72-ე წუთზე გამოჩნდა. რუსებმა კვლავ გაიმარჯვეს - 2:1. კირიაკოვმა ყიფიანი კვლავ ძირითადში დააყენა და მხოლოდ ბოლოსწინა, 79-ე წუთზე შეცვალა. ამჯერად, ყიფიანს არც საგოლე გადაცემა გაუკეთებია და არც ბურთი გაუტანია, თუმცა რსკ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ: *„ყიფიანმა მარცხენა ფლანგზე სლოვაკების დაცვა ააწიოკა, სტუმრებმა კი მას ვერაფერი მოუხერხეს"*.

ამის შემდეგ, ბოლო შეხვედრაში ისლანდიასთან ნიკას წამიც არ უთამაშია, რადგან წინა ორ შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებული გახლდათ. სამაგიეროდ, ათამაშეს მელქაძე, რომელიც მისი პოზიციის ფეხბურთელია და 66-ე წუთზე შეცვალეს. მატჩი კი ისლანდიამ 2:1 მოიგო და მასპინძლებს ჯგუფში პირველობა ცხვირწინ ააცალა.

ახლახან, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, შესარჩევი ციკლიდან ელიტრაუნდში მოხვედრის მიუხედავად, მაინც ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. მაღალი კლასის მოთამაშეთა დეფიციტი აშკარაა. არადა, დიდი ხანია ვწერთ, რომ ყიფიანი და მელქაძე რუსეთის ნაკრებში თამაშობენ. ყიფიანმა „ლელოსთან" ინტერვიუში დაადასტურა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს. ის დიდუბეში, ელიავას ქუჩაზეა გაზრდილი...

იმედია, ადრე თუ გვიან, ჩვენი ნაკრებების მწვრთნელები ამ ბიჭებით დაინტერესდებიან - ტალანტებით არც ისე მდიდრები ვართ და თუნდაც ერთი ქართველი ფეხბურთელის დაკარგვის ფუფუნება არ გვაქვს. აგერ, სომხებმა **არაზ ოზბილისი** და **იური მოვსესიანი** დაიმატეს და ნაკრები ნაკრებს დაამსგავსეს. პირველი - თურქეთში დაიბადა და ჰოლანდიაში გაიზარდა, მეორე კი სამყაროს ბაქოში მოევლინა და ამერიკაში ცხოვრობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ექსკლუზივი დიდ მაესტროსთან

# ჩვენი ოჯახის წევრი

**ჟურნალისტის ხელობას თუ გავითვალისწინებთ, რას არ მოიფიქრებს კაცი. არ არსებობენ ყოფილი, გადამდგარი და პროფესიაშეცვლილი ჟურნალისტები. თუ მართლა ჟურნალისტი ხარ, ეს არის... როგორც იტყვიან - ფორევერ, სამუდამოდ...**

**ჩვენთან ყველაფერი ნამდვილი ძალიან ძნელია და ასეა ჟურნალისტიკაშიც, სადაც სულაც არ არის საჭირო, იყო ყველაზე კარგი ჟურნალისტი, რათა გახდე ყველაზე წარმატებული თუნდაც იმ კანტორაში, სადაც მუშაობ.**

ჟურნალისტი უნდა იყოს ცნობისმოყვარე. როცა ამერიკელ ინსტრუქტორებთან გავდიოდი ჟურნალისტიკის პრინციპების კურსს, ეს იყო პირველი, რაც ოკეანისგაღმელმა მასწავლებლებმა მითხრეს...

აქ უნდა შევწყვიტო საკუთარი ამბის მოყოლა, რადგან მკითხველს ეს არ აინტერესებს. ალბათ, ის უფრო საინტერესო, როგორ შევინილბე და დავურეკე „დიდ მაესტროს".

საკუთარი თავი წარვადგინე, როგორც დამწყები საფეხბურთო აგენტი, ვინც სადაცაა აიღებს ლიცენზიას და მუყაითად შეუდგება ფეხბურთელების ტრანსფერების გაჩარხვას. მთავარია, პირველ წუთებს გავუძლო და „მაესტრომ" ტელეფონი არ გამითიშოს - ასეთი იყო შთაგონება საკუთარი თავისადმი.

მოკლედ, ავკრიფე რუსეთის კოდი, ნომერი და დაიწყო...

- გამარჯობათ, საქართველოდან გაწუხებთ...
- რომელი ხარ? რა გვარი ხარ და სად თამაშობ?
- ფეხბურთელი არ ვარ, დამწყები აგენტი გახლავართ. თქვენზე ლეგენდები დადის და ძალიან მინდა, თქვენგან რალაც-რალაცები მაინც ვისწავლო.
- ვაფასებ შენს იუმორს, ოღონდ, მისამართი შეგეშალა. სადმე ინსტიტუტში მიდი და რაღაცას გასწავლიან, ინგლისურს მაინც ისწავლი, სხვა თუ არაფერი.
- თქვენ სად ისწავლეთ ინგლისური?
- მე ინგლისური არ მჭირდება, ამის გარეშეც გავხდი მილიონერი. მოკლედ, კარგად იყავი, შენთვის არ მცალია...
- ჩემთვის ნამდვილი კერპი ხართ. არ ვაზვიადებ, მართლა იმას გეუბნებით, რასაც ვფიქრობ.
- გამაცინე რა...
- ბევრ დროს არ წაგართმევთ. თქვენნაირი ალღოიანი კაცი უცბად შეამჩნევს, აგენტობაში რა შანსი მაქვს. იქნებ, ისეც კი მოხდეს, რომ „პადძელნიკად" ამიყვანოთ და რაღაცაში მართლა გამოგადგეთ.
- შენლა მაკლდი რა... თუმცა ვაფასებ იმას, რომ ჩემი ტელეფონის ნომერი გაიგე და დარეკვაც გაბედე. ნომერს ლამის კვირაში ერთხელ ვიცვლი. შენ ყოჩაღი ჩანხარ და იქნებ, მართლა მიაღწიო რაღაცას.
- აგენტის ლიცენზია უკვე მაქვს.
- ჰო, მანდ მწვრთნელობის ლიცენზიასაც იძლევიან და ჰგონიათ, რომ ლიცენზიის აღებით უკვე მწვრთნელები არიან. ამიტომაც არის ქართული ფეხბურთი ასეთ დღეში. ამ ვითომ მწვრთნელებს და ვითომ კარგ მენეჯერებს იმდენი კარგი ფეხბურთელი ავწაპნე, ფული მეც ვიშოვე და მათაც ვაშოვნინე.
- მართალია, რომ ტრანსფერის წილში მწვრთნელსაც ისვამთ და გუნდის მენეჯერსაც?
- კაი თავხედი ყოფილხარ. საინტერესოა, კიდევ რა ტყუილები გითხრეს ჩემზე?
- ამბობენ, რომ ჟურნალისტებსაც კი ქრთამავთ, რომ მათ „თქვენი" ფეხბურთელები რაც შეიძლება მეტჯერ შეიყვანონ ტურის სიმბოლურ ნაკრებში.
- კიდევ მითხარი რამე, იქნებ მართლა მომეწონო...
- იმასაც ამბობენ, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებსაც ქრთამავთ...
- ...და მსაჯებსაც რომ ვქრთამავ, ალბათ, ესეც გითხრეს...
- კი, მითხრეს, ოღონდ, მსაჯებზე ისე მაგრად მუშაობენ, ისიც კი შეუძლიათ, ამა თუ იმ თამაშზე ის მსაჯები დაანიშვნინონ, რომელიც მას უნდათო...
- კარგია! თურმე, როგორ ვყვარებივარ ხალხს სამშობლოში...
- მართალია, თითქოს ფეხბურთელები აგენტს და მენეჯერს კი არა, არამედ, „საკუთარი ოჯახის წევრს" გიწოდებენ?
- ჰო, ზოგჯერ სიმართლესაც ამბობენ ხოლმე ჩემზე...
- თქვენ რომ არ იყოთ, ქართველი ფეხბურთელები მშივრები დარჩებოდნენ - დაივიწყეთ თავმდაბლობა და გულწრფელად მითხარით - ეს მართლა ასეა?
- სამწუხაროდ, ასეა. საქართველოში არ იციან ფეხბურთელის ფასი. ყველა კლუბის ყველა პრეზიდენტი იმას ცდილობს, ფეხბურთელი მონად ჰყავდეს. გინახავთ, რა წერია მოწინავე ქართულ კლუბებსა და ფეხბურთელებს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში?
- რაღაც-რაღაცები მეც გამიგია...
- გაუგია ბიჭს! იცი იქ რა წერია? ეს არის კონტრაქტი მონათმფლობელსა და მონას შორის.
- რუსეთსა და უკრაინაში ყველაფერი დალაგებულ-დავარცხნილია?
- აქ ფული აქვთ, ხარჯავენ, ქართული კლუბების პრეზიდენტები კი ფულს მუთაქებში ინახავენ. აზრზე არ ხარ, რა ხდება. ამიტომაც ამბობენ ბიჭები ჩემზე, აგენტი კი არა, ჩვენი ოჯახის წევრიაო. მე შევქმენი ისინი წარმატებულ ადამიანებად.
- საქართველოში მდიდრებსაც კი უჭირთ საფეხბურთო კლუბის შენახვა...
- იცი, რას გეტყვი? ჯერ ის კონტრაქტები წაიკითხე, რაზეც უკვე გითხარი, ახლა კი მისმინე ყურადღებით - მათ კარგად ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით და მილიონები ჩაიგდეს ხელში. ზოგ შენნაირს ისიც ჰგონია, რომ ისინი მართლა თავიანთ ფულს ხარჯავენ ფეხბურთში - ოფლით და წვალებით ნაშოვნს. იმდენიც კი არ იცი, რომ მათი რუსი თუ უკრაინელი პარტნიორების ფული ტრიალებს ქართულ კლუბებში. მე კი, გუნდს რომ გაუჭირდა, საკუთარი ფულით ვინახავდი ფეხბურთელებს. ამას აღარ ამბობენ ჩემზე?
- კი, მაგასაც ამბობენ. ისიც კი თქვეს თქვენზე, ამ გუნდში მწვრთნელის დანიშვნას და გაშვებას ისევ ის განაგებსო...
- ...და შენც ყველაფრის გჯერა ხომ?
- ყველაფერს ვერ დავიჯერებ. კრიმინალურ სამყაროსთან გაქვთ მანდ კავშირი?
- რა უცნაური ლექსიკონით მელაპარაკები? ციდან ხარ ჩამოფრენილი? უბანში არ გაგივლია?
- ვინც თქვენთან დაიჭირა საქმე, რუსეთსა და უკრაინას ვერ გასცდა, მხოლოდ ფული იშოვა...
- ჩემი ხელობაც ეგაა, რომ ფული მათაც ვაშოვნინო და მეც ვიშოვო. გულღრძო ადამიანებს კი რა გამოლევს. ისე, ბოლომდე კარგად არ გცოდნია ყველაფერი, წლევანდელი ევროტურნირების მერე არ იყო, ჩემი ფეხბურთელი რომ წავიდა ევროპაში?! სხვასაც ვეხმარები და საკუთარ თავსაც, მეტი რა უნდა ვქნა?!
- მაინც რაშია თქვენი, როგორც აგენტის საიდუმლო?
- ერთხელაც გამაცინე. ასეთ კითხვას ყველაზე ცუდი ქართველი ჟურნალისტიც კი არ დასვამდა...
- უბრალოდ, ძალიან მინდა, თქვენგან რაღაც ვისწვლო...
- შენ რა გგონია, მე ვიღაცამ რამე მასწავლა? ყველაფერს თავად მივაღწიე.
- გასაგებია, მაგრამ აქ მხოლოდ გამართლება და მონდომება ხომ არ არის მნიშვნელოვანი? ალბათ, სხვა რამეც არის საჭირო...
- ერთს გეტყვი მხოლოდ და ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ მეტს აღარ შემაწუხებ - თავიდან ბევრს ვწვალობდი, ჩემი არავის სჯეროდა, ფინანსურად მიჭირდა და დახმარების ხელს არავინ არ მიწვდიდა. ერთხელაც ავიღე ხელში მობილური ტელეფონი და ვთქვი - ახლა არავინ მირეკავს, მაგრამ მოვა დრო, როცა ჩემი ტელეფონი არ გაჩერდება, ყველა აქეთ დამირეკავს და მთხოვს, გუნდი გამიკეთეო. აი, ეს არის მთავარი, ამით უნდა დაიწყო ეს საქმე, ასეთი „ჟილკა" უნდა გქონდეს...



**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# პრემიები ჩემპიონობისთვის

## მგლებს კიდევ წაქეზება უნდოდათ?

„მგლებმა" მართლაც მგლებივით დაიწყეს და შესანიშნავი სტარტის მერე, **რუდი გარსიას** „რომა" საქმეს ბოლომდე თუ მიიყვანს, ფეხბურთელები და ოფიციალური პირები გუნდში ხელფასის ზემოდან ბონუსის სახით 10 მილიონს მიიღებენ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, 4,9 მილიონი ევრო ჩემპიონთა ლიგის საგზურზეა გამოყოფილი, ხოლო 4,81 ჩემპიონობაზე. სათქმელია ისიც, რომ ამ ჯილდოებს მხოლოდ ის მოთამაშეები მიიღებენ, რომელთა კონტრაქტშიც მსგავსი სახის ბონუსების სისტემა გათვალისწინებული და ჩადებულია. ასე მაგალითად - პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში **მორგან დე სანქტისი** დამატებით 200 ათასს ჩაიჯიბავს, ხოლო **ვასილის ტოროსიდისი** ევროცენტსაც ვერ მიიღებს. ჩინოვნიკებს რაც შეეხებათ, სიტყვაზე აღმასრულებელ დირექტორ **იტალო ძანძის** 300 ათასი ელოდება, ხოლო გენერალურ დირექტორს **მაურო ბალდისონის** - 150 ათასი. ისე, „რომას" კიდევ წახალისება უნდოდა? ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ეს ამბავი „ჯალოროსიზე".

ბარემ აქ ვართ და სხვა რომაულ ამბებზეც ვთქვათ ორი სიტყვა. „მგლების" ბანაკში სასიხარულოა ისიც, რომ მალე მინდორს დაუბრუნდება **მატია დესტრო**. როგორც „სიენას" ყოფილი თავდამსხმელის აგენტმა **რენცო კონტრატომ** თქვა, ფიზიკურადაც და მენტალურადაც დესტრო სათამაშოდ მზად მაქსიმუმ 10-14 დღეში იქნება, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტიაო. შეგახსენებთ, რომ 22 წლის ფეხბურთელმა წინა სეზონში 26 მატჩში 11 გოლი გაიტანა, რაც ურიგო შედეგი არ არის. იგი ახალგაზრდა იტალიელ ფორვარდებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მოიაზრება და წარმოიდგინეთ „რომას" კიდევ დესტრო რომ დაემატება... სხვათა შორის, სიტყვა „დესტრო" იტალიურად სწორს, ნიჭიერს, ჭკვიანს და კიდევ ბევრ კარგ რამეს ნიშნავს, ხშირად იტალიელები გოლის დროსაც ყვირიან - დესტრო!

„რომას" კიდევ ერთი შემტევი, დიდი მოგზაური, რომელმაც ჯერ ვერაფრით ვერ იპოვა საიმედო და სტაბილური ნავსაყუდელი, ბედნიერია იმით, რომ გუნდში დარჩა და როგორც ჩანს, ეს ჩემი ბედი იყოო, ამბობს. მიხვდებოდით, საუბარი **მარკო ბორიელოზეა**, რომელიც ხანდახან სეზონში იცვლის ხოლმე ორ გუნდს. ახლა, როდესაც **ფრანჩესკო ტოტი** და **ჟერვინიო** ტრავმირებულნი არიან, ბორიელოს მეტი სათამაშო დრო ექნება.

*„მე განსხვავებული სტილის მოთამაშე ვარ, ტოტი ჩემზე მაღალი დონისაა, მაგრამ მე შემიძლია გუნდს სხვა რალაცები შევთავაზო და ასევე სარგებელი მოვუტანო. ვიცი, რომ თავის გამოჩენის შანსი მექნება და ამისათვის მზად ვარ. „ჯენოაში" დარჩენაზე ნამდვილად ვფიქრობდი, რადგან იქ საქმე კარგად მიმდიოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ასე იყო საჭირო და ახლა „რომას" სრულფასოვან და საჭირო წევრად ვთვლი თავს. ჩვენი პროგრამა მინიმუმი ხუთეულია"* - თქვა 31 წლის ბორიელომ, რომელმაც ისიც დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში მისი კონტრაქტიც გადაიხედება. ამჟამად, მარკოს ხელფასი წელიწადში 4 მილიონი ევროა.

ამასობაში, მართალია „ჯალოროსის" არც ერთი თამაში არ წაუგია და 8 ტურის მერე მხოლოდ ერთი გოლი აქვს გაშვებული, მაგრამ გუნდის მცველს **ლეანდრო კასტანს** აქტიურად აკრიტიკებენ. მას ინდიფერენტულობასა და ბევრი შეცდომის დაშვებას აბრალებენ. თუმცა თანაგუნდელს მხარში მეწყვილე **მეჰდი ბენატია** ამოუდგა. „უდინეზედან" მაროკოელის გადმოყვანა „რომას" ერთ-ერთი საუკეთესო ტრანსფერი იყო. ალბათ იცით, რომ მომავალ ტურში დედაქალაქელებს სწორედ უდინეში სტუმრობა და „ფრიულიზე" თამაში უწევთ, რაც ადვილი როდია.

*„ხალხი არც კი ელოდება, როდის წავაგებთ და პირდაპირ გვაკრიტიკებს. ამას ფეხბურთელები შეგუებულნი ვართ, მაგრამ კრიტიკა ობიექტური უნდა იყოს. კასტანს რეალურად შეცდომა არ მოსვლია, მაგრამ მაინც ამოიჩემეს. თუმცა მწვრთნელს არ ანაღვლებს ის, თუ რას ამბობენ ჟურნალისტები, რადგან ხედავს იმას, რაც მინდორზე ხდება. „უდინეზესთან" შეხვედრა კი ჩემთვის განსაკუთრებული იქნება, მაგრამ სენტიმენტებს 90 წუთით გვერდზე გადავდებ. უკვე ვესაუბრე ანტონიო დი ნატალეს და ვუთხარი, რომ მას ჩემს წინააღმდეგ თამაში გაუჭირდება. ვარჯიშებზე სხვანაირი ვარ და მატჩებისას სხვანაირი"* - თქვა ბენატიამ.

დაბოლოს, „რომას" ლეგენდას **ჯუზეპე ჯანინის** სჯერა, რომ „მგლები" ბოლომდე შეძლებენ სკუდეტოსათვის ბრძოლას და რეალურად ძალუძთ ჩემპიონობა. სამაგიეროდ, მან „ნაპოლი" ჩამოწერა.

ჯუზეპე ჯანინი: *„რომა" შეუჩერებელი მატარებელივით მიიწევს წინ და ვფიქრობ, სკუდეტოსათვის ბოლომდე იბრძოლებს. მთავარი კონკურენტი „იუვენტუსი" იქნება. აი „ნაპოლი" კი ერთი საფეხურით ქვემოთ არის, რადგან ნეაპოლელებს დაცვაში აქვთ მთავარი პრობლემები. ველოდები იმასაც, რომ „მილანი" მოუმატებს და სიმართლე ითქვას, ვთვლი, რომ „როსონერის" სეზონს სამეულში დაასრულებს".*

**გიორგი კაკაბაძე**



რომაული ზღაპარი ჯერჯერობით ისევ გრძელდება

ტრანსფერი

# ჰონდა მილანში ითამაშებს



იტალიური სპორტული პრესის ცნობით, კეისუკე ჰონდამ „მილანთან" 4.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანის" მესვეურებმა როგორც იქნა მიაღწიეს სანადელს და **კეისუკე ჰონდასთან** 4.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. 27 წლის იაპონელი ნახევარმცველის გადაბირებას იტალიელები გასულ ზაფხულსაც ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ, მოსკოვის ცსკა-ს მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდა არ ისურვეს. **ადრიანო გალიანიმ** განაწყენებული გულშემატკივრები დაამშვიდა და აღნიშნა, რომ ჰონდას იანვარში სრულიად უფასოდ დაიმატებდნენ - საქმე იმაშია, რომ კეისუკეს ცსკა-სთან კონტრაქტის ვადა უმთავრდება და დეკემბრის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. როგორც ჩანს, გალიანის გეგმამ გაამართლა და 2014 წლიდან ჰონდა „როსონერის" ღირსებას დაიცავს.

აღნიშნული ინფორმაცია „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა პრაქტიკულად დაადასტურა: *„ითამაშებს თუ არა ჰონდა „მილანში"? - მე ჯერ კიდევ ზაფხულში დაგპირდით, რომ კეისუკე ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავს. დეტალების დაკონკრეტების დრო ჯერ არ არის, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერი კარგადაა. გაფორმდა თუ არა კონტრაქტი? - ცოტა დავიცადოთ და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".*

**ლაშა ნიკლაური**

ტრავმა

# ბერიგო 6 კვირა იუქმებს

ლიგა 1-ის ბომბარდირთა დავაში მოწინავე პოზიციებზე გამოჩენილი ახალი სახე **კევინ ბერიგო** „ევიანისთვის" სამწუხაროდ, დაახლოებით 6 კვირა ვერ ითამაშებს, ასეთი დიაგნოზი დასვეს ექიმებმა. არადა, ამჟამად მის ანგარიშზე 6 გოლია ანუ „ევიანის" ბურთების (11) ნახევარზე მეტი და გუნდმა მოპოვებული 9 ქულიდან 7 სწორედ ბერიგოს გოლებით მოიხვეჭა. ვნახოთ, როგორ ფორმაში დაბრუნდება თვე-ნახევრის შემდეგ 25 წლის თავდამსხმელი. იქამდე კი ევიანელებს სავარაუდოდ ძალიან გაუჭირდებათ.

**გიორგი კაკაბაძე**

არსენალი




მიმდინარე სეზონში ოლივიე ჟირუ ძალიან კარგად თამაშობს

ოქტომბერი ჯერ არ დამთავრებულა და **ოლივიე ჟირუმ** უკვე 6 შეხვედრის ჩატარება მოასწრო. რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, ის კიდევ ორჯერ გავა მინდორზე - 26-ში „კრისტალ პალასთან" IX ტურის შეხვედრაში, 29-ში კი „ჩელსისთან" ლიგის თასის 1/4-ფინალში. მას პრაქტიკულად მარტოს უწევს „მეთოფეთა" შეტევაში გარჯა, რადგან **არსენ ვენგერს თეო უოლკოტი** და **ლუკას პოდოლსკი** ტრავმირებული ჰყავს, **ნიკლას ბენდტნერი** კი ფრანგის შემცვლელის როლში არ გამოდგება. მიუხედავად არანორმალური დატვირთვებისა, ფეხბურთელი აცხადებს, რომ ფორმის პიკში იმყოფება და მზად არის, ტვირთი ბოლომდე ზიდოს. აი, რას ამბობს 27 წლის ვარსკვლავი: *„შესაძლოა, დასვენების საშუალება მომდევნო კვირაში მომეცეს, რადგან ლიგის თასზე გვაქვს სათამაშო. ამის თაობაზე ვენგერს დაველაპარაკები, თუმცა მჭიდრო გრაფიკს შეჩვეული ვარ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. „დორტმუნდთან" წაგების გამო თავის გასამართლებელი მიზეზების ძებნას არ ვაპირებ. დიახ, წავაგეთ, მაგრამ იქამდე ზედიზედ ვიგებდით თითქმის ყველაფერს. „ასტონ ვილასთან" მატჩის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვითამაშეთ ფრედ. ნერვიულობის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს. წარუმატებლობის გამო პასუხის გაცემას შაბათს „კრისტალ პალასთან" ვგეგმავთ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

## ესპანეთი

**ლა ლიგა. IX ტურის წინ**

**25 ოქტომბერი**

**ვალეკანო-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** საულ ნიგესი (რაიო ვალეკანო)

**ტრავმა:** სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი – ბარმეტლერი, ოსორიო, ოსკარი, ვიქტორ პერესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 20 თამაში: +7 =2 -11 (28:37)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =0 -4 (4-11) | +0 =4 -2 (6-11)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 28-6 | 25 |
| 2. ატლეტიკო | 9 | 8 | 0 | 1 | 21-7 | 24 |
| 3. რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 19-9 | 22 |
| 4. ვილიარეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-9 | 17 |
| 5. ხეტაფე | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 6. ბილბაო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-13 | 16 |
| 7. ესპანიოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 8. ვალენსია | 9 | 4 | 1 | 4 | 12-13 | 13 |
| 9. ლევანტე | 9 | 3 | 4 | 2 | 9-14 | 13 |
| 10. ელჩე | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| 11. სევილია | 9 | 2 | 4 | 3 | 15-16 | 10 |
| 12. სოსიედადი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 10 |
| 13. მალაგა | 9 | 2 | 3 | 4 | 11-9 | 9 |
| 14. ვალეკანო | 9 | 3 | 0 | 6 | 7-21 | 9 |
| 15. ბეტისი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-12 | 8 |
| 16. გრანადა | 9 | 2 | 2 | 5 | 5-10 | 8 |
| 17. ვალიადოლიდი | 9 | 1 | 4 | 4 | 9-15 | 7 |
| 18. ოსასუნა | 9 | 2 | 1 | 6 | 6-13 | 7 |
| 19. სელტა | 9 | 1 | 3 | 5 | 8-13 | 6 |
| 20. ალმერია | 9 | 0 | 3 | 6 | 11-20 | 3 |

**ბომბარდირები:** 10 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 8 - მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - როდრი (ალმერია), პედრო (ბარსელონა)

## გერმანია

**ბუნდესლიგა. X ტურის წინ**

**25 ოქტომბერი**

**შტუტგარტი-ნიურნბერგი 22:30**

**დისკვალიფიკაცია:** რიუდიგერი (შტუტგარტი)

**ტრავმა:** დიდავი, ლაიტნერი, როხასი, აბდელაუ - მარკოს ანტონიო

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 | +0=4-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 62 თამაში: +30=15-17, (106:68)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 9 | 7 | 2 | 0 | 19-4 | 23 |
| 2. დორტმუნდი | 9 | 7 | 1 | 1 | 22-7 | 22 |
| 3. ლევერკუზენი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-9 | 22 |
| 4. ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 15-9 | 15 |
| 5. შალკე | 9 | 4 | 2 | 3 | 17-19 | 14 |
| 6. გლადბახი | 9 | 4 | 1 | 4 | 19-14 | 13 |
| 7. ჰანოვერი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| 8. შტუტგარტი | 9 | 3 | 3 | 3 | 19-13 | 12 |
| 9. ვოლფსბურგი | 9 | 4 | 0 | 5 | 11-12 | 12 |
| 10. ვერდერი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-12 | 12 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 9 | 2 | 4 | 3 | 21-22 | 10 |
| 12. აინტრახტი | 9 | 2 | 4 | 3 | 12-14 | 10 |
| 13. აუგსბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-17 | 10 |
| 14. მაინცი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-21 | 10 |
| 15. ჰამბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 20-22 | 9 |
| 16. ნიურნბერგი | 9 | 0 | 6 | 3 | 10-18 | 6 |
| 17. ფრაიბურგი | 9 | 0 | 5 | 4 | 9-18 | 5 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 9 | 1 | 1 | 7 | 7-21 | 4 |

**ბომბარდირები:** 7 - სემი (ლევერკუზენი); 6 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), კისლინგი (ლევერკუზენი), ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მოდესტე (ჰოფენჰაიმი), ნ. მიულერი (მაინცი).

## საფრანგეთი

**ლიგა 1. XI ტურის წინ**

**25 ოქტომბერი**

**ნანტი-ლილი 22:30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 10 | 7 | 3 | 0 | 18-5 | 24 |
| 2. მონაკო | 10 | 6 | 4 | 0 | 18-7 | 22 |
| 3. ლილი | 10 | 6 | 2 | 2 | 12-4 | 20 |
| 4. ნანტი | 10 | 6 | 1 | 3 | 15-8 | 19 |
| 5. მარსელი | 10 | 5 | 2 | 3 | 13-8 | 17 |
| 6. ნიცა | 10 | 5 | 2 | 3 | 12-10 | 17 |
| 7. სენტ ეტიენი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-13 | 16 |
| 8. ტულუზი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-11 | 15 |
| 9. გენგამი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-11 | 14 |
| 10. რენი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-11 | 13 |
| 11. მონპელიე | 10 | 2 | 6 | 2 | 14-13 | 12 |
| 12. ლიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-13 | 12 |
| 13. რეიმსი | 10 | 2 | 6 | 2 | 8-8 | 12 |
| 14. ბასტია | 10 | 3 | 3 | 4 | 11-15 | 12 |
| 15. ბორდო | 10 | 2 | 5 | 3 | 12-13 | 11 |
| 16. ევიანი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-19 | 9 |
| 17. აიაჩო | 10 | 1 | 4 | 5 | 6-13 | 7 |
| 18. ლორიანი | 10 | 2 | 1 | 7 | 9-18 | 7 |
| 19. სოშო | 10 | 1 | 3 | 6 | 9-20 | 6 |
| 20. ვალანსიენი | 10 | 1 | 2 | 7 | 7-17 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 - რადამელ ფალკაო (მონაკო); 6 - კევინ ბერიგო (ევიანი), ედინსონ კავანი (პსჟ), დარიო ცვიტანიჩი (ნიცა), ემანუელ რივიერი (მონაკო), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ოთხშაბათის მატჩების გამოხმაურება

რეალი

# CR7-მა ვან ნისტელროის ჩაუქროლა

## მესიმდე 6 რჩება, რაულამდე – 14

შესაძლოა, მადრიდის „რეალს" ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ რაც მთავარია, მოიგო და თავის გულშემატკივრებს „იუვენტუსისგან" განცდილი ძველი წყენების შემდეგ გული მოაფხანინა. რაც მთავარია, ქომაგმა ისევ იხილა **კრიშტიანო რონალდოს** შოუ და **ანხელ დი მარიას** სამხრეთის ქარი, რომელსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. **კარლო ანჩელოტიმ** შემადგენლობასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო და საკუთარი გუნდი ისე დაზოგა, როგორც მას შეეფერება. აბა „კამპ ნოუზე" „ელ კლასიკოს" წინ „სამეფო გუნდი" ათკაციან „იუვესთან" თავს ხომ აღარ მოიკლავდა?

რონალდოს კი ისეთი ფენომენალური მაჩვენებელი აქვს, რომ იმ ფენომენ და როგორც ამბობენ ხოლმე, „ნამდვილ რონალდოსაც" კი შემურდებოდა - 3 მატჩში 7 გოლი ანუ CR7-ს საშუალოდ თამაშში 2 ბურთზე მეტი გააქვს... პორტუგალიელი შესანიშნავ ფორმაშია და გაჩერებას არ აპირებს. ამჟამად ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირია და ტურნირზე თავისი 56-ე და 57-ე გოლები შემოგვთავაზა. იგი ყველა დროის ბომბარდირთა შორის მესამე ადგილზე გადავიდა, გადაასწრო რა **რუუდ ვან ნისტელროის**. მესიმდე რონალდოს 6 გოლი აშორებს, ხოლო პირველზე მყოფ **რაულამდე** - 14.

*„შეგვეძლო უკეთ გვეთამაშა* - ამბობდა მატჩის შემდგომ ანჩელოტი - *პირველ ტაიმში იყო რთული მონაკვეთიც, მაგრამ მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია, რომელიც ჩვენთვის მისაღები გახლდათ. მომწონს ის, რომ გუნდი თავდაჯერებულია, უმატებს და ნელ-ნელა უმაღლეს დონეზე თამაშს ვიწყებთ".*

„ელ კლასიკოს" ყოველთვის მაგიური დატვირთვა აქვს და მით უმეტეს ახლა, როდესაც სატურნირო ვითარება პრიმერადივიზონში ისეთია, როგორიც დიდი ხანია არ ყოფილა - ლიდერ „ბარსელონასა" და მესამეადგილოსან „რეალს" შორის **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკოა" ჩამდგარი. თუ „ელ კლასიკო" ფრედ დასრულდა, „ჩოლოს" შეგირდები შესაძლოა, პირველ ადგილზე გადავიდნენ, თუ „ბარსამ" მოიგო, ქულებს რომ თავი დავანებოთ, ძალიან მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოიპოვებს მდევრებზე. ხოლო თუ „რეალმა" იმარჯვა, კატალონიელებს ქულებით გაუთანაბრდება და „ატლეტიკოს" სავარაუდოდ ორი ქულით წინ გაუშვებს. მოკლედ, ეს ისედაც ნათელი სურათი იმიტომ აღვწერე, რომ კიდევ ერთხელ შეგვექმნას წარმოდგენა იმისა, თუ რა გველოდება „კამპ ნოუზე"...

კრიშტიანო რონალდო ყველაფრისთვის მზადაა: *„კარგ ფორმაში ვარ და ეს მახარებს, მაგრამ მთავარი გუნდის წარმატებაა და ახლა უკვე ყველანი „ბარსელონასთან" მნიშვნელოვან მატჩზე ვფიქრობთ, რომელსაც მზადყოფნაში ვხვდებით".*

სხვათა შორის, „რეალს" არც ისე ადვილი კალენდარი აქვს - „ბარსას" მერე, მოშივებულ „სევილიას" უმასპინძლებს, რასაც „რაიო ვალეკანოსთან" მადრიდული დერბი მოჰყვება. შემდეგ ტურინში „იუვენტუსი" და შინ „რეალ სოსიედადი". თუმცა ანჩელოტის არაფრის ეშინია, იტალიელ სპეციალისტს ისეთი შემადგენლობა ჰყავს, რომ როტაციას გააგრძელებს და ქულათა მაქსიმუმის მოპოვებას შეეცდება.

**გიორგი კაკაბაძე**

კრიშტიანო რონალდო „იუვესთან" ანგარიშს ხსნის



პარი სენ ჟერმენი



ამჯერად ზლატანმა (მარცხნივ) კავანის აჯობა

# ზლატანს პოკერის თამაშიც სცოდნია

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ედინსონ კავანი** ერთმანეთის შეჯიბრებას აგრძელებენ. ამჯერად, ზლატანმა ურუგვაელს ფეხბურთითაც აჯობა და პოკერითაც, მან „ანდერლეხტთან" შეხვედრაში „კარე გახსნა" და ბრიუსელელები 4 გოლით ამოავსო, აი კავანი კი პსჟ-ს ერთი კინკილა გოლით შეეწია. ჯამში, პარიზელებმა ბელგიაში 5:0 მოიგეს. ახლა **ლორან ბლანის** გუნდს 3 მატჩიდან 9 ქულა აქვს, პსჟ-მ ყველაზე მეტი (12) გოლი გაიტანა და „ბარსელონასა" და „ბაიერნთან" ერთად ყველაზე ცოტა (1) გაუშვა. შესაბამისად ბურთების შეფარდებაც საუკეთესოა - +11. ზლატანი კი ბომბარდირთა დავაში **კრიშტიანო რონალდოს** მისდევს, პორტუგალიელის აქტივში 7 გოლია, ხოლო „იბრაკადაბრას" 6 მოუგროვდა. სიმბოლურია, არა? სულ ცოტა ხანში, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისათვის შეებმებიან ერთმანეთს და აი იქ იქნება, რაც იქნება.

*„ყველაზე მეტად ჩემი მესამე გოლი მომეწონა, რომელიც შორიდან გავიტანე და იდეალური დარტყმა გამომივიდა, არადა, რთულად შესასრულებელი იყო. მთავარია, გუნდურად თამაში გამოგვდის კარგად და ამ სეზონში უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე წინაში ვიყავით. რამდენიმე ახალწვეულმა კიდევ უფრო გაგვაძლიერა. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაზე რაც შეიძლება შორს წასვლაა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი გართულდება და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ"* - განაცხადა იბრამ.

ბედნიერი იყო პარიზელთა მცველი **გრეგორი ვან დერ ვილიც**: *„ძალიან გვიხარია, მშვენიერი მატჩი ჩავატარეთ. პირადად მე ყოველთვის ვცდილობ, შეტევებში აქტიური მონაწილეობა მივიღო და გადაცემები ვაკეთო. ამაში ედინსონ კავანი ძალიან მეხმარება, რომელიც ცენტრისკენ გადადის ხოლმე და სივრცეს მითავისუფლებს. ზლატანის ასეთი თამაში კი ნამდვილად არ მაკვირვებს, იგი ყოველ შეხვედრაში გვიმტკიცებს თავისი საუცხოო თამაშებით და გოლებით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა".*

ბლანი უკმაყოფილო უბრალოდ ვერ იქნება, მის შეგირდებს ზედიზედ 6 მატჩი აქვთ მოგებული და გზად 17 გოლი გატანილი, ხოლო გაშვებული ოდენ 1. ლიგა 1-ში გუნდი ერთპიროვნული ლიდერიც გახდა და ყველაფერი დიდებულად მიდის. თუმცა დინჯი მუსიე ლორანი შეგირდებს ახსენებდა, რომ წინ სხვა მატჩებია - უპირველეს ყოვლისა კი კვირას „ჟოფრუა გიშარზე" „სენტ ეტიენთან" მძიმე სტუმრობა.

**გიორგი კაკაბაძე**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ისევ ბედნიერი რუნი

„იუნაიტედმა" „სოსიედადთან" გახსნილი თამაში შემოგვთავაზა და მეტოქისგანაც ანალოგიური პასუხი მიიღო. მომენტები ორივე გუნდმა ბლომად შექმნა. თამაშის შემდეგ როგორც **დევიდ მოიესს**, ისე **ხაგობა არასატეს** ჰქონდათ უკმაყოფილების საფუძველი. წინ „ანოეტაზე" დაძაბული თამაში გველის. იქამდე კი ინგლისის ჩემპიონთა დამრიგებელმა მატჩი ასე შეაფასა:

დევიდ მოიესი: *„დღევანდელი შეხვედრა რაღაცით „საუთჰემპტონთან" შაბათის თამაშს ჰგავდა. 5-6 აშკარა მომენტი გვქონდა, თუმცა ვერ გამოვიყენეთ. თვალში მომხვდა, რომ საკუთარ საჯარიმოსთან ბევრჯერ დავარღვიეთ თამაშის წესი. გუნდმა რამდენჯერმე მცდარი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა საბოლოოდ მაინც იმარჯვა. ვან პერსის ჯანმრთელობის პრობლემები ჯერ კიდევ სანაკრებო შეხვედრებამდე ჰქონდა, რაც მის თამაშზე აისახა კიდეც. ვიფიქრე, რომ დრო იყო, მისთვის დასვენების საშუალება მიმეცა. საბედნიეროდ, რობინის გარეშეც გავიმარჯვეთ. დღეს საღამოს მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, თუმცა რუნი ნამდვილად საუკეთესო იყო. მას შემდეგ, რაც „იუნაიტედში" ვმუშაობ კაგავამ საუკეთესო ფეხბურთი აჩვენა. ის ოპტიმალური ფორმისგან შორს არის, თუმცა დღეს აშკარად დავინახე მასში ის პოტენციალი, რასაც აქამდე ვერ ვატყობდი, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ".*

**უეინ რუნი**: *„ვფიქრობ, რომ შესანიშნავი ფეხბურთი ვაჩვენეთ და მინიმუმ 4-5 გოლის გატანა კიდევ შეგვეძლო. ადრევე დავწინაურდით და იმისთვის, რომ თავი სამშვიდობოს დაგვეგულებინა, ერთი ბურთი კიდევ გვჭირდებოდა. ბოლო წუთებში უზარმაზარი უპირატესობა გვქონდა, თუმცა სულ ტყუილად. მიუხედავად ამისა, მიხარია, რომ სამი ქულა ავიღეთ, რადგან ცხრილში მდგომარეობა გამოვასწორეთ. დღეს დაცვამ ითამაშა დამაჯერებლად, რაც გუნდს საკუთარი ძალების რწმენას მატებს. სამწვრთნელო შტაბი სიტუაციას სულ უფრო უკეთ ულებს ალღოს. დევიდ მოიესთან მუშაობით ბედნიერი ვარ".*

**ლევან ბიბილაშვილი**



თანაგუნდელები ალყაში მოქცეულ უეინ რუნის ინიგო მარტინესის „ავტოგოლს" ულოცავენ

იუვენტუსი

# კონტეს ექსპერიმენტი

## და ბოლო შანსი ტურინში

**გასულ უქმეებზე, „იუვენტუსმა" „ფიორენტინასთან" წააგო, შუა კვირაში კი ჩემპიონთა ლიგის ეგიდით უკვე მადრიდის „რეალთან" დამარცხდა, 1:2. მოკლედ, „ვეკია სენიორას" კარგი დროება არ უდგას, განსაკუთრებით რთულად კი სწორედ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე აქვს საქმე. დიახ, „გალათასარაიმ" „კოპენჰაგენს" მოუგო, მეორე ადგილზე აინაცვლა და „იუვე" უკან მოიტოვა.**

### ახალი ტაქტიკა

**ანტონიო კონტეს** საყვარელი ტაქტიკა რომ 3-5-2-ია, ძველი ამბავია და ვერავინ წარმოიდგენდა თუ „რეალთან" თამაშისთვის „იუვენტუსის" მესაჭე ტრადიციას უღალატებდა - დიახ, კონტემ 4-3-3 აირჩია და ცენტრფორვარდად გამწესებულ **ფერნანდო ლორენტეს**, ფლანგებიდან **კარლოს ტევესი** და **კლაუდიო მარკიზიო** დაახმარა. ბუნებრივია, კლაუდიო უფრო ხშირად იხევდა უკან და დიდ სამუშაოს ასრულებდა დაცვით ფაზაში. რაც შეეხება დაცვას, ფლანგებზე **მარტინ კასერესი** და **ანჯელო ოგბონა** ირჯებოდნენ, ცენტრში კი **ანდრეა ბარცალი** და **ჯორჯო კიელინი**.

„იუვენტუსმა" ითამაშა ფეხბურთი, შესაძლოა უფრო მეტადაც, ვიდრე „მილანმა" „ბარსელონასთან" და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კონტეს აქვს საბაბი 4-3-3 მომავალშიც გამოიყენოს, თანაც აქტიურად. ერთი ეგაა, მარცხენა ფრთაზე ანჯელო ოგბონა იყო მეტად ინერტული და შეტევაში ფაქტობრივად არაფერი გამოსდიოდა. არადა, იმავე „რეალში" ასევე მარცხენა მცველმა **მარსელომ** აიკლო თავისი ფლანგი. მოკლედ, როდესაც „იუვენტუსი" გქვია და უმაღლესი მიზნები გაქვს, ფლანგის მცველიც ისეთი უნდა გყავდეს, შეტევაში ჩართვა რომ შეეძლოს. იყო გარკვეული პრობლემები შუა ხაზშიც, მაგრამ მთლიანობაში, გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმაც** აღნიშნა.

ანტონიო კონტე: *„ჩვენ შევცვალეთ ტაქტიკა და ყველას დავანახვეთ, რომ 4 მცველით და 3 შემტევით შეგვიძლია თამაში. როდესაც ასეთ გუნდს ხვდები, უნდა იყო ზომიერად აგრესიული და მაქსიმალურად კონცენტრირებული; ჩვენ ზომაზე ოდნავ მეტად აგრესიულნი ვიყავით და საჭიროზე ოდნავ ნაკლებად კონცენტრირებულნი. შედეგად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. მიუხედავად ყველაფრისა, მთლიანობაში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდმა კარგად ითამაშა. ბევრი პრობლემა შევუქმენით „რეალს" მაშინაც კი, როდესაც მოედანზე კაცნაკლულნი დავრჩით. ჯგუფიდან გასვლა რთული იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ჩვენ ხელშია".*

**კლაუდიო მარკიზიო**: *„ „რეალს" ტურინში აუცილებლად უნდა მოვუგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფს დავემშვიდობოთ. ამიტომ, მაქსიმალური კონცენტრაცია და მობილიზება გვმართებს. ესპანელები შეეცდებიან, რომ მერვედფინალური ეტაპის საგზური ტურინშივე მოიპოვონ, რისი საშუალებაც არ უნდა მივცეთ".*

**ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი): *„რთული მატჩი იყო, რომელშიც მინიმუმ ქულის აღება შეგვეძლო. თუ სტატისტიკას ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ძლიერ მეტოქეს არაფერში ჩამოვუვარდებოდით და ეს მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი კაცნაკლულნი ვთამაშობდით. არ მიყვარს მსაჯობაზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენჯერმე მადრიდელთა სასარგებლოდ შეცდნენ. არბიტრს ჯორჯო კიელინი არ უნდა გაეძევებინა და არტურო ვიდალის მოცელვისთვის „რეალის" კარში თერთმეტმეტრიანი დაენიშნა. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია და ბედს უნდა შევურიგდეთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# დასჯის პეპი რობენს?

## წესით, ბაიერნში იდეალური განწყობა უნდა იყოს, მაგრამ...



გვარდიოლა არიენ-არიენს ყვიროდა, რობენმა კი პენალტი რიბერის დაარტყმევინა

ჯერ პენალტის დარტყმა უნდოდა და არ დაარტყმევინეს, ახლა კი უფლება მისცეს, მაგრამ აღარ დაარტყა - „ბაიერნის" ჰოლანდიელი გარემარბი **არიენ რობენი** მთავარ მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლაზე** განაწყენებულია...

პლზენის „ვიქტორიასთან" 5:0-ზე მოგებულ შეხვედრაში 29 წლის რობენმა თანაგუნდელ **ფრანკ რიბერის** გოლი აჩუქა. ბავარიელებმა „პლზენს" პირველი გოლი თერთმეტმეტრიანით გაუტანეს, რომელიც სწორედ 25 წლის ფრანგმა შეასრულა. არადა, პენალტი რობენმა მოიპოვა და როცა **ჰუბნიკმა** მის წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია, გვარდიოლა სკამიდან წამოხტა და „არიენ-არიენს" ყვიროდა - თერთმეტმეტრიანი რობენმა დაარტყასო. მაგრამ, როგორც ჩანს, ჰოლანდიელმა ამას წინათ ბუნდესლიგაში მომხდარი ფაქტი გულში ჩაიდო და პენალტი არ შეასრულა - მან ბურთი დასარტყმელად რიბერის გადასცა. ახლა ყველაზე საინტერესო ისაა, თუ როგორ მოიქცევა გვარდიოლა.

რამდენიმე დღის წინ პეპმა „ბაიერნის" ჟურნალს ინტერვიუ მისცა, სადაც აცხადებს: *„ჩემი ფეხბურთელებისთვის მე ძალიან კარგი მეგობარი ვარ, ოღონდ მაშინ, როცა მიიღებენ იმას, რასაც მე ვამბობ. მხარს დავუჭერ იმას, ვისთვისაც ჩემი გადაწყვეტილებები მისაღები იქნება. ვისთვისაც არ იქნება, იმას სკამზე ან სულაც ტრიბუნაზე დავსვამ!"* - გვარდიოლა ამ განცხადებით რობენსაც დაემუქრა, მაგრამ ჰოლანდიელი აშკარად გაჯიუტდა!

გავიხსენოთ, რა მოხდა ბუნდესლიგის წინა ტურში, როცა „ბაიერნმა" „მაინცს" 4:1 მოუგო. პენალტის შესრულება რობენს უნდოდა, მაგრამ გვარდიოლა მაშინაც წამოხტა სკამიდან და ფეხბურთელებს დაუყვირა, **თომას მიულერმა** დაარტყასო. რობენს მაშინვე შეეტყო, რომ ძალიან განაწყენდა, რადგან ბურთი მოისროლა.

პლზენის „ვიქტორიასთან" კი პირიქით, გვარდიოლამ ჰოლანდიელის სახელი დაიყვირა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თერთმეტმეტრიანი აღარ დაარტყა. მატჩის შემდეგ რიბერიმ თქვა, არიენი შაბათს მომხდარი ფაქტის გამო იყო გაბრაზებულიო.

თავად რობენის განცხადება კი ასე ჟღერდა: *„ამაზე არაფრის თქმა არ მინდა. ეს თემა ჩემთვის დაიხურა და თითოეული სიტყვაც კი ზედმეტი იქნება."*

ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონში რობენი კარგად თამაშობს. ბუნდესლიგაში სამი გოლის გატანა და სამი საგოლე გადაცემის გაკეთება მოასწრო, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში მის ანგარიშზე ორი გოლი და ოთხი პასია. რობენმა გერმანიის თასზეც გაიბრწყინა: 1 გოლი და 2 პასი ერთ მატჩში. „პლზენთან" პენალტი არ დაარტყა და გოლიც არ გაუტანია, მაგრამ თავის კარიერაში ჩემპიონთა ლიგის ერთ მატჩში სამი გოლის მომზადება პირველად შეძლო.

გვარდიოლამ თქვა, ვინც არ დამიჯერებს, ტრიბუნაზე გადავსვამო. ფაქტია, რობენის შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების მიღება პეპს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან გაუჭირდება...

### ჰიონესი: ვის ჰყავს გუნდი ჩვენისთანა?

არადა, „ბაიერნი" ისე თამაშობს, წესით რეკორდმაისტერში იდეალური განწყობა უნდა იყოს. „პლზენთან" 5:0 ბავარიული გრანდისთვის ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მე-8 გამარჯვება გახლდათ, რაც „ბაიერნისთვის" ახალი პირადი რეკორდია. უშუალოდ ამ მატჩში კი განსაკუთრებით შთამბეჭდავი კარისკენ დარტყმების რაოდენობა გახლდათ - 35:0! ამაზე მეტი დარტყმა ბავარიელებმა ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ერთხელ განახორციელეს და რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ეს 2012 წლის ფინალში, „ჩელსისთან" მოხდა, როცა „ბაიერნმა" ლონდონური კლუბის კარისკენ 41-ჯერ დაარტყა...

„პლზენთან" „ბაიერნის" თითქმის ყველა ფეხბურთელმა სცადა გოლის გატანა - „ვიქტორიას" კარისკენ მხოლოდ **დიეგო კონტენტოს** და მეკარე **მანუელ ნოიერს** არ დაურტყამთ. ნოიერი სულაც იმდენად უსაქმოდ იყო, რომ შეეძლო, მატჩისთვის ტრიბუნებიდან ეყურებინა...

*„დღევანდელი „ბაიერნი" ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია ფეხბურთის ისტორიაში. ვეძებთ კლუბებს ევროპაში, რომლებიც კონკურენციას გაგვიწევენ!"* - ეს რეკორდმაისტერის პრეზიდენტ ული ჰიონესის სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**

ანტირეკორდი

# იგორ აკინფეევმა ანტირეკორდი განაახლა

„მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში **იგორ აკინფეევმა** ჩემპიონთა ლიგის ანტირეკორდი კიდევ ერთხელ განაახლა. 27 წლის ნიჭიერმა რუსმა გოლკიპერმა ზედიზედ მე-18 შეხვედრაში გაუშვა გოლი. მასვე ეკუთვნოდა წინა „მიღწევაც". აღნიშნულ სიაში მე-2 ადგილზე „ეინდჰოვენის" კარის დარაჯი **რონალდ ვატერეუსია**. ჰოლანდიელმა თავის დროზე ზედიზედ 16 შეხვედრაში ვერ მოახერხა კარის მშრალად შენახვა. ვატერეუსის შემდეგ დგანან „პანათინაიკოსისა" და „ოლიმპიაკოსის" მეკარე **ანტონის ნიკოპოლიდისი** (15) და „ნიუკასლის" **შეი გივენი** (14).

**ლევან ბიბილაშვილი**

ოთხშაბათის მატჩების სტატისტიკა

# იბრა და ბავარია, აბა რა!

მატჩების საუკეთესო მოთამაშეები

| ფეხბურთელი | თამაში | ექსპ. |
|---|---|---|
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ანდერლეხტი-პსჟ | 10,0 |
| ფრანკ რიბერი | ბაიერნი-პლზენი | 8,3 |
| შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი-შახტ. | 8,3 |
| სერხიო აგუერო | ცსკა-სიტი | 8,0 |
| კრიშტიანო რონალდო | რეალი-იუვენტუსი | 8,0 |
| უეინ რუნი | იუნაიტედი-სოსიედადი | 8,0 |
| ემანუელ ებუე | გალათასარაი-კოპენჰ. | 8,0 |
| კოსტას მიტროღლუ | ბენფიკა-ოლიმპიაკოსი | 7,0 |

**შენიშნა:** *ექსპ. - უეფას ექსპერტთა საშუალო შეფასება*



პსჟ-ს ათიანზე უეფას ექსპერტთა ათიანი ალალი იყო

**ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის 2013/14 წლების სეზონის ჯგუფური ეტაპის ნახევარი მიილია. ვნახოთ, რომელი ფეხბურთელები იყვნენ საუკეთესოები. გთავაზობთ, უეფას ექსპერტთა ჯგუფის რეიტინგებს და საინტერესო სტატისტიკას.**

უბრალოდ, ადამიანურად უნდა შევიბრალოთ **მატუს კოზაჩიკი**, პლზენის „ვიქტორიას" გოლკიპერი - 29 წლის მეკარეს „ბაიერნის" ფეხბურთელებმა 35-ჯერ დაურტყეს და აქედან 22 დარტყმა კარში წავიდა! 5 შემთხვევაში კოზაჩიკი უძლური იყო, რამე ეღონა. აღსანიშნავია, რომ ოთხშაბათის მატჩებში კარისკენ დარტყმებში მე-2 შედეგი „მანჩესტერ იუნაიტედს" ჰქონდა - 17.

თუ გუნდებს შორის „ბაიერნის" უპირატესობა ყველაფრიდან ჩანს, ფეხბურთელებში გამორჩეული შვედი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, ვინც „პარი სენ-ჟერმენს" 4 გოლით შეეშველა „ანდერლეხტის" რბევაში.

**ტოპ-5 (III ტური მთლიანად)**

**ექსპერტების რეიტინგით:** 10 - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ); 9,0 - **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო); 8,7 - **რიკარდო მონტოლივო** (მილანი); 8,7 - **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი); 8,3 - **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი)

**ფანების რეიტინგით:** 9,6 - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ); 9, 0 - **სერხიო აგუერო** (სიტი); 8,6 - **დიდიე დროგბა** (გალათასარაი); 8,5 - **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი)

■ ■ ■

ოთხშაბათის მატჩების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **იური ტიელემანსი** (ანდერლეხტი - 16 წლის)

**ჰეტ-ტრიკი:** **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ)

**დუბლი:** **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **სერხიო აგუერო** (მანჩესტერ სიტი)

**ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ:** 35 - ბაიერნი

**ყველაზე მეტი დარტყმა კარში:** 22 - ბაიერნი

**ყველაზე მეტი ჯარიმა:** 25 - ბენფიკა

**ყველაზე მეტი კუთხური:** 10 - ბაიერნი

**ყველაზე მეტი თამაშგარე:** 6 - პსჟ

**ბურთის ფლობა** (%): 70% - ბაიერნი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

III ტურის სიმბოლური ნაკრები




მანჩესტერ სიტი

# შთამბეჭდილებები მოსკოვიდან

## საშინელი მინდორი და თავაშვებული რასიზმი

„ხიმკი არენის" მოედნის საფარი ჯერ კიდევ თამაშამდე იყო საშინელ მდგომარეობაში. იმისთვის, რომ მოედანს მეტ-ნაკლებად რესპექტაბელური იერი მიეღო, მასპინძლებმა ის უბრალოდ შეღებეს! დელეგაციის წევრმა, „სიტის" აკადემიის დირექტორმა **ბრაიან მერვუდმა** პირდაპირ განაცხადა, რომ ასეთი საშინელება ინგლისში მას მხოლოდ უბნებში არსებულ პატარა სტადიონებზე უნახავს. **მანუელ პელეგრინიმ** კი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა - არ მჯერა, რომ მატჩის დელეგატმა ამ პირობებში შეხვედრის ჩატარებაზე თანხმობა თქვაო. არენის მდგომარეობა ნამდვილად არ ყოფილა მთავარი პრობლემა. გულშემატკივართა ნაწილი სტუმართა შავკანიან მოთამაშეებს რასისტული შეძახილებით დახვდა. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ მატჩის დელეგატს ოქმში ამის შესახებ არაფერი ჩაუწერია, ყოველ შემთხვევაში რუსული წყაროები ამაში გვარწმუნებენ. მიუხედავად ყველაფრისა, „ქალაქელებმა" ცსკა-ს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ დამსახურებულად წაართვეს სამი ქულა.

მანუელ პელეგრინი: *„კმაყოფილი ვარ, რადგან ჩვენთვის ეს საკმაოდ მძიმე შეხვედრა აღმოჩნდა. ასეთ მოედანზე ფეხბურთის თამაში რთული იყო. დღეს მოპოვებული სამი ქულა, შესაძლოა, გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს. მართალია, სამი ტური კიდევ სათამაშო გვაქვს, თუმცა აქედან ორი შინ დაგვრჩა. ამიერიდან გვეცოდინება, რომ თუკი მოვიგებთ, პლეი ოფის საგზურს კიდევ უფრო მივუახლოვდებით. დღეს ისეთი განწყობით ვითამაშეთ, რომ თუკი ვერ მოვიგებდით, ეს მარცხის ტოლფასი იქნებოდა".*

**იაია ტურე:** *„მატჩის არბიტრს ვთხოვე, რასისტული შეძახილებისთვის ყურადღება მიექცია, რადგან ის უკიდურესად შემაწუხებელი იყო. არადა, ხმამაღლა ამგვარ მოვლენას ყოველთვის ვგმობთ. უბრალოდ გაკვირვებული კი არა, გაცოფებული ვარ. უეფა ვალდებულია, ამის წინააღმდეგ ზომები მიიღოს. ვერ გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეს, ალბათ სტადიონს დისკვალიფიკაცია უნდა მისცეს რამდენიმე თვით ან თუნდაც წლით. ვერაფერს გეტყვით. თუკი რეაქცია მყისიერი არ იქნება, შავკანიან ფეხბურთელებზე მსგავსი თავდასხმები თავისით არ შეწყდება. ამ ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას. იმ ადამიანებს, ვინც გვიყვიროდა და შეურაცხგვყოფდა, მინდა ბედნიერება და სიკეთე ვუსურვო, რადგან ასეთებს სხვა ადამიანების გაბრაზების სურვილი არასოდეს უჩნდებათ. ყვირილი და შეურაცხყოფა მხოლოდ უბედურებსა და უსინდისოებს შეუძლიათ".*

იდუარელის აღშფოთებას „სიტის" ხელმძღვანელობაც იზიარებს. „სქაი სპორტსის" ვარაუდით, უეფა შესაბამის საჩივარს მანჩესტერელებისგან მალე მიიღებს. *„შეხვედრის მთავარი არბიტრისა და მატჩის დელეგატის მოხსენებით ბარათებს ველოდებით. როგორც კი საბუთებს შევისწავლით, გადაწყვეტილებას გამოძიების დაწყების შესახებ ამის მერე მივიღებთ,"* - განაცხადეს უეფას პრესცენტრში. *„სტადიონებზე ნუ დაუშვებთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც საფეხბურთო მატჩების დროს ასე იქცევიან. შეიძლება ისინი მხოლოდ ამის მერე დაფიქრდნენ საკუთარ საქციელზე. რუსეთს ჰყავს ხელმძღვანელობა და ის ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სხვა დროს მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. რუსეთში ასეთი ინციდენტები კი, სამწუხაროდ, ხშირად ხდება,"* - განაცხადა ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა **ჯიმ ბოისმა**.

კიდევ უფრო რადიკალური განცხადება გააკეთა ანტირასისტული ორგანიზაცია Kick It Out-ის ხელმძღვანელმა ლორდმა **ჰერმან ჯორჯ ოუსლიმ**: *„შეხვედრის არბიტრი ოვიდიუ ჰაცეგანი უეფამ მსაჯობას უნდა ჩამოაცილოს გამოძიების დასრულებამდე მაინც, რადგან ის ვალდებული იყო, შეეწყვიტა თამაში იმის გამო, რაც ტრიბუნებზე ხდებოდა. ის არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. შესაბამისად, მგონია, რომ მისმა ხელმძღვანელებმა დასკვნები უნდა გამოიტანონ".*

### კომპანი მზად არის

ცსკა-სთან თამაშის დასრულების შემდეგ „სიტის" თავკაცმა **ვენსან კომპანის** ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ გუნდის ბელგიელი კაპიტანი კვირას „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსისთან" თამაშს შეძლებს. 27 წლის ცენტრალური მცველი 5 ოქტომბერს „ევერტონთან" შეხვედრაში დაშავდა და მას მერე მკურნალობდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. კრისტოფ დაუმი

# დაცემის შემდეგ წამოდგომა უნდა შეგეძლოს

## თუ შეცდომაზე ისწავლი, მაშინ შეცდომების დაშვებაც კარგია

**კრისტოფ დაუმი** ლეგენდარული მწვრთნელი არ არის, მაგრამ მას ყველგან იცნობენ - იმიტომ, რომ ლეგენდარულ სკანდალში გაეხვია: როცა კარიერის პიკში იყო და გადაწყდა, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, სწორედ მაშინ გამომზეურდა, რომ კოკაინის მომხმარებელი იყო. დაუმს კარიერა მაინც არ დაენგრა, თუმცა ლეგენდარული მწვრთნელი კი ვერ გახდა, რადგან გერმანიის ნაკრებისკენ მიმავალი გზა სამუდამოდ ჩაეკეტა და ეს „ბაიერნის“ პრეზიდენტ ული ჰიონესის დამსახურებაა. ამიტომაც ვერ იტანს დაუმი ჰიონესს. კრისტოფ დაუმი გუშინ 60 წლის გახდა - ის ახლა თურქული „ბურსას“ მწვრთნელია. „ბილდში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ უდავოდ დაგაინტერესებთ.


კრისტოფ დაუმი 60 წლის გახდა

**- ჰერ დაუმ, ყველაზე მეტად რომელ შეცდომას ნანობთ?**

- ძლიერ მხარეებთან და სწორ გადაწყვეტილებებთან ერთად, შეცდომებმაც გამხადეს ისეთი, როგორიც ვარ და მიმალწევინეს იმას, რასაც მივაღწიე. მე რომ ის შეცდომები არ დამეშვა, კრისტოფ დაუმი არ ვიქნებოდი. თუმცა ცხადია, იყო ისეთი რალაცებიც, რაც ჯობდა, არ გამეკეთებინა.

**- მაგალითად ცისფერი კოსტიუმის ჩაცმა „ლევერკუზენში“ მუშაობისას?**

- არა, ამას ნამდვილად არ ვნანობ, რადგან RWE-ს შესანიშნავი რეკლამა გამოვიდა. ის კადრები, სადაც ცისფერი კოსტიუმი მაცვია, თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა. რომ არა ის ცისფერი კოსტიუმი, გაჭირვებულები 40 000 მარკას ვერ მიიღებდნენ.

**- დაუვიწყარია ის კადრებიც, როცა შუშის ნამსხვრევებზე შიშველი ფეხებით გადაირბინეთ...**

- ცეცხლზე ან ნამსხვრევებზე გადარბენას 2 000-წლიანი ისტორია მაინც აქვს - ეს მე არ მომიგონია. ეს იმისთვის კეთდება, რომ ჩარჩოებს გასცდე და დაამტკიცო: ხანდახან შეუძლებელიც შესაძლებელია.

**- რაც შეეხება ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალს?**

- ამ თემაზე საუბარი ალბათ უკვე მემილიარდედ მიწევს. დროს უკან ვერ დავაბრუნებ და ველარაფერს შევცვლი. მთავარი ისაა, რომ ადამიანმა შეცდომებზე ისწავლოს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე ამ შეცდომიდან სწორი დასკვნები გავაკეთე.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ნარკოსკანდალის შემდეგ თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდით...**

- ჰო, მაშინ თავში ათასი აზრი მიტრიალებდა. ცხოვრება მოგზაურობასავითაა. პრობლემების დროს საკუთარ თავს ყოველთვის ერთსა და იმავე კითხვას ვუსვამდი: კრისტოფ, რატომ დაგემართა ეს? დროთა განმავლობაში ადამიანს გამოცდილება ემატება, რითაც უფრო ჭკვიანი, გაწონასწორებული და გაცილებით პასუხისმგებლიანი ხდება. მთავარი ისაა, რომ ადამიანს დაცემის შემდეგ წამოდგომა უნდა შეეძლოს.

**- რომელმა მარცხმა გატკინათ გული ყველაზე მეტად?**

- ბევრი ფინალი და გადამწყვეტი მატჩი გამოვიარე, მაგრამ ყველაზე გულდასაწყვეტი მაინც „ლევერკუზენით“ „უნტერჰახინგთან“ წაგება იყო. ზუსტად ისე, როგორც მაშინ, „ფენერბაჰჩეთი“ 2010 წელსაც ბოლო ტურში დავკარგე ჩემპიონობა. თუმცა გული პირადი საკითხების გამო უფრო მტკიოდა ხოლმე - მაგალითად, რამდენიმე ახლობლის გარდაცვალების გამო. სიკვდილის გარდა ყველაფრის მიღება და გათავისება შეიძლება. აი, სიკვდილს კი ადამიანები ვერაფერს ვუხერხებთ.

**- მოდით, თქვენი ცხოვრების ლამაზი მომენტებიც გავიხსენოთ.**

- კიდევ კარგი, რომ ამ 60 წლის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში კარგი უფრო მეტი მოხდა, ვიდრე ცუდი. ყველაზე კარგი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ 4 შესანიშნავი შვილი მყავს - შვილები ჩემი უდიდესი სიმდიდრეა. ვერასდროს გადმოვცემ ზუსტი ინტონაციით, რამდენად დიდი ბედნიერებაა ის, რომ ცხოვრებამ ეს ოთხი შვილი მაჩუქა.

**- აქვს თუ არა 60 წლის დაუმს რაიმე ისეთი საიდუმლო, რაც არავინ იცის?**

- 1986 წლის შემდეგ ჩემი ცხოვრება საჯარო გახდა და შესაბამისად, საიდუმლოდ ფაქტობრივად ალარაფერი დარჩენილა. ერთი რამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს: მიხარია, რომ ოთხივე შვილის დაბადებას დავესწარი. შვილის დაბადება ადამიანის ცხოვრებაში განუმეორებელი მოვლენაა, რომელიც არავინ არ უნდა გამოტოვოს. რისთვის ვარსებობთ? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ადამიანი მხოლოდ იმ დროს იგებს, როცა შვილის დაბადებას უყურებს.

**- უკვე 60 წლის ხართ და ალბათ პენსიაზეც ფიქრობთ...**

- სანამ შემიძლია, ფეხბურთიდან არ წავალ. ახლა „ბურსაში“ ვმუშაობ და ჯერ არ მაქვს ისეთი განცდა, რომ პენსიაზე გასვლის დრო მოვიდა. სანამ საფეხბურთო კლუბში მუშაობა ყოველდღე მსიამოვნებს და ყოველდღე მოტივირებული ვარ, ამ სიამოვნებას არ მოვიკლებ.

**გოტფრიდ ლენცი**


1999 წელს დაუმმა ნამსხვრევებზე გადაირბინა და მერე ეს „ლევერკუზენის“ ფეხბურთელებსაც მოსთხოვა

ინტერვიუ. ფაბიო კვალიარელა

# ხელგაშლილი და იმპულსური

## კვალიარელა ფეხბურთზე და არა მარტო...

**ფაბიო კვალიარელა** ტრავმას იშუშებს, უქმადაა და ამით, კარგადაც ისარგებლა. „იუვენტუსის“ 30 წლის ფორვარდმა ტიფოზების შეკითხვებს ინტერნეტით უპასუხა, კითხვა-პასუხებმა კი იტალიური სპორტული მედია მოიცვა. დროა, სიტყვა კვალიარელას გადავცეთ...

**ვის წაიყვანდი უკაცრიელ კუნძულზე?**

სიმონე პეპეს, რომელსაც ყველაზე მძიმე წუთებშიც შეუძლია გაგამხიარულოს. საოცარი იუმორის გრძნობა აქვს და ყოველთვის კარგ ხასიათზეა. სიმონესთან ვმეგობრობ და კუნძულზეც მასთან ერთად გავემგზავრებოდი.

**რა სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ „იუვენტუსი“?**

ერთი სიტყვა არ მყოფნის, ორი უნდა ვთქვა: „გამარჯვებულის მენტალიტეტი“... ანტონიო კონტეც იმით განსხვავდება სხვა მწვრთნელებისგან, რომ შესანიშნავად შეუძლია საკუთარი თავის რწმენა გაგიმყაროს.

**დაიკეტა თუ არა ჩემთვის „სკუადრა აძურას“ კარი?**

არა, ნამდვილად არ დაკეტილა. ჩეზარე პრანდელის ვესაუბრე და მითხრა, რომ ყურადღებით მაკვირდება. თუ კიდევ უკეთ ავთამაშდები, იტალიის ეროვნულ ნაკრებში აუცილებლად მიმიწვევენ. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ.

**რას გააკეთებდი „რეალის“ კარში გადამწყვეტი გოლის გატანის სანაცვლოდ?**

ანტონიო კონტეს ვარჯიშზე გაორმაგებული დროით დავრჩებოდი. დამიჯერეთ, ეს უდიდესი მსხვერპლია.

**ყველაზე უცნაური ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში?**

ერთ ნაბიჯს ნამდვილად ვერ გავიხსენებ, მაგრამ მეგობრები ყოველთვის დამცინიან, როდესაც გასართობად ატრაქციონების პარკში მივდივარ. ეს ჩემთვის საუკეთესო გართობაა, არადა, ბავშვობის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი.

**ფეხბურთის გარდა რომელ სპორტს გამოარჩევ?**

ფეხბურთელები ხშირად თამაშობენ გოლფს, მაგრამ პირადად მე, სპორტის ეს სახეობა საერთოდ არ მაინტერესებს. არც კალათბურთს და ჩოგბურთს ვეტანები. ერთადერთი, ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებ ფორმულა 1-ს - ფორცა ფერარი.

**ჩემი საუკეთესო გოლი?**

ყველაზე მეტად „პესკარასთან“ და „კიევოსთან“ ვარდნაში გატანილი გოლები მომწონს. ასევე „უდინეზეს“ კარში ქუსლით შეგდებული ბურთი მახსენდება, როდესაც „იუვენტუსში“ პირველ სეზონს ვატარებდი. ხშირად ალნიშნავენ, რომ ეფექტური გოლები გამაქვს, რაც ძალიან მსიამოვნებს.

**ფეხბურთი რომ არა, რა პროფესიას აირჩევდი?**

ვფიქრობ, მსახიობი გავხდებოდი, რადგან კინოხელოვნება ყოველთვის მიტაცებდა. გავრისკავ და ვიტყვი, რომ ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა. შესაძლოა, კარიერის დასრულების შემდეგ ვცადო კიდეც ბედი, თუმცა ეს მაინც არ იქნება ჩემი უმთავრესი საქმე - მწვრთნელობას ვაპირებ და მსურს, ჩემი გამოცდილება ბავშვებს გავუზიარო.

**როდის გაგიცრუვდა იმედი?**

ბევრჯერ, მაგრამ მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: 5 წლის ვიყავი, როდესაც მამამ „სტადიო სან პაოლოზე“ პირველად წამიყვანა; მაშინ, ყველას დიეგო მარადონა ეკერა პირზე და მეც მისი ხილვა მინდოდა. სამწუხაროდ, დიეგო თადარიგში დარჩა და მეც ბევრი ვიტირე.

**საუკეთესო ფეხბურთელი, ვისთანაც მითამაშია?**

ასეთი ბევრია: ალესანდრო დელ პიერო, ანტონიო დი ნატალე, ანდრეა პირლო, ჯანლუიჯი ბუფონი. კიდევ შეიძლება ჩამოთვლა, მაგრამ აქ გავჩერდები.

**როგორ დაახასიათებდი ჩემს თავს?**

ხელგაშლილი და იმპულსური.

**ლაშა წიკლაური**



ფაბიო კვალიარელა

ამბები

### პალასი პულისს უხმობს

„კრისტალ პალასის“ მთავარი მწვრთნელის **იან ჰოლოვეის** პოსტიდან გადადგომის შესახებ გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა მის შემცვლელად „სტოკის“ ყოფილ დამრიგებელს, 55 წლის **ტონი პულისს** მოიაზრებს. უელსელი სპეციალისტი მაისის შემდეგ უმუშევარია. პულისის კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა 2011 წლის ასოციაციის თასის ფინალში გასვლა იყო, სადაც მისმა „სტოკმა“ „მანჩესტერ სიტისთან“ მინიმალური ანგარიშით წააგო.

### მაკგრეგორი თვე-ნახევარი ვერ ითამაშებს

„ჰალის“ მთავარი მწვრთნელის **სტივ ბრუსის** განცხადებით, 31 წლის გოლკიპერმა **ალან მაკგრეგორმა** სერიოზული ტრავმა მიიღო და გუნდს 5-6 კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. *„ალანის გამოკლება ჩვენთვის დიდი დარტყმაა, რადგან მიმდინარე სეზონში ის მაღალ დონეზე თამაშობდა. ბუნებრივია, მას ყველანი უსწრაფესად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ,“* - თქვა ბრუსმა. შოტლანდიელს ძირითადში „ნიუკასლში“ თამაშით ცნობილი 38 წლის **სტივ ჰარპერი** შეცვლის.

### ჩელსი თუ ბაიერნი?

„ჩელსი“ და „ბაიერნი“ სეზონის დასრულებამდე შეეცდებიან, როგორმე მოხიბლონ „ვოლფსბურგის“ 17 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი **იულიან ბრანდტი**. ფეხბურთელს „მგლებთან“ ხელშეკრულება 2014-ის ზაფხულზე უმთავრდება, დარჩენაზე კი კატეგორიულ უარს ამბობს. გერმანული პრესა იულიანს თავისი თაობის გამორჩეულ ტალანტს უწოდებს.

### საფრანგეთი ფეხბურთის გარეშე რჩება

„ეკიპის“ ცნობით, ფრანგული ლიგა 1-ისა და 2-ის კლუბები 75%-იანი საშემოსავლო გადასახადის შემოღების პერსპექტივით შეშფოთებულები არიან და ამის გამო 30 ნოემბერს გამაფრთხილებელ გაფიცვას მოაწყობენ. პროფესიული ლიგის პრეზიდენტი **ფრედერიკ ტირიე** ამის შესახებ უკვე ინფორმირებულია. იდეა საფრანგეთის მოქმედ პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდს** ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ პროექტის თანახმად, მილიონ ევროზე მეტი წლიური შემოსავალი სწორედ ამდენით დაიბეგრება. კანონპროექტის განხილვა ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის პირველ რიცხვებშია დაგეგმილი. *„თუკი კანონი ძალაში შევიდა ფრანგულ საფეხბურთო სამყაროს კატასტროფა ელის. არადა, ჩვენ ცოტანი ნამდვილად არ ვართ. ლაპარაკია დაახლოებით 25 ათას სამუშაო ადგილზე, წელიწადში 750 მილიონ ევროზე მეტზე, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტში ვიხდით, 130 მილიონ ევროზე, რასაც სამოყვარულო ფეხბურთისთვის ვხარჯავთ, ამას გარდა უამრავ საქველმოქმედო პროექტზე,“* - აცხადებს პროფესიული კლუბების გაერთიანების ხელმძღვანელი **ჟან-პიერ ლუველი**.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ამბროზინი მინიმუმ ორ კვირას იუქმებს

„იუვენტუსთან“ შეხვედრაში „ფიორენტინას“ ნახევარმცველმა **მასიმო ამბროზინიმ** ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, მოედანი ნაადრევად დაეტოვებინა. ბუნებრივია, იტალიელი სპორტული ჟურნალისტები მასიმოს ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდნენ და მისგან შემდეგი მოისმინეს:

*„გამოკვლევა ჩავიტარე და სამწუხაროდ, ტრავმა არც ისეთი მსუბუქია, როგორიც თავიდან ჩანდა. მინიმუმ ორი კვირა გამიცდება და თუ სარეაბილიტაციო პერიოდი იდეალურად არ წარიმართა, შესაძლოა ეს დროც არ აღმოჩნდეს საკმარისი. ამიტომ, ექიმთა ყველა რჩევის გათვალისწინებას და მოედანზე რაც შეიძლება მალე დაბრუნებას ვაპირებ“.*

36 წლის ამბროზინი „ფიორენტინაში“ „მილანიდან“ გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. მასიმო „იუვესთან“ შეხვედრისას დაშავდა და მოედანი 23-ე წუთზე დატოვა.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავერსი AVERSI

# ავერსი-რაციონალი უმაღლესი სტანდარტის გარანტია

ჯანდაცვა დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, ამიტომ ადგილობრივი ფარმაცევტული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე თითოეული მოქალაქისთვის.
"ავერსი-რაციონალი" არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილი, ევროპული დონის ფარმაცევტული საწარმოა. "ავერსი-რაციონალი" აწარმოებს უმაღლესი ხარისხის, უსაფრთხო, ეფექტურ და ფარმაცევტულ ბაზარზე ყველაზე ხელმისაწვდომ პროდუქციას, ქმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს, აფართოვებს წარმოებას...
პირველი მედიკამენტი "ავერსი-რაციონალმა" მომხმარებელს 2005 წლის მარტში შესთავაზა. პროდუქციის ასორტიმენტი წლიდან წლამდე იზრდებოდა. ამჟამად საწარმო 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს. კომპანია ახორციელებს ექსპორტს რამდენიმე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში: ყირგიზეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთის ქვეყნებში.
შესაბამისად, საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება და წარმოებაც ფართოვდება. აუცილებელი გახდა ახალი ლაბორატორიის მშენებლობაც, რომელიც უკვე მეორე წელიწადია ფუნქციონირებს. მას საწარმოს ტერიტორიაზე 750 კვადრატული მეტრი უკავია და აქ ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ტარდება.
"ავერსი-რაციონალის" ლაბორატორია პასუხობს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ საწარმოს მოეთხოვება. ნედლეულს "ავერსი-რაციონალი" მხოლოდ მსოფლიოში ცნობილი ფარმაცევტული ბრენდებისგან იძენს, მის ხარისხს და სანდოობას კი ლაბორატორია კიდევ ერთხელ ამოწმებს. პერსონალს გავლილი აქვს სათანადო სწავლება, ხოლო სერტიფიკატები, რომლებიც საწარმომ უმოკლეს ვადებში მიიღო, მოწმობს, რომ ~ავერსი-რაციონალი~ მსოფლიო დონის საწარმოა. ის ყოველწლიურად გადის საკონტროლო შემოწმებას, სამ წელიწადში ერთხელ კი ხდება ხელახალი სერტიფიცირება, რომელსაც ორი წამყვანი გერმანული კომპანია აწარმოებს (TÜV SÜD და TÜV Cleancert).
შეგახსენებთ, რომ "ავერსი-რაციონალმა" საერთაშორისო სერთიფიკატები უმოკლეს დროში მოიპოვა. მას - ISO 9001 სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი 2006 წლიდან მიენიჭა;
2008 წლიდან კი GMP EU და FDA GMP სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატის მფლობელი გახლავთ, რაც მოწმობს, რომ ~ავერსი-რაციონალში~ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.) შეესაბამება ევროპული GMP-სა და ამერიკული FDA-ს სტანდარტების მოთხოვნებს.
"ავერსი-რაციონალი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.





ჭირნახულის N14
☎2-240-70-90
WWW.AVERSI.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

**სუონსი-ყუბანი 1:1**

გოლები: 1:0 მიჩუ (68), 1:1 სისე (93-პენ)

**ვალენსია-სტ. გალენი 5:1**

გოლები: 1:0 ალკასერი (12), 2:0 კარტაბია (21), 3:0 კარტაბია (30), 4:0 რ. კოშტა (33), 5:0 კანალესი (71), 5:1 ნატერი (74)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სუონსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ვალენსია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 3. სტ. გალენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. ყუბანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: ყუბანი-სუონსი, სენტ გალენი-ვალენსია

### B ჯგუფი

**ჩერნომორეცი-ლუდოგორეცი 0:1**

გოლი: 0:1 ზლატინსკი (45)

**დინამო ზ.-პსვ 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუდოგორეცი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 2. პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. ჩერნომორეცი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. დინამო ზ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: ლუდოგორეცი-ჩერნომორეცი, პსვ-დინამო ზ.

### C ჯგუფი

**ელფსბორგი-ესბიერგი 1:2**

გოლები: 0:1 ანდრეასენი (7), 0:2 ანდრეასენი (67), 1:2 იონსონი (69)

**ზალცბურგი-სტანდარდი 2:1**

გოლები: 1:0 სორიანო (53), 2:0 რამალიო (85), 2:1 მუჯანჯი (88-პენ)

გაძევება: მანე (42. ზალცბურგი), კარსელა-გონსალესი (38. სტანდარდი), კანუ (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. ესბიერგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. სტანდარდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 4. ელფსბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: ესბიერგი-ელფსბორგი, სტანდარდი-ზალცბურგი

### D ჯგუფი

**უიგანი-რუბინი 1:1**

გოლები: 0:1 პრუდნიკოვი (15), 1:1 პაუელი (40)

საბა კვირკველიას (რუბინი) არ უთამაშია

**ვარეგემი-მარიბორი 1:3**

გოლები: 1:0 დე ფაუ (12), 1:1 ჩრნიჩი (21), 1:2 მერტელი (34), 1:3 მეზგა (49(

გაძევება: მილეცი (57. მარიბორი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-3 | 7 |
| 2. უიგანი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. მარიბორი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-9 | 3 |
| 4. ვარეგემი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: რუბინი-უიგანი, მარიბორი-ვარეგემი

### E ჯგუფი

**ფერეირა-დნიპრო 0:2**

გოლები: 0:1 როტანი (83), 0:2 კონოპლიანკა (86)

ჯაბა კანკავამ (დნიპრო) 52 წუთი ითამაშა, სანდრო კობახიძეს (დნიპრო) არ უთამაშია

**ფიორენტინა-პანდურიი 3:0**

გოლები: 1:0 ხოაკინი (26), 2:0 მატოსი (34), 3:0 კუადრადო (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. დნიპრო | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. პანდურიი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 4. ფერეირა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: დნიპრო-ფერეირა, პანდურიი-ფიორენტინა

### F ჯგუფი

**ბორდო-აპოელ 2:1**

გოლები: 1:0 სანე (24), 1:1 გონსალვეში (45), 2:1 ენრიკე (90)

**აინტრახტი-მაქაბი თ. 2:0**

გოლები: 1:0 კადლეცი (13), 2:0 მაიერი (53)

გაძევება: ბენ პაიმი (34. მაქაბი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. მაქაბი თ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 3. ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. აპოელ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: აპოელ-ბორდო, მაქაბი თ.-აინტრახტი

### G ჯგუფი

**გენკი-რაპიდი 1:1**

გოლები: 1:0 გორიუსი (21), 1:1 ზაბიტცერი (82)

**დინამო კ.-თუნი 3:0**

გოლები: 1:0 იარმოლენკო (35), 2:0 მბოკანი (60), 3:0 გუსევი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. დინამო კ. | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 3. თუნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 4. რაპიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: რაპიდი-გენკი, თუნი-დინამო კ.

### H ჯგუფი

**ლიბერეცი-სევილია 1:1**

გოლები: 1:0 რაბუსიჩი (20), 1:1 მაჩინი (88)

გაძევება: კოვარი (78)

**ფრაიბურგი-ეშტორილი 1:1**

გოლები: 1:0 დარიდა (11), 1:1 სება (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ლიბერეცი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 3. ფრაიბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 4. ეშტორილი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: სევილია-ლიბერეცი, ეშტორილი-ფრაიბურგი

### I ჯგუფი

**ლიონი-რიეკა 1:0**

გოლი: 1:0 გრენიე (67)

**ბეტისი-გიმარაეში 1:0**

გოლი: 1:0 ვადილიო (50)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 2. ბეტისი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. გიმარაეში | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 4. რიეკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: რიეკა-ლიონი, გიმარაეში-ბეტისი

### J ჯგუფი

**ტრაბზონი-ლეგია 2:0**

გოლები: 1:0 იანკო (7), 2:0 ადინი (83)

ლადო დვალიშვილმა (ლეგია) 90 წუთი ითამაშა

**აპოლონი-ლაციო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 2. ლაციო | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. აპოლონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 4. ლეგია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: ლეგია-ტრაბზონი, ლაციო-აპოლონი

### K ჯგუფი

**ანჟი-ტრომსიო 1:0**

გოლი: 1:0 ბურმისტროვი (19)

გია გრიგალავას (ანჟი) არ უთამაშია

**შერიფი-ტოტენჰემი 0:2**

გოლები: 0:1 ვერტონგენი (12), 0:2 დეფო (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. ანჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| 3. შერიფი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 4. ტრომსიო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: ტრომსიო-ანჟი, ტოტენჰემი-შერიფი

### L ჯგუფი

**შახტიორი-ალკმაარი 1:1**

გოლები: 1:0 ფინონჩენკო (11), 1:1 გუდმუნდსონი (26)

**პაოკ-მაქაბი ჰ. 3:2**

გოლები: 0:1 ნდლოვუ (13), 0:2 გოლასა (21), 1:2 ვიტორი (35), 2:2 ნინისი (39), 3:2 სალპინგიდისი (67)

**შენიშვნა:** სტოხმა (პაოკ) ორჯერ, 39-ე და 45-ე წუთებზე ვერ გამოიყენა პენალტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 2. ალკმაარი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. შახტიორი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 4. მაქაბი ჰ. | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

**მომდევნო ტური**

7 ნოემბერი: ალკმაარი-შახტიორი, მაქაბი ჰ.-პაოკ

## ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

### ქართველები მეოთხედფინალში

**თბილისელი სოფიო შაფათავა** ჰამამაცუს (იაპონია) 25.000-იან ტურნირზე მესამე ნომრადაა განთესილი. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა პაექრობებში. გუშინ მან მე-2 წრეში წარმატებით იასპარეზა. დაძაბული სამსეტიანი პაექრობის შემდეგ მიიუ კატო (იაპონია) დაამარცხა - 6:2, 6:7, 6:2 და მეოთხედფინალში ამომავალი მზის ქვეყნის კიდევ ერთ წარმომადგენელს - შუკო აოიამას შეხვდება. ეს უკანასკნელი ტურნირის მე-7 ნომერია და მე-2 წრეში თანამემამულე მაკოტო ნინომია ჩამოიშორა გზიდან - 6:0, 6:4. მეოთხედფინალში, ასევე, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ზარინა დიასი (ყაზახეთი)-მიიაბი ინოუე (იაპონია), აკიკო იონემურა (იაპონია)-ბელინდა ბენჩიჩი (შვეიცარია), რიკა ფუჯივარა (იაპონია)-ერი ჰოზუმი (იაპონია).

წყვილთა პაექრობებში ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. კვალიფიკაციიდან ალზევებულმა კუმიკო იუიმას და აკიკო იონემურას (ორივე-იაპონია) დუეტმა პირველ წრეში რეიტინგფავორიტად შერაცხილი მიკი მიიამურას და აკიკო ომაეს (ორივე-იაპონია) ტანდემი ჩამოაშორა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას, გუშინ კი სოფიო შაფათავასა და ბელინდა ბენჩიჩთან (შვეიცარია) ვერაფერს გახდა და დამარცხდა - 6:7, 3:6. ჩვენებური მეწყვილესთან ერთად ნახევარფინალში მესამე ნომრად განთესილ ერი ჰოზუმისა და მაკოტო ნინომიას (ორივე-იაპონია) გაუწევს მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალურ წყვილში იაპონელები - კანაე ჰისამი, მარი ტანაკა და შუკო აოიამა, ჟუნრი ნამიგატა ითამაშებენ.

■ ■ ■

ამერიკულ ფლორენსში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მოასპარეზე **ანა ტატიშვილმა** იოლად გადალახა პირველი ბარიერი - ჩალენა შოლი (აშშ) დაამარცხა - 6:0, 6:1. გუშინ არც მეორე წრის დაძლევისას დასდგომია დიდი ჯაფა - ამერიკელ ჯესი კულმანს ორ სეტში აჯობა ისე, რომ მხოლოდ ორი გეიმი დათმო - 6:1, 6:1. მეოთხედფინალში მე-4 ნომრად განთესილი ჩვენებურის მეტოქე ამერიკელი ჟაკლინ კაკოს (მძლეველი (6:2, 6:1) კოლუმბიელი კატალინა კასტანო იქნება, რომელიც ასპარეზობის მეექვსე ნომერია.

■ ■ ■

ანტალიის 10.000-იან ტურნირში წარმატებით ასპარეზობს მე-7 ნომერი **ეკატერინე გორგოძე**. გუშინ ერთეულთა თანრიგის მე-2 წრეში მან რუსი იანა მოგილნიცკაია ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:2. დღეს მეოთხედფინალში მე-4 ნომრად განთესილ მარი ბენოიტს (ბელგია) შეხვდება. ბენოიტმა ჰოლანდიელ დევონ კუსტერმანს აჯობა - 6:0, 6:1.

გორგოძემ გუშინ წყვილებში ვერ იყოჩაღა: ეკატერინა წიკლაურთან შეამხანაგებულმა რეიტინგფავორიტებთან - მარი ბენოიტსა და კიმბერლი ციმერმანთან (ორივე-ბელგია) წააგო - 3:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**

## ჭიდაობა. ინტერვიუ

### ვლადიმერ მესტვირიშვილი

# საქართველოში მინდა ყოფნა

### არც განსაკუთრებულ პირობებს ვითხოვ

**წარმატებულ ქართველთა უმეტესობის დარად, არაერთი ცნობილი ქართველი ფალავნის აღმზრდელი, თავისუფალ ჭიდაობაში სამწვრთნელო ასპარეზზე ყველა ტიტულის მომგები ვლადიმერ მესტვირიშვილიც გარიყა ბედმა სამშობლოდან და აგერ, მეოთხედი საუკუნეა, თავის ნიჭს ჩვენი მეტოქეების მოსამზადებლად იყენებს. 2010 წელს ის ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს დამსახურებულ მწვრთნელად დაასახელა და, ალბათ, სამართლიანადაც – საქართველოსა და მაკედონიაში ნაშრომს თავი რომ დავანებოთ, მესტვირიშვილმა, პრაქტიკულად, შექმნა საჭიდაო სკოლა ინდოეთში. იქაურებს დღეს თუ ჰყავთ მსოფლიოსა და აზიის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნები, ბრინჯაოს პრიზიორები, ამაში ლომის წილი მას მიუძღვის. ის დღესაც ინდოეთში მუშაობს, სადაც კოორდინაციას უწევს ყველა ნაკრებს.**



ვლადიმერ მესტვირიშვილი

მართალია, მესტვირიშვილი ამბობს, რომ ნაწყენი არავისზე არაა, მაგრამ ფაქტია – აქედან წასვლისას საკუთარ თავს სიტყვა მისცა, საქართველოში სამუშაოდ არასოდეს დაბრუნებულიყო და დღემდე ასრულებდა ამ პირობას. თუმცა ვითარებათა შეცვლის კვალობაზე, დაბრუნებაზე ყაბულსაა და ჩვენი ფედერაციაც აქტიურად განიხილავდა მის კანდიდატურას. მაგრამ, როგორც გაირკვა, მოლაპარაკებებს ჯერ შედეგი არ გამოუღია... იმედია, ქართული მხარე უფრო მეტად იაქტიურებს.

**- ალბათ, უკვე გექნებოდათ მოლაპარაკება ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. მიაღწიეთ რაიმე შეთანხმებას?**

- ეს უფრო დაზვერვითი ხასიათის საუბარი იყო, თუ ჩამოხვალ და იმუშავებო. ჩამოსვლით რატომ არ ჩამოვალ, ჩემი ოჯახი ხომ აქ ცხოვრობს. ვიდრე ბავშვები პატარები იყვნენ, ჩემთან იყვნენ, მაგრამ ახლა სწავლობენ და თბილისში არიან. უფროსმა ერთი სასწავლებელი დაამთავრა კიდეც და ახლა ისევ აგრძელებს, უმცროსი კი სპორტსმენია, „ბრძოლა წესების გარეშეში" ჩხუბობს. თუმცა ჩამოსვლა ჩემზე არაა დამოკიდებული. ინდოეთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2016 წლამდე კი მაკავშირებს, მაგრამ ორივე მხარეს შეგვიძლია მისი დარღვევა. მე ამის არ მეშინია, ვინაიდან ბევრ დაპირებას არ ასრულებენ, თუმცა ამ ნაბიჯს არც მე ვდგამ, რადგან მაშინ სხვა ქვეყანაში უნდა წავიდე.

**- ანუ ჩვენგან კონკრეტული შემოთავაზება არ ყოფილა?**

- პირობებზე კონკრეტულად არ გვილაპარაკია, თუმცა ჯერ ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძის გარდა, არც შევხვედრივარ ვინმეს. მას კარგი გეგმები აქვს და იცის, როგორ განვითარდეს ჭიდაობა. მასთან კიდეც მესიამოვნება მუშაობა, თუმცა უფროს მწვრთნელობას არც ვაპირებ. ამ პოსტზე 10 წელიწადი ვიმუშავე – 1982 წლიდან 1992-ის ჩათვლით და ბოლოს კარგი პასუხიც მივიღე, ერთი მადლობაც არავის უთქვამს იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონები გვყავდა, მსოფლიოს თასიც მოვიგეთ და ასე შემდეგ. მაშინ ისიც კი ვთქვი, რომ არასოდეს ვიმუშავებდი საქართველოში და ამ ნათქვამს აქამდე ვასრულებდი. აბა, საომარ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში სკოლაში სპორტი, ფაქტობრივად, გააუქმეს და ფიზკულტურის ინსტიტუტი დაშალეს! ეს ხომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობის შესუსტება და მოშლა იყო! მეც ის ინსტიტუტი დავამთავრე და იქ ვმუშაობდი. მისი სახელი დღესაც ჭრის უცხოეთში. ამერიკაში რომ ვთქვი ამ ინსტიტუტზე, ის დავამთავრე-მეთქი, ერთი კაცი ფეხზე წამომიდგა და ხელი ჩამომართვა, იმდენად მაღალი აზრის იყო ამ ინსტიტუტზე. დათვალეთ, დღესაც რამდენი მისი კურსდამთავრებული მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ან რამდენი იყო წინა წლებში – კანადა, უზბეკეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ვიეტნამი, ინდოეთი... თუმცა ახლა ვითარება შეიცვალა...

**- კონკრეტულად?**

- კონკრეტულად ჭიდაობაზე ვილაპარაკებ, სადაც დაიშალა ადრინდელი დაჯგუფებები. მთავარი მწვრთნელი 20 წელიწადი არ უნდა იყოს ამ პოსტზე. კი, მე 10 ვიმუშავე, მაგრამ მეც არ უნდა ვყოფილიყავი იმდენი ხანი. ყველაზე ოპტიმალურია, ერთმა და იმავე კადრმა 8 წელიწადი იმუშაოს მთავარ მწვრთნელად, მერე კი იყოს მასწავლებელი, რომელიც მწვრთნელებსაც გაზრდის და სხვებსაც ასწავლის. ამის კარგი მაგალითია იური შახმურადოვი, რომელიც 8 წლის მერე გადადგა პოსტიდან, აღარ მინდაო და სამეცნიერო-სამწვრთნელო ასპარეზზე გადაერთო.

> **ამერიკაში რომ ვთქვი, საქართველოში ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე-მეთქი, ერთი კაცი ფეხზე წამომიდგა და ხელი ჩამომართვა, იმდენად მაღალი აზრის იყო ამ ინსტიტუტზე. დათვალეთ, დღესაც რამდენი მისი კურსდამთავრებული მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად...**

**- როგორ ფიქრობთ, კიდევ რჩება შანსი, რომ რალაც ფორმით მაინც ითანამშრომლოთ ჩვენს ფედერაციასთან თუ ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა?**

- შეიძლება, მოვილაპარაკოთ, რადგან საქართველოში მინდა ყოფნა და არც განსაკუთრებულ პირობებს ვითხოვ. დღევანდელი ნაკრების წევრთა უმეტესობასაც ვიცნობ – ისინი ხშირად დამყავს ინდოეთში სავარჯიშოდ შეკრებებზე.

თუმცა, კიდევ ვიმეორებ – მთავარი მწვრთნელობა არ მსურს, ეს გამორიცხულია. უფრო კონსულტანტობა შეიძლება. ნაკრებს დღეს კარგი მწვრთნელი ჰყავს –

» მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

რევაზ მინდორაშვილს შეუძლია, კარგ მწვრთნელად ჩამოყალიბდეს. ის მოჭიდავეც კარგი იყო, ძალიან მშრომელი და დისციპლინებული. სამწუხაროდ, უმადურობა ჩვენი თვისებაა, რაც არ შეიძლება. ბევრი მწვრთნელი ვიცი, ჩემზე მეტი რომ შეეძლოთ და ჭიდაობიდან ელიავას ბაზრობაზე რომ წავიდნენ. მაგალითად – ტუხაშვილი, ბუმბერაზი მწვრთნელი. მისი გაშვება როგორ შეიძლებოდა? ახლა ისიც ელიავაზე ვაჭრობს.

**- საინტერესოა თქვენი აზრი ჩვენს დღევანდელ ნაკრებზე. თითქოს რალაც ასპექტებში ჩამოვრჩით თანამედროვე ჭიდაობას და შედეგმაც იკლო...**

- დავიწყოთ იმით, რომ ქართული ჭიდაობა ჩემთვის დღესაც ძველებურად ახლობელია და უცხო არც მომავალში იქნება. აქაურების ყველა წარმატება ჩემი დიდი სიხარულია. თუმცა ნაკრებს ადგილობრივი მწვრთნელებივით ვერ შევაფასებ, ვინაიდან ასე ახლოს არ ვიცნობ. ამიტომ ამ თემაზე ლაპარაკი ზერელედ გამომივა, რადგან საამისოდ ვარჯიშებს უნდა დავესწრო. მაგალითად, გუშინ ერთს დავესწარი, მაგრამ საჭიროა, კიდევ ვნახო სხვები. მხოლოდ ამის შემდეგ ვიტყვი, რა აკლია გუნდს სხვადასხვა კომპონენტში.

მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატს რაც შეეხება, ვფიქრობ, ნაკრები ცუდად არ იყო მომზადებული, მაგრამ გვიან გადაეწყო ახალ წესებზე, ამ მხრივ არ იყო მზად სათანადოდ. როცა წესები იცვლება, მაშინ ვარჯიშებიც უნდა შეიცვალოს. მაგალითად, მე ორი წელიწადია, სამწუთიან პერიოდებზე ვამზადებ გუნდს, როცა ეს წესი ახლა შემოიღეს. ასევე, 1.20 საათის ნაცვლად 2 საათი ვავარჯიშებდი. ცხადია, იყო წინააღმდეგობები – ეს წესი ჯერ არ შეცვლილა და რა ხაჭიროა ასე მზადებაო, მაგრამ მე ვამბობდი, რომ თუ არ შეიცვლება, მაშინ ჩავალაგებ ჩემოდანს და წავალ სახლში-მეთქი. როგორც ჭადრაკში უნდა გათვალო მომდევნო სვლები, მწვრთნელიც ასევე უნდა ჭვრეტდეს, რა გზით განვითარდება ჭიდაობა. ახლანდელი წესებიც შეიცვლება, უფრო გამკაცრდება.

**- მაინც რა სახის ცვლილებას მოელით?**

- ვფიქრობ, რომ პასიურობაზე ყოველთვის სამართლიანად არ აფრთხილებენ. ამიტომ მოველი, რომ მსაჯებს ყურსასმენს მისცემენ და მათ გადაწყვეტილებებს გააკონტროლებენ. წლევანდელ მსოფლიოზე ხშირად იყო შემთხვევები, როცა შემტევს აფრთხილებდნენ – ასე მოექცნენ როგორც აქაურ, ისე ჩემს შეგირდებს. მაგალითად, 60 კილოგრამში ასე წააგებინეს ბარჯანგს ბულგარელ ვლადიმირ დუბოვთან, თუმცა მერე ის ფინალში გავიდა, ჩემმა მოსწავლემ კი დამამშვიდებელში ივარგა და ბრინჯაო მოიპოვა. შეიძლება, მას ისეც წაეგო ის შეხვედრა, მაგრამ იმ ანგარიშით არ დამარცხდებოდა.

**- დადგა დრო, ინდოეთზეც ვისაუბროთ. რის ხარჯზე მიაღწიეთ იქ ასეთ შედეგს, პრაქტიკულად – ცარიელ ნიადაგზე?**

- იქ 2003 წელს ჩავედი მაკედონიიდან. ჩემამდე ინდოეთში ბელორუსი მწვრთნელი – გორლა მუშაობდა, დაახლოებით წელიწადი და 8 თვე, რომელმაც ახალგაზრდებში კარგი შედეგი აჩვენა – მსოფლიოზე ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვეს. ამის მიუხედავად, ის მწვრთნელი მალევე გამოუშვეს ფედერაციის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო. თავის მხრივ, გორლამ ჩრდილოკორეელი მწვრთნელის მიერ გამოზრდილი ჭაბუკების თაობა ჩაიბარა. ჩვენ ახალგაზრდების წარმატებებს დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებდით, იმდენი სახელოვანი ფალავანი გვყავდა, იქ კი ის ბიჭები იყვნენ ყველაფერი. ცხადია, მე ყველასგან ერთნაირად ვითხოვდი შრომას, იქაურებს კი ძალიან უკვირდათ, როცა ვამბობდი, მერე რა, მსოფლიოს ჩემპიონები თუ არიან, ვარჯიში ყველას მოეთხოვება-მეთქი. თუმცა ყველაფერს მიდგომა უნდა და მეც თანდათან გადავლახე ეს წინააღმდეგობები. ამბობენ, სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო, მაგრამ მე ჩემს ქუდს არსად ვიხდი. თუმცა, მთავარია, პატივი სცე იქაურ ტრადიციებს, ნუ შეეხები რელიგიას ანუ იყავი ტოლერანტი, დანარჩენი კი დროის საქმეა. ისინიც ჩვეულებრივი ხალხია. ტრადიციები იქ ბევრად უკეთაა შემონახული. ძალიან დიდ პატივს სცემენ მშობლებს, თვალებში შეჰყურებენ, მამას კი პირდაპირ აღმერთებენ.

**- დღეს, ასეთი შედეგების პირობებში კიდევ ისეთივე მიდგომა აქვთ?**

- არა, უკვე არაა ისეთი მდგომარეობა, თუმცა მოსათოკად ცოტა ძნელი ხალხია, ოღონდ ნიჭიერებიც არიან, ადვილად ითვისებენ ნასწავლს. რთულია, გარდაქმნა ადამიანები, მაგრამ ამასობაში პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ, ადრინდელივით აღარ არიან. თან ჭიდაობით მათი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ესეც სტიმულია სხვებისთვის. მაგალითად, 2003 წელს, როცა მივედი, ნაკრების წევრთაგან სულ სამს ჰყავდა მანქანა, ახლა კი თითქმის ყველას ჰყავს. წარმატებულმა სპორტსმენებმა უკვე დიდი ფულიც იშოვეს და – დიდი თანამდებობებიც. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონი სუშილ კუმარი მთელი რკინიგზის სპორტს განაგებს, ოლიმპიადის მესამე პრიზიორი იოგეშვარ დუტი პოლიციის პოდპოლკოვნიკია. საერთოდ, იქაურთა უმეტესობა პოლიციაში მსახურობს, სუშილისა და კიდევ 1-2-ის გარდა.

**- ალბათ, იქაური ფედერაციის დამოკიდებულებით უკმაყოფილო იქნებით, რადგან ლონდონის ოლიმპიადაზე არ წაგიყვანეს...**

- ინდოეთი ცოტა რთული ქვეყანაა - ჭირს სამსახურის შოვნა. ოლიმპიადაზე ვინც წავა, ის ცხოვრებასაც იწყობს – ყველამ მიიღო სამსახური, პრემია, ფული. თან სამი ლიცენზიანტი გვყავდა, ამ გუნდს კი, ფილას რეგლამენტით, 2 მწვრთნელი ეკუთვნოდა. ამიტომ არც მომითხოვია დელეგაციაში შეყვანა, თუმცა როცა 6 მყავდა, არც მაშინ დამაფინანსეს. ბუნებრივია, ყველგან ცდილობენ უცხოელთა საქმის მიჩქმალვას და თავისიანის წინ წამოწევას.

**ირაკლი თავაძე**

## ● ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი




ლევან გუგავა (მარჯვნივ) უმედლოდ დარჩა

# ნარუმატებელი დღე

სამწუხაროდ, ლიუბლიანაში მიმდინარე ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის გუშინდელი დღე ფრიად წარუმატებელი აღმოჩნდა ჩვენი გუნდისთვის – ტატამზე გასული სამივე მონაწილე პირველივე წრიდან გამოვარდა და არათუ უმედლოდ დავრჩით, სანუგეშოში გადასვლის საშუალებაც არ მოგვეცა.

გუშინ **გელა კელიხაშვილი** (66), **ლევან გუგავა** და **ფრიდონ გიგანი** (ორივე – 73) ჭიდაობდნენ. თავდაპირველად 73-ში ვიგემეთ განბილება – ჯერ ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი გუგავა დამარცხდა, რომელმაც პოლონელ **დამიენ სტეპიენთან** თავიდან დაკარგა იუკო, რაც მერე ვერაფრით გაქვითა. თანაგუნდელს რამდენიმე წუთში ჭაბუკებში მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი გიგანიც მიჰყვა – იტალიელ **ანტონიო ესპოზიტოსთან** გაფრთხილებით წააგო. დაახლოებით ერთ საათში ზუსტად ასე დამარცხდა კელიხაშვილიც – მონღოლი **ტუმენნასან ერდენეტოგტოხი** აქტიურიც იყო და მსაჯსაც ძნელად მიედავები ჩვენებურის გაფრთხილებისთვის. ქართველს ანგარიშის შესაცვლელად დრო ბევრი ჰქონდა, მაგრამ საამისო რესურსი, როგორც შეხვედრის მიმდინარეობამ აჩვენა, არა.

საბოლოოდ 66 კილოგრამში იაპონური ფინალი ვიხილეთ. ეს სულაც არ ყოფილა მოულოდნელი, რასაც ვერ ვიტყვით ფინალურ შედეგზე – **იუუკი ჰაშიგუჩიმ** მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **შო ტატეიამა** დაამარცხა. აი, 73-ში კი გიგანის მძლეველმა იტალიელმა ესპოზიტომ გაიმარჯვა. ამ წონაში ბერძენთა ქართველი ევროპის ჩემპიონი **რომან მასტოპულოსი** ამჯერად მესამეზე გავიდა.

დღეს საქმეში მორიგი ქართული სამეული ჩაებმება და ყველაზე დიდი წარმატების მოპოვების იმედსაც ვიტოვებთ – ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და ტალანტად აღიარებული **ბექა ღვინიაშვილი** (90) ჭიდაობს. ის პირველ წრეში ისვენებს, პირველი შეხვედრა კი ირანელი **რამინ საფავიესა** და სლოვაკი **არპად სზაკაცს** შორის გამარჯვებულთან მოუწევს. მისსავე ქვეჯგუფშია ჰოლანდიელი **მიხაელ კორელიც**, ვინც ჩვენებურმა წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალში შებოჭა, ოღონდ ამჯერად მას მეოთხედფინალში თუ შეხვდება. მერვედფინალში ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ აქამდე უცნობი რუსი **რამაზან მალსიგენოვიც** მოუდის. მის შესაძლებლობებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით იმის გარდა, რომ რუსეთის თანატოლთა ჩემპიონატში, აგრეთვე ახალგაზრდების ევროთასებზე პეტერბურგსა და ლიონში მესამე ადგილზე გასულა... ღვინიაშვილს ბევრად ძლიერი შეჯიბრებები მოუგია ტრიუმფით და, იმედია, მისთვის ძნელი ბარიერი არც მალსიგენოვი იქნება. თუ მან ევროპის შემდეგ ძალების სრულად აღდგენა მოასწრო (რაც ვერ შეძლო, მაგალითად, გუგავამ), მაშინ ფინალში გასვლაც არ უნდა გაუჭირდეს, იმის მიუხედავად, რომ ნახევარფინალში სავარაუდო მეტოქედ უნგრელთა წლევანდელი მესამე პრიზიორი **გერგო ფოგასიც** ელოდება.

ამავე წონაში **ლაშა ტაველური** თავიდან მასპინძელ **ტადეი მულეცს** ხვდება, ამათში მოგებული კი ებრაელ **ლი კოჩმანს** დაეჭიდება. ამავე ჯგუფშია ახალგაზრდებში აზიის იაპონელი ჩემპიონი **იუსიკე კობაიაშიც**.

81 კილოგრამში ერთადერთი მონაწილე გვყავს - ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ბექა დონლვანი**. ის პირველ წრეში ფილიპინელ **კოდო ნაკანოს** ეპაექრება, მასთან მოგების შემთხვევაში კი ევროპის წლევანდელი ბულგარელი ბრინჯაოს პრიზიორი **ივაილო ივანოვი** ელოდება.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

#### ბიჭები

**66 კგ.** 1. იუუკი ჰაშიგუჩი; 2. **შო ტატეიამა** (ორივე – იაპონია); 3. ადრიან კომბოცი (სლოვენია), ჟერემი მორეირა (საფრანგეთი).

**73 კგ.** 1. ანტონიო ესპოზიტო; 2. სარვარ შომუროდოვი (უზბეკეთი); 3. გაბრიელ მენდესი (ბრაზილია), რომან მასტოპულოსი (საბერძნეთი).

#### გოგონები

**52 კგ.** 1. საპო ცობანი (გერმანია); 2. ჯესიკა პერეირა (ბრაზილია); 3. ლარისა ფლორიანი (რუმინეთი), ოდეტე გიფრიდა (იტალია).

**57 კგ.** 1. არლეტა პოდოლაკი (პოლონეთი); 2. კატრინა ბაუჩმინ-პინარდი (კანადა); 3. ჩრისტა დეგუჩი (იაპონია), ფაბიენე კოჩერი (შვეიცარია).

## ● მიმართვა

# საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბ. ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

მადლიერების გრძნობით მოგმართავთ სახელოვან სპორტსმენთა დიდი ოჯახი, ჩვენო იმედო და ნუგეშო, იმისათვის, რომ გასული წლის პირველ ოქტომბერს ქვეყანასა და ქართველ ხალხს გაგვითენეთ მშვიდობიანი და სიხარულით სავსე მზიანი დღე.

გვიხსენით საშინელი განსაცდელისა და სიბოროტისაგან, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს და საქართველო და ქართველი ხალხი, ჩვენი სამშობლოს სხვა ეროვნების მოქალაქეებთან ერთად გადაგვიყვანეთ ქვეყნის მრავალათასწლოვანი ისტორიის არსებობის ახალ ეპოქაში. ეპოქაში - გაბრწყინებისა და აღმშენებლობისა.

გადაჭარბების გარეშე ვიტყოდი, რომ პირველი ოქტომბერი საკრალური ციფრია რელიგიური მადლითა და დატვირთვით, რომელიც დევს ახალი აღთქმის „მოციქულ იოანეს გამოცხადებაში", სადაც საქართველო ბერძენი თეოლოგისა და მკვლევრის კირილ ლავრიოტისის მიერ მიჩნეულია ფილადელფიის ეკლესიად და საზეპურო ერად.

ქვეყნის სულიერი მამის, უწმინდესის და უნეტარესის, ჩვენი მიწიერი ანგელოზის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თქვენ ქართველ ხალხთან ერთად გიჭირავთ დიდი დავითის გასაღები, რომელიც გააღებს და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ვერავინ გააღებს. მოახლოებულია გაბრწყინების ჟამი. საქართველო „ნეტარი კუნძული იქნება" და ახალი იერუსალიმი საქართველოზე დაეშვება.

თქვენდამი საერთო სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით,

*ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ჩემპიონთა კლუბის და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე, ფსკ „დინამოს" გენერალური დირექტორი*

Ⓡ **გურამ საღარაძე**

## მილოცვა

საფეხბურთო კლუბი საბურთალო, სახელოვან ფალავანს, ფეხბურთის გულშემატკივარს, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ბატონ **ვახტანგ ბლაგიძეს** ულოცავს ვარსკვლავის გახსნას და უსურვებს დიდ წარმატებებს ქართული სპორტის სამსახურში.

## ● თარიღები და მოვლენები

### 25–27 ოქტომბერი

**25. 1939.** დაიბადა **ანზორ ქიბროწაშვილი** - ძიუდო, სამბო. გარდაიცვალა 2008 წელს

**25. 1984 წ.** ვოლგოგრადში დამთავრდა საჭადრაკო მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. **მაია ჩიბურდანიძემ** 8,5:5,5 დაამარცხა **ირინა ლევიტინა** და ჩემპიონობა შეინარჩუნა

**26. 1936.** დაიბადა **ბორის სიჭინავა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2011 წელს

**26. 1958 წ.** თავრიზში ადგილობრივი საფეხბურთო ნაკრები 0:7 დამარცხდა თბილისის „დინამოსთან" ამხანაგურ მატჩში

**26. 1977 წ.** ჰალეში (გდრ) სამოყვარულო კრივში **დავით კვაჭაძე** პირველი ევროპის ჩემპიონი გახდა საქართველოდან

**26. 1980.** დაიბადა **ლადო ბურდული** - ფეხბურთი

**26. 10. 1997 წ.** ბუდაპეშტში **გიორგი კანდელაკი** გახდა პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი სამოყვარულო კრივში

**27. 1928.** დაიბადა **ტრიფონ მესხი** - ფარიკაობა, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1993 წელს

**27. 1944 წ.** თეირანში თბილისის „დინამომ" 4:0 დაამარცხა ქალაქის ფეხბურთელთა ნაკრები

**27. 1965 წ.** ფეხბურთი. თბილისის „დინამომ" ჩეხოსლოვაკიის გრადეც-კარლოვის „სპარტაკს" უმასპინძლა და 5:1 (0:0) მოუგო

**27. 1989 წ.** ფეხბურთში სსრკ პირველობაზე ბოლო მატჩი თბილისის „დინამომ" კიეველ თანაკლუბელებთან ჩაატარა - 2:2

**27. 2007. საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გაიმარჯვა (მწვრთნელი შოთა ხაბარელი)**

**27. 2010 წ.** მიუნხენი. მსოფლიოს თასი 25 მ. პისტოლეტით სროლაში **ნინო სალუქვაძემ** მოიგო.

## ● ხელბურთი

# ვინ უმასპინძლებს მსოფლიოს?

ცხრამეტწლამდელ ხელბურთელთა მსოფლიოს პირველობებს 2005 წელს ჩაეყარა საფუძველი. დღემდე მსგავსი შეჯიბრებები ყატარში, ბაჰრეინში, ტუნისში, არგენტინასა და უნგრეთში ჩატარდა. გადამწყვეტ ეტაპზე მედლებისთვის 24 გუნდი იბრძვის. 2017 წლის პირველობა აგვისტოში უნდა გაიმართოს. თუ სად, ეს 27 ოქტომბერს დოჰაში (ყატარი) ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე გაირკვევა.

დღეს ყატარში საქართველოს დელეგაცია ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე**, გენერალური მდივანი **ქეთევან კობერიძე**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი ჩავლეიშვილი**, იმერეთისა და კახეთის რეგიონული ხელბურთის ფედერაციების თავკაცები - **დავით აბულაძე** და **გიორგი სვიმონიშვილი**. საქართველოს განაცხადს ქეთევან კობერიძე წარადგენს.

კონგრესზე საქართველოს ხელბურთის ფედერაციისთვის მთავარი საკითხი 27 ოქტომბერს განიხილება. ამ დღეს უნდა დასახელდეს 2017 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობის მასპინძელი ქვეყანა. კანდიდატი ორია - საქართველო და ხორვატია. ამ უკანასკნელს მეორე განაცხადიც აქვს შეტანილი 21-წლამდელთა ანალოგიური ტურნირის მასპინძლობაზე.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ კონგრესს წარუდგინა ოთხი ქალაქის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ტურნირი უნდა გაიმართოს თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში. კონცეფციის იდეაა ხელბურთის განვითარება და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

დაგეგმილია სამი ახალი, თანამედროვე სტანდარტის სპორტის სასახლის მშენებლობა თელავში (2000 ადგილი), ქუთაისსა (3-4 ათასი) და ბათუმში (5-6 ათასი), რასაც საქართველოს მთავრობა უჭერს მხარს.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ჩემპიონატი

# აია ლიდერია, ლელო ჩემპიონი

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. გათამაშების ცხრილს სათავეში ქუთაისის „აია“ უდგას, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მის უახლოეს მდევარ თბილისის „ლელოს“ ერთი თამაში თადარიგში აქვს.**


ყოჩები-აკადემია

ვინ იქნება პირველი წრის გამარჯვებული, ამაზე პასუხი, შესაძლოა, ახლავე, მერვე ტურში მივილოთ. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ლელო“ გათამაშების ლიდერს, „აიას“ სტუმრობს. მასპინძელთა გამარჯვების შემთხვევაში ისინი მეტოქეთაგან მიუწვდომელნი შეიქნებიან და პირველ წრეს მოიგებენ.

ქუთათურები ამ შედეგის საჩვენებლად ყველაფერს ილონებენ. **ბესიკ ხამაშურიძისა** და **კობა გიორგაძის** გაწვრთნილი გუნდი წლეულს ძალზე სოლიდურად გამოიყურება. „აიას“ მორაგბეები უწინდელთან შედარებით ნაკლებ შეცდომებს უშვებენ და წარმატების მიღწევის შანსს მაქსიმალურად იყენებენ. ერთი სიტყვით, გუნდი სტაბილურად ძლიერად თამაშობს.

საგრძნობლად მოღონიერდა ქუთაისელთა უკანა ხაზი. საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების წევრებს **ზურაბ ძნელაძეს** და **გიორგი ფრუიძეს** მხარი 19-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეებმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** და **თემურ თუთბერიძემაც** აუბეს. „აიას“ ლელოების უმრავლესობა სწორედ უკანა ხაზის მორაგბეების ანგარიშზე მოდის. სამწუხაროა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში, რომელიც ნოემბრის ტესტებზე სამ მატჩს გამართავს, ვერავინ მოხვდა.

„ლელოს“, ცხადია, ქუთაისში უმძიმესი ბრძოლა ელის. თბილისური გუნდი, წესით მატჩს უკეთ მომზადებული უნდა შეხვდეს, რადგან წინა, მე-7 ტურში ისვენებდა („არმაზთან“ მატჩი დეკემბრისთვის გადაიდო), შესაბამისად, ლელოელები ძალების აღდგენას და მიკროტრავმების მოშუშებას მოასწრებდნენ. „აიას“ კი, ამ დროს ურთულესი ბრძოლა გადახდა სტუმრად „არმიასთან“.

„ლელო“ არაფერს დაიშურებს, რომ წინ გაჭრილი მეტოქე დაამუხრუჭოს. გამორიცხული არ არის, ამ შეხვედრაში გუნდს მგეზავი **ლაშა ხმალაძე** დაუბრუნდეს, რომელიც „ბორჯღალოსნების“ შემადგენლობაშიცაა გამოძახებული. მის გარდა ჩემპიონები ეროვნულ გუნდში კიდევ ორ მორაგბეს, ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს** და შერკინების კვაჭ **რეზო ბელქანიას** მიავლენენ.

ლიდერებს ბევრად არ ჩამორჩება ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“. **თემურ ბენდიაშვილი** ბევრისთვის სრულიად უცნობი მორაგბეებით, რომელიც გუნდის უმრავლესობას წარმოადგენენ, სასწაულებს სჩადის. რკინიგზელებმა მხოლოდ ორი მატჩი წააგეს მოქმედ ჩემპიონ „ლელოსთან“ და წლეულს საგრძნობლად მოღონიერებულ „არმაზთან“.

შესანიშნავ ფორმაშია „ლოკომოტივის“ ფულბეკი **ბექა წიკლაური**, რომელიც ტრავმის მოშუშების მერე ფორმაში შესული მესამეხაზელის, **გივი ბერიშვილის** დარად საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს. მიუხედავად ყველაფრისა, მწყობრი და ძველებურად მძლავრი თამაშის მისაღწევად, „ლოკომოტივს“ ჯერ კიდევ ბევრი გარჯა მოუწევს. მერვე ტურში რკინიგზელები ერთ-ერთ აუტსაიდერს, „ბათუმს“ უმასპინძლებენ, რომელმაც ექვსი მატჩი გამართა და მხოლოდ ერთი მოიგო.

ბათუმელთაგან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლეულს ყველა გაცილებით მეტს ელოდა. გუნდს გამოცდილი დამრიგებელი, **ლევან მგელაძე** მოძლვრავს და არც ფინანსურად უჭირს. შესაძლოა, „ბათუმის“ ასეთი წარუმატებელი პირველი წრე ლოგიკურიცაა, რადგან სეზონის დაწყების წინ, გუნდი ყველა მიწვეულმა მოთამაშემ დატოვა და ადგილობრივი კადრების ამარალა დარჩა. ძნელი სათქმელია, რა სტრატეგიული გათვლა აქვს მგელაძეს, თუმცა ფაქტია, რომ „ბათუმი“ აუტსაიდერია და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

წლეულს, ბოლო ორი სეზონისგან განსხვავებით, ბევრად უკეთესად ასპარეზობს ბოლნისის „ყოჩები“, რომელიც სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე იმყოფება და კარგი შანსი აქვს, არა მარტო პლეი ოფში მოხვედრისთვის, არამედ მედლებისთვისაც იბრძოლოს.

„ყოჩებმა“ რკინიგზელთა მსგავსად მხოლოდ ორი მატჩი დათმეს, თუმცა ერთიც ფრედ ითამაშეს. გუნდი ნელ-ნელა ძალას იკრებს და თავდაჯერებულობაც ემატება. ბოლნისელებს მერვე ტურში მორიგი სერიოზული გამოცდა ელოდებათ. მათი მეტოქე „არმია“ იქნება, რომელიც, მართალია, კრიზისში იმყოფება, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა და როდის გამოაჩენს „ბასრ ბრჭყალებს,“ არავინ იცის.

არმიელებმა ექვსი თამაშიდან ორი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს, სამი წააგეს და სატურნირო ცხრილში მათთვის უჩვეულო, მე-7 ადგილზე იმყოფებიან. ძნელი ასახსნელია, რითაა გამოწვეული ამ გუნდის ასეთი კრიზისი. „არმიას“ სხვა გუნდებთან შედარებით ბევრად უკეთესი ფინანსური მდგომარეობა აქვს და სეზონისწინა მზადებაც სრულყოფილად გაიარა. ძნელი სათქმელია, ჩავარდნა დროებითია თუ არა, თუმცა ფაქტია, რომ გუნდს აშკარად უჭირს მობილიზება და გამარჯვებისკენ ძველებურად დაუოკებელი სწრაფვა.

„ყოჩებს“ კვალში უდგას თბილისის „არმაზი“, რომელსაც ერთი მატჩი ასევე თადარიგში აქვს. არმაზელები ხვალ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ თბილისის „აკადემიას“ დაუპირისპირდებიან, რომელიც, ჯერჯერობით, სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება. თამაში, წესით, უშელავათო უნდა გამოდგეს. აკადემიელებს, ფაქტობრივად, უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ და, სავარაუდოდ, მეტოქეს იოლად არაფერს დაუთმობენ.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 7 | 6 | 0 | 1 | +79 | 28 |
| 2. ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | +79 | 23 |
| 3. ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | +37 | 23 |
| 4. ყოჩები | 7 | 4 | 1 | 2 | +30 | 20 |
| 5. არმაზი | 6 | 4 | 0 | 2 | +18 | 18 |
| 6. ჯიქები | 7 | 2 | 2 | 3 | +18 | 15 |
| 7. არმია | 6 | 2 | 1 | 3 | +18 | 13 |
| 8. აკადემია | 6 | 1 | 0 | 5 | -106 | 5 |
| 9. ბათუმი | 6 | 1 | 0 | 5 | -86 | 5 |
| 10. ხარები | 6 | 0 | 0 | 6 | -87 | 2 |

**VIII ტური**

აია-ლელო, ლოკომოტივი-ბათუმი, არმია-ყოჩები, ჯიქები-ხარები, არმაზი-აკადემია.


ლოკომოტივი-არმია

ნოემბრის ტესტები


გიორგი ჩხაიძე, მამუკა გორგოძე და შალვა სუთიაშვილი დერეფანში

# ჰეიგმა სატესტო რაზმი გამოაცხადა

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტებზე თბილისსა და რუსთავში სამ შეხვედრას გამართავს. „ბორჯღალოსნების“ მთავარმა მწვრთნელმა ახალზელანდიელმა მილტონ ჰეიგმა იმ 26 მორაგბის სია გააცხადა, რომლებიც ამ მატჩებში იასპარეზებენ.**

ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქეები კანადის, აშშ-ისა და სამოას ნაკრებები იქნებიან. სამწუხაროდ, „ბორჯღალოსნებს“ ტრავმების გამო სერიოზული დანაკლისი აქვთ. ნოემბრის ტესტებზე ვერ ითამაშებენ **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (მასი), **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი), **ჯაბა ბრეგვაძე** და **ვასილ კაკოვინი** (ორივე-ტულუზი). ნაკრებში გამოძახებულთა შორის არ არიან მეორეხაზელი **გიორგი ნემსაძე** (ტარბი) და გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** (ალბი).

*„კარგად დაბალანსებულ, გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს მოვუყარეთ თავი. ამ შემადგენლობით ორი წელიწადია ვასპარეზობთ. სამი ურთულესი მატჩი გველის, რისთვისაც კარგად უნდა მოვემზადოთ და შესაბამისი თავდაჯერებით ვითამაშოთ“* - თქვა „ბორჯღალოსნების“ თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა.**

შეგახსენებთ, რომ 9 ნოემბერს საქართველოს ნაკრები თბილისში ეროვნულ სტადიონზე კანადის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, ერთი კვირის თავზე მეტოქე აშშ-ის ნაკრები იქნება, რომელსაც რუსთავში დავხვდებით. 23 ნოემბერს კი, ტესტების ბოლო მატჩში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სამოას ვეთამაშებით.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** დავით ხინჩაგიშვილი (მეტრო რასინგი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია, დავით ქუბრიაშვილი (ორივე-სტად ფრანსე), სიმონ მაისურაძე (ბაგნერე), შალვა მამუკაშვილი (არმია), რეზო ბელქანია (ლელო), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

**მესამე ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხმალაძე (ლელო),

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

ამასობაში კანადის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კირან ქროულიმ** გუნდის ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 3 ნოემბერს ონტარიოში ახალი ზელანდიის მაორების ნაკრებს დაუპირისპირდება. „ნეკერჩხლის ფოთლების“ შემადგენლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო არ ითამაშებენ: **ბრეტ ბუკებუმი** (პლიმუთი), **ჯიმი კუდმორი** (კლერმონი), **ტომ დოლეჟალი** (ონტარიო ბლუზი), **შონ დუკი, ნათან ჰირაიამა** (ბეარსი), **ფილ მაკკენზი** (სეილ შარქსი), **ჯეისონ მარშალი** (ლა როშელი), **ჯეიმზ პრიტჩარდი** (ბედფორდ ბლუზი), **ჯებ სინკლერი** (ლონდონ აირიში) და **დი ტი ეიჩ ფან დერ მერვე** (გლაზგო).

კანადელები, სავარაუდოდ, თბილისშიც სწორედ ამ მოთამაშეების გარეშე გვეწვევიან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მომავალი მეტოქე ევროპაში კიდევ ორ მატჩს გამართავს რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებებთან.

**კანადის ნაკრები**

ტაილერ არდრონი, ჯეფ ჰესლერი (ორივე-ოსფრიზი), რეი ბერკვილი, ჯიმი მაკენზი, ჯონ მუნაითი, მაიკ შოლცი, დუგ ვულდრიჯი (ხუთივე-ონტარიო ბლუზი), ნიკ ბლევინსი (კალგარი ჰორნეტსი), კონორ ბრედი, მეთ ევანსი, აარონ ფლეიგი, ჰარი ჯოუნზი, ფილ მეკი, რაიან მარში, კონორ ტრეინორი (შვიდივე-ბიარსი), ჰუბერტ ბაიდენსი (მანავატუ), აარონ კარპენტერი, კირან ჰირნი, ადამ კლეებერგერი, ენდრიუ ტიდმენი (ოთხივე-კესტეველ უონდერერზი), კაილი გილმორი (სენტ ალბერტსი), ჯეკი აილნიკი (ოქლენდი), პეტ პარფრეი, ჯონ პელანი (ორივე-ატლანტიკ როკი), ლიამ ანდევუდი (ქვინზ უნივერსიტეტი).

**ნოემბრის ტესტები**

| | |
|---|---|
| 9 ნოემბერი | საქართველო-კანადა |
| 16 ნოემბერი | საქართველო-აშშ |
| 23 ნოემბერი | საქართველო-სამოა |

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA 2013/14 წლების სეზონის წინ

# დამდეგი სეზონი ბოსების თვალით

**როგორც უკვე ვწერდით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ლიგის კლუბების გენერალური მენეჯერების გამოკითხვის შედეგები. ახალი სეზონის წინ, 30 კლუბის ბოსმა 56 შეკითხვას უპასუხა. გთავაზობთ პასუხების ნაწილს, რომელთაგანაც ბევრი ლოგიკურია და ბევრიც საგულისხმო.**
**მაშ ასე, გახდება "მაიამი" ზედიზედ მესამედ ჩემპიონი? მენეჯერთა უმრავლესობა ამაში დარწმუნებულია. მათ ასევე ერთხმად მიაჩნიათ, რომ ლებრონ ჯეიმსი ლიგის საუკეთესო კალათბურთელია.**
**სამწლიანი პაუზის შემდეგ, გამოკითხვაში დაბრუნდა 37 წლის ტიმ დანკანი, როგორც ლიგის საუკეთესო მძიმე ფორვარდი. და პირველად ამგვარი გამოკითხვის 12-წლიან ისტორიაში, მენეჯერებმა არ მიიჩნიეს საუკეთესო შემტევ მცველად კობი ბრაიანტი.**

### რომელი გუნდი გახდება 2013/14 წლების სეზონის ჩემპიონი?

1. „მაიამი" - 75,9%
2. „ინდიანა" და „სან ანტონიო" - 6,9%

**ასევე მოიხსენიეს:** „ჩიკაგო", „კლიპერსი", „ოკლაჰომა"
**შარშანდელი შედეგი:** „მაიამი" - 70,0%

### რომელი გუნდი გახდება აღმოსავლეთი კონფერენციის ჩემპიონი?

1. „მაიამი" - 86,2%
2. „ინდიანა" - 10,3%
3. „ჩიკაგო" - 3,4%

**შარშანდელი შედეგი:** „მაიამი" - 96,7%

### რომელი გუნდი გახდება დასავლეთი კონფერენციის ჩემპიონი?

1. „სან ანტონიო" - 40,0%
2. „ოკლაჰომა" - 36,7%
3. „კლიპერსი" - 20,0%
4. „ჰიუსტონი" - 3.3%

**შარშანდელი შედეგი:** „ლეიკერსი" - 60,0%

### ვინ გახდება 2013-14 წლების სეზონის MVP?

1. ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 69,0%
2. კევინ დურანტი, „ოკლაჰომა" - 24,1%

**ასევე მოიხსენიეს:** კარმელო ენტონი, „ნიუ იორკი"; კრის პოლი, „კლიპერსი"
**შარშანდელი შედეგი:** ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 66,7%

### დღეს რომ შეგეძლოთ ნებისმიერი კალათბურთელის გადაბირება, ვის აირჩევდით?

1. ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 89,7%
2. კევინ დურანტი, „ოკლაჰომა" - 6,9%
3. კაირი ირვინგი, „კლივლენდი" - 3,4%

**შარშანდელი შედეგი:** ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 80,0%

### რომელი კალათბურთელი მიაღწევს სეზონში ყველაზე დიდ პროგრესს?

1. ენტონი დევისი, „ნიუ ორლეანი" - 27,6%
2. ანდრე დრამონდი, „დეტროიტი" - 10,3%
3. დერიკ ფეივორსი, „იუტა"; პოლ ჯორჯი, „ინდიანა"; რეჯი ჯექსონი, „ოკლაჰომა" - 6,9%

**ასევე მოიხსენიეს:** ბრედლი ბილი, „ვაშინგტონი"; ჯეიმს ჰარდენი, „ჰიუსტონი"; ტობიას ჰარისი, „ორლანდო"; გორდონ ჰეივორდი, „იუტა"; კაირი ირვინგი, „კლივლენდი"; დეანდრე ჯორდანი, „კლიპერსი"; ჯერემი ლემბი, „ოკლაჰომა"; კავაი ლეონარდი, „სან ანტონიო"; კევინ ლავი, „მინესოტა"; კლეი ტომპსონი, „გოლდენ სტეიტი"; იონას ვალანჩიუნასი, „ტორონტო"; ჯონ უოლი, „ვაშინგტონი"
**შარშანდელი შედეგი:** კლეი ტომპსონი, „გოლდენ სტეიტი" - 13,3%

### NBA-ს საუკეთესო გამთამაშებელი?

1. კრის პოლი, „კლიპერსი" - 70,0%
2. დერიკ როუზი, „ჩიკაგო" - 20.0%
3. ტონი პარკერი, „სან ანტონიო" - 10,0%

**შარშანდელი შედეგი:** კრის პოლი, „კლიპერსი" - 69,0%

### NBA-ს საუკეთესო შემტევი მცველი?

1. ჯეიმს ჰარდენი, „ჰიუსტონი" - 56,7%
2. კობი ბრაიანტი, „ლეიკერსი" - 20,0%
3. სტივენ კარი, „გოლდენ სტეიტი"; კევინ დურანტი, „ოკლაჰომა"; პოლ ჯორჯი, „ინდიანა" - 6,7%
6. დუეინ უეიდი, „მაიამი" - 3,3%

**შარშანდელი შედეგი:** კობი ბრაიანტი, „ლეიკერსი" - 66,7%

### NBA-ს საუკეთესო მსუბუქი ფორვარდი?

1. ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 86,7%
2. კევინ დურანტი, „ოკლაჰომა" - 13,3%

**შარშანდელი შედეგი:** ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 73,3%

### NBA-ის საუკეთესო მძიმე ფორვარდი?

1. ტიმ დანკანი, „სან ანტონიო" - 31,0%
2. კევინ ლავი, „მინესოტა" - 27,6%
3. ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 13,8%
4. ლამარკუს ოლდრიჯი, „პორტლენდი"; ბლეიკ გრიფინი, „კლიპერსი" - 6,9%

**ასევე მოიხსენიეს:** კრის ბოში, „მაიამი"; კევინ დურანტი, „ოკლაჰომა"; კევინ გარნეტი, „ბრუკლინი"; დირკ ნოვიცკი, „დალასი"
**შარშანდელი შედეგი:** კევინ ლავი, „ოკლაჰომა" - 30,0%

### NBA-ის საუკეთესო ცენტრი?

1. დუაიტ ჰოვარდი, „ჰიუსტონი" - 65,5%
2. მარკ გასოლი, „მემფისი" - 20,7%
3. ტიმ დანკანი, „სან ანტონიო" - 10,3%
4. როი ჰიბერტი, „ინდიანა" - 3,4%

**შარშანდელი შედეგი:** დუაიტ ჰოვარდი, „ჰიუსტონი"- 93,3%

### რომელმა გუნდმა ჩაატარა სეზონისწინა პერიოდი ყველაზე კარგად?

1. „ჰიუსტონი" - 55,2%
2. „ბრუკლინი" - 24,1%
3. „კლიპერსი" - 10,3%

**ასევე მოიხსენიეს:** „ბოსტონი", „ინდიანა", „ოკლაჰომა"
**შარშანდელი შედეგი:** „ლეიკერსი" - 86,2%

### რომელი კალათბურთელი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი?

1. დუაიტ ჰოვარდი, „ჰიუსტონი" - 86,2%

**ასევე მოიხსენიეს:** კევინ გარნეტი, „ბრუკლინი"; ჯრიუ ჰოლიდეი, „ნიუ ორლეანი"; პოლ მილსეპი, „ატლანტა"; ჯოშ სმიტი, „დეტროიტი"
**შარშანდელი შედეგი:** დუაიტ ჰოვარდი, „ჰიუსტონი" - 70,0%

### რომელი გუნდი მოემზადა ყველაზე კარგად 2013/14 წლების სეზონისთვის?

1. „დეტროიტი" - 16,7%
2. „ბრუკლინი", „კლივლენდი", „ჰიუსტონი", „მინესოტა", „ნიუ ორლეანი", „ვაშინგტონი" - 13,3%
8. „კლიპერსი" - 3,3%

**შარშანდელი შედეგი:** „ბრუკლინი" - 62,1%

### სეზონებს შორის პაუზის მთავარი სიურპრიზი?

1. გარიგება „ბრუკლინსა" და „ბოსტონს" შორის; ანდრე იგუოდალას გადასვლა „გოლდენ სტეიტში" - 21,4%
3. ანდრეი კირილენკოს გადასვლა „ბრუკლინში" - 14,3%
4. დუაიტ ჰოვარდის გადასვლა „ჰიუსტონში" - 10,7%
5. ჯრიუ ჰოლიდეის გადასვლა „ნიუ ორლეანში"; დოკ რივერსის გადასვლა „კლიპერსში" - 7,1%

**ასევე მოიხსენიეს:** ანდრეა ბარნიანის გადასვლა „ნიუ იორკში"; ელ ჯეფერსონის გადასვლა „შარლოტში"; ბრენდონ ჯენინგსისა და ჯოშ სმიტის გადასვლა „დეტროიტში". ჯორჯ კარლის განთავისუფლება.
**შარშანდელი შედეგი:** სტივ ნეშის გადასვლა „ლეიკერსში" - 39,3%

### ვინ გახდება 2013/14 წლების სეზონის საუკეთესო ახალგზედა?

1. ვიქტორ ოლადიპო, „ორლანდო" - 80,0%



2. კოდი ზელერი, „შარლოტი" - 10,0%

**ასევე მოიხსენიეს:** ენტონი ბენეტი, „კლივლენდი"; სი ჯეი მაკოლუმი, „პორტლენდი"; ანდრე რობერტსონი, „ოკლაჰომა"
**შარშანდელი შედეგი:** ენტონი დევისი - 76,7%

### NBA-ს საუკეთესო ლეგიონერი?

1. ტონი პარკერი, „სან ანტონიო" - 53,3%
2. მარკ გასოლი, „მემფისი" - 26,7%
3. დირკ ნოვიცკი, „დალასი" - 20,0%

**შარშანდელი შედეგი:** დირკ ნოვიცკი - 72,4%

### საუკეთესო უცხოელი, რომელიც NBA-ში არ თამაშობს?

1. ნიკოლა მიროტიჩი - 25,0%
2. რუდი ფერნანდესი, ვასილის სპანულისი - 14,3%
4. ხუან კარლოს ნავარო, დარიო შარიჩი - 10,7%
6. ენდრიუ უიგინსი - 7,1%

**ასევე მოიხსენიეს:** ფურქან ალდემირი, ბოიან ბოგდანოვიჩი, ლინას კლეიზა, ნენად კრსტიჩი, ბო მაკალები
**შარშანდელი შედეგი:** ხუან კარლოს ნავარო - 34,6%

### NBA-ს საუკეთესო დამცველი?

1. დუაიტ ჰოვარდი, „ჰიუსტონი" - 34,5%
2. ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 27,6%
3. ტონი ალენი, „მემფისი" - 13,8%
4. ანდრე იგუოდალა, „გოლდენ სტეიტი" - 6,9%

**ასევე მოიხსენიეს:** ტიმ დანკანი, „სან ანტონიო"; მარკ გასოლი, „მემფისი"; პოლ ჯორჯი, „ინდიანა"; სერჟ იბაკა, „ოკლაჰომა"; კავაი ლეონარდი, „სან ანტონიო"
**შარშანდელი შედეგი:** დუაიტ ჰოვარდი, „ჰიუსტონი" - 60,0%

### საუკეთესო დაცვის მქონე გუნდი NBA-ში?

1. „ჩიკაგო" - 43,3%
2. „ინდიანა" - 33,3%
3. „მაიამი" - 10,0%
4. „მემფისი" - 6,7%

**ასევე მოიხსენიეს:** „ოკლაჰომა", „სან ანტონიო"
**შარშანდელი შედეგი:** „ჩიკაგო" - 40,0%

### საუკეთესო მთავარი მწვრთნელი NBA-ში?

1. გრეგ პოპოვიჩი, „სან ანტონიო" - 75,9%
2. დოკ რივერსი, „კლიპერსი" - 10,3%
3. ერიკ სპოელსტრა, „მაიამი"; ტომ ტიბოდო, „ჩიკაგო" - 6,9%

**შარშანდელი შედეგი:** გრეგ პოპოვიჩი, „სან ანტონიო" - 80,0%

### საუკეთესო მწვრთნელი შეტევების ორგანიზების მხრივ?

1. გრეგ პოპოვიჩი, „სან ანტონიო" - 37,9%
2. რიკ ადელმანინ, „მინესოტა" - 20,7%
3. კევინ მაკჰეილი, „ჰიუსტონი" - 10,3%
4. მაიკ დ'ანტონი, „ლეიკერსი"; ერიკ სპოელსტრა, „მაიამი" - 6,9%

**ასევე მოიხსენიეს:** რიკ კარლაილი, „დალასი"; მარკ ჯექსონი, „გოლდენ სტეიტი"; ჯორჯ კარლი; დოკ რივერსი, „კლიპერსი"; ტომ ტიბოდო, „ჩიკაგო"
**შარშანდელი შედეგი:** ჯორჯ კარლი - 31,0%

### საუკეთესო მწვრთნელი დაცვის ორგანიზების მხრივ?

1. ტომ ტიბოდო, „ჩიკაგო" - 58,6%
2. ფრენკ ფოგელი, „ინდიანა" - 31,0%

**ასევე მოიხსენიეს:** მარკ ჯექსონი, „გოლდენ სტეიტი"; გრეგ პოპოვიჩი, „სან ანტონიო"; ერიკ სპოელსტრა, „მაიამი"
**შარშანდელი შედეგი:** ტომ ტიბოდო - 70,0%

### რომელ მოთამაშეს შეუძლია გახდეს მთავარი მწვრთნელი?

1. ჩონსი ბილაპსი, „დეტროიტი" - 32,1%
2. კრის პოლი, „კლიპერსი" - 17,9%
3. შეინ ბატიე, „მაიამი" - 14,3%
4. დერეკ ფიშერი, „ოკლაჰომა"; სტივ ნეში, „ლეიკერსი" - 7,1%

**ასევე მოიხსენიეს:** სტივ ბლეიკი, „ლეიკერსი"; მაიკ დანლივი, „ჩიკაგო"; დეანდრე ჯორდანი, „კლიპერსი"; მაიკ მილერი, „მემფისი"; ჯეისონ ტერი, „ბრუკლინი"; ირლ უოტსონი, „იუტა"
**შარშანდელი შედეგი:** ჩონსი ბილაპსი, - 20,7%

### საუკეთესო ლიდერი?

1. ტიმ დანკანი, „სან ანტონიო" - 30,0%
2. კევინ გარნეტი, „ბრუკლინი" - 23,3%
3. კრის პოლი, „კლიპერსი" - 16,7%
4. კევინ დურანტი, „ოკლაჰომა" - 10,0%

**ასევე მოიხსენიეს:** ჩონსი ბილაპსი, „დეტროიტი"; კობი ბრაიანტი, „ლეიკერსი"; დერეკ ფიშერი, „ოკლაჰომა"; ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი"; ტონი პარკერი, „სან ანტონიო"; რასელ უესტბრუკი, „ოკლაჰომა"
**შარშანდელი შედეგი:** კრის პოლი, „კლიპერსი" - 27,6%

### ყველაზე მაღალი საკალათბურთო IQ-ს მქონე მოთამაშე?

1. კრის პოლი, „კლიპერსი" - 33,3%
2. სტივ ნეში, „ლეიკერსი" - 16,7%
3. ტიმ დანკანი, „სან ანტონიო"; ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 13,3%
5. კობი ბრაიანტი, „ლეიკერსი"; რაჟონ რონდო, „ბოსტონი" - 6,7%

**ასევე მოიხსენიეს:** მარკ გასოლი, „მემფისი"; ანდრეი კირილენკო, „ბრუკლინი"; ანდრე მილერი, „დენვერი"
**შარშანდელი შედეგი:** სტივ ნეში, „ლეიკერსი" - 27,6%

### ვის მიანდობდით ბოლო წამზე გადამწყვეტ ტყორცნას?

1. კევინ დურანტი, „ოკლაჰომა" - 39,3%
2. კობი ბრაიანტი, „ლეიკერსი" - 32,1%
3. კარმელო ენტონი, „ნიუ იორკი"; ლებრონ ჯეიმსი, „მაიამი" - 7,1%

**ასევე მოიხსენიეს:** რეი ალენი, „მაიამი"; მანუ ჯინობილი, „სან ანტონიო"; დირკ ნოვიცკი, „დალასი"; კრის პოლი, „კლიპერსი"
**შარშანდელი შედეგი:** კევინ დურანტი, „ოკლაჰომა" - 46,7%

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# ინდოეთი ჩაშლის პირას

უახლოეს უქმეებზე, ინდოეთში უნდა გაიმართოს მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი, თუმცა ეს რბოლა ჩაშლის პირასაა.

ინდურმა სასამართლომ დღეს უნდა განიხილოს ეტაპის გაუქმების შესახებ სარჩელი. საქმე ისაა, რომ რბოლის ორგანიზატორებს არ გადაუხდიათ გართობის გადასახადი, რომელიც ინდოეთში მოქმედებს.

სარჩელი შეიტანა ინდოეთის გრანპრის გაუქმების აქტივისტმა **ამით ქუმარმა**. მანვე 2011 წელს დაამტკიცა, რომ ფორმულა 1 - ეს არის გართობა და არა სპორტი და შესაბამისად, ამ ღონისძიებაზე არ უნდა გავრცელდეს საგადასახადო შეღავათები. ორი წლის წინ, უმაღლესმა სასამართლომ გრანპრის ორგანიზატორები დაავალდებულა "გაეყინათ" ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხის 25 პროცენტი იქამდე, სანამ დარეგულირდება საგადასახადო დავა იმ შტატთან, რომელშიც ეტაპი ტარდება.

შეგახსენებთ, რომ ივლისში სამეფო რბოლების გენერალურმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** დაადასტურა, რომ ინდოეთის გრანპრი მომავალ სეზონში არ გაიმართება, მაგრამ დაბრუნდება 2015 წელს. ეს უკავშირდება ეტაპის გადატანას სეზონის პირველ ნახევარში.

# მასა უკვე უილიამსშია?



ფელიპე მასა

როგორც ბრაზილიური გამოცემა Diario Motorsport ამტკიცებს, ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრიტანულ საჯინიბო "უილიამსთან". უფრო მეტიც, იტყობინებიან, რომ ოფიციალურად ამის შესახებ უახლოეს დღეებში ან საათებში გამოაცხადებენ.

ჟურნალისტების ინფორმაციით, ფელიპე "უილიამსში" შეცვლის ვენესუელელ **პასტორ მალდონადოს** და თან, ამ გუნდის ბოლიდით გამოსვლისთვის თანხას არ გადაიხდის. სხვათა შორის, ფელიპე უკვე დარეგისტრირდა "უილიამსის" ოფიციალურ "ტვიტერზე" და ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ტაკი ინუე** მიიჩნევს, რომ ეს კარგი ნიშანია "ფერარის" ამჟამინდელი ნევრისთვის.

ოლიმპიზმი

# ვირჯინია სოჭში მიდის

პირველად ბოლო 30 წლის განმავლობაში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე წარმოდგენილი იქნება ეგზოტიკური ქვეყანა - ვირჯინიის კუნძულები. ეს სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე მოხდება.

დამდეგ თამაშებზე ამ მინიატიურულ სახელმწიფოს, რომელიც ბრიტანეთს ექვემდებარება, წარმოადგენს მოთხილამურე **პეტერ ადამ კრუკი**. ის ფრისტაილის სახეობაში - ჰალფ-პაიპში გამოდის. სპორტსმენმა დააგროვა საკმარისი ქულები იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიადაზე.

*"ეს ძალიან უცნაურად ჟღერს: "ზამთრის ოლიმპიური თამაშები". მაგრამ ეს სიმართლეა, ჩვენ ვაპირებთ იქ გამგზავრებას. ჩვენ გვყავს ძალიან კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპორტსმენი"*, - განაცხადა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ეფრეიმ პენმა**.

ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები - ეს არის 36 პატარა კუნძულისგან შემდგარი არქიპელაგი, რომელიც ამერიკის ვირჯინიის კუნძულებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ქვეყნის მოსახლეობაა 27 800 ადამიანი. ბოლოს, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიადაზე 1984 წელს, სარაევოში გამოდიოდნენ. იქ ქვეყანა წარმოდგენილი იყო მოციგურავე **ეროლ ფრეიზერით**.



პეტერ ადამ კრუკი

კრივი

# ოფიციალურად: ვიტალი კლიჩკო პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** საბოლოოდ დაადასტურა, რომ 2015 წელს აპირებს კენჭი იყაროს უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე. ამის შესახებ მან უმაღლესი რადას ტრიბუნიდან გამოაცხადა.

*"ვერ შემაშინებთ და ვერ შემაჩერებთ იმით, რაც ახლა პარლამენტში კანონებთან დაკავშირებით ხდება. იმისთვის, რომ ბოლო მოვუღო გაუგებრობას და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას, საბოლოოდ ვაცხადებ: ვაპირებ პრეზიდენტობაზე კენჭისყრას"*, - განაცხადა უფროსმა კლიჩკომ.

ლაპარაკია კანონში შესწორებაზე, რომლის მიხედვითაც, ის პიროვნება, რომელსაც უცხოეთში ცხოვრების უფლება აქვს, არ მიიჩნევა უკრაინის მოქალაქედ. კანონში პრეზიდენტის არჩევნების შესახებ არის ნორმა, რომლის თანახმადაც პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს უკრაინის ტერიტორიაზე 10 წლის განმავლობაში. ცნობილია, რომ კლიჩკო როგორც უკრაინაში, ასევე გერმანიაში ცხოვრობს.



ვიტალი კლიჩკო

ველოსპორტი




ტური ლიდსიდან დაიწყება

# 2014 წლის ტური ინგლისში დაიწყება

პარიზში გაიმართა ტურ დე ფრანსის 2014 წლის მარშრუტის პრეზენტაცია. მრავალდღიანი მარათონი პატივს მიაგებს პირველ მსოფლიო ომში დაღუპულებს და ბევრ იმ ქალაქსა თუ რაიონში გაივლის, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა საომარი კონფლიქტების გამო.

ველორბოლა 5 ივლისს იორკშირში (ინგლისი) დაიწყება. ინგლისის ტერიტორიაზე სამი ეტაპი ჩატარდება, მათ შორის ერთი ლონდონში. საერთოდ, ტური ბრიტანეთს მეოთხედ ეწვევა. ბოლოს ეს 2007 წელს მოხდა, როცა ერთი ეტაპი ლონდონში გაიმართა.

2014 წელს, ტურ დე ფრანზე იქნება ექვსი სამთო ეტაპი ხუთი სამთო ფინიშით. მეხუთე ეტაპზე ველომრბოლებს გარკვეული მონაკვეთი ქვაფენილზე მოძრაობა მოუწევთ. ამ მონაკვეთის სიგრძე 15 კილომეტრი იქნება. ყველაზე გრძელია მეშვიდე ეტაპი, რომლის სიგრძეა 233 კილომეტრი.

საგაისო მარშრუტის ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის არის, რომ პირველად 1950 წლის შემდეგ, ველომარათონში იქნება მხოლოდ ერთი დროზე განცალკევებით რბოლა – მე-20 ეტაპი, რომლის სიგრძეა 54 კილომეტრი.

ალპებში მხოლოდ ორი სამთო ეტაპი გაიმართება. მე-17 და მე-18 ეტაპებზე პელოტონი ავა სენ-ლარი-სულანისა და ოტაკამის მწვერვალებზე, რომლებიც პირენეების მთებში მდებარეობს. 2014 წლის ტურის ყველაზე მაღალი წერტილია კოლ დ'იზოარი (2360 მეტრი).

ტურ დე ფრანსი ტრადიციულად პარიზში დასრულდება (27 ივლისს).

ამბები

კალათბურთი

## კლივლენდი ახალგაზრდებს იტოვებს

როგორც Yahoo! Sports-ის მიმომხილველი **მარკ სპირსი** წერს, "კლივლენდი" გამოიყენებს ოთხი კალათბურთელის კონტრაქტში არსებულ პუნქტს და მათ 2014-15 წლების სეზონისთვის ხელშეკრულებებს გაუგრძელებს. ეს კალათბურთელები არიან: **კაირი ირვინგი, ტრისტან ტომპსონი, დიონ უეიტერსი** და **ტაილერ ზელერი**. ისინი გუნდმა ბოლო ორი წლის დრაფტისას აიყვანა.

## ნოა სეზონს ვერ დაიწყებს?

"ჩიკაგო ბულზის" ცენტრი ჟოაკიმ ნოა არ გამორიცხავს, რომ გამოტოვებს რეგულარული ჩემპიონატის პირველ შეხვედრას "მაიამი ჰიტის" წინააღმდეგ, - წერს Chicago Tribune-ის მიმომხილველი **კეი სი ჯონსონი**. შეგახსენებთ, რომ ფრანგს საზარდულის ტრავმა აწუხებს.

როგორც ცნობილია, 2013-14 წლების სეზონი სწორედ "ბულზისა" და "ჰიტის" შეხვედრით გაიხსნება. ეს 29 ოქტომბერს მოხდება.

## ფინალის ფორმატი შეიცვალა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 2013-14 წლების სეზონის ფინალური სერია ახალი ფორმატით გაიმართება. 28 წლის განმავლობაში "2-3-2" ფორმულის გამოყენების შემდეგ, ლიგამ გადაწყვიტა "2-2-1-1-1" ფორმულაზე გადასვლა.

ახალი გრაფიკის მიხედვით, გუნდი, რომელსაც საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება, თავის მოედანზე ჩაატარებს პირველ, მეორე, მეხუთე და მეშვიდე მატჩებს. ასე რომ, ახლა, ფინალური სერია იმავე ფორმატით გაიმართება, როგორც პლეიოფის ადრეულ სტადიებზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

NBA საკონტროლო მატჩები

**ნ. ორლეანი-მაიამი 95:108**

34:28, 26:30, 22:19, 13:31

ნ-ო: გორდონი (19), დევისი (18+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), მოროუ (16), ჰოლიდეი (12+6 პასი), ანდერსონი (10).

მ: ჯეიმსი (27+4 ჩაჭრა), უეიდი (25+7 პასი+3 ჩაჭრა), ბოში (14+9 მოხსნა+7 პასი), კ. ანდერსენი (13).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 91:90**

23:20, 25:31, 22:30, 21:9

ს: ტომასი (21+6 მოხსნა), სალმონსი (14), კაზინსი (11+9 მოხსნა), პატერსონი (11+8 მოხსნა).

გ-ს: კარი (24+6 პასი+3 ჩაჭრა), ტომპსონი (16+5 მოხსნა), ბოგუტი (12+7 მოხსნა), ლი (11).

**დენვერი-ფინიქსი 79:98**

24:18, 20:21, 21:21, 14:38

დ: რენდოლფი (15+3 ჩაჭრა), მაკგი (13+6 მოხსნა), ფოიე (10+5 მოხსნა).

ფ: ბლედსოუ (21+7 მოხსნა+7 პასი), გრინი (19), მარკიფ მორისი (12+10 მოხსნა), ტაკერი (10+5 მოხსნა), გორტატი (8+13 მოხსნა), პლამლი (8+10 მოხსნა).

**ტორონტო-მემფისი 108:72**

27:14, 27:13, 32:23, 22:22

ტ: დეროზანი (21+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), გეი (15+5 მოხსნა), დეი (14), ვალანჩუნასი (10+9 მოხსნა), როსი (10), ლოური (2+5 მოხსნა+10 პასი).

მ: დევისი (11+9 მოხსნა), ლიუერი (11+5 მოხსნა), ბეილესი (10).

**ფილადელფია-მინესოტა 102:125**

26:30, 24:34, 28:32, 24:29

ფ: ანდერსონი (23+6 მოხსნა), კარტერ-უილიამსი (15+9 მოხსნა+5 ჩაჭრა), ტერნერი (11+10 მოხსნა+5 პასი), ტ. იანგი (11), ჰოიესი (10+5 მოხსნა).

მ: ლავი (19+6 მოხსნა), მარტინი (13).

**მილუოკი-ნიუ იორკი 105:95**

32:23, 24:22, 21:27, 28:23

მ: ბატლერი (24), მაიო (22+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), რიდნოური (18+11 პასი), ნილი (15).

ნ-ი: ენტონი (22+9 მოხსნა+7 პასი), ჰარდუეი. (16), ბარნიანი (13), შამპერტი (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დალასი-ატლანტა 98:88**

19:24, 28:19, 29:26, 22:19

დ: ნოვიცკი (17), ელისი (15+5 პასი), მერიონი (12+7 მოხსნა), კარტერი (12), კალდერონი (10), კრაუდერი (10), ბლეირი (6+10 მოხსნა), დალემბერი (5+11 მოხსნა).

ა: მილსაპი (21), სკოტი (19), კანინგემი (14).

**ოკლაჰომა-ჩიკაგო 95:104**

20:25, 20:26, 31:23, 24:30

ო: დურანტი (22+5 პასი), ლემბი (22), ჯექსონი (14+6 პასი), კოლისონი (12), ს. ადამსი (11+7 მოხსნა).

ჩ: როუზი (26+6 პასი), ბუზერი (20+14 მოხსნა), დენგი (20+10 მოხსნა), ბატლერი (12).

**კლიპერსი-იუტა 103:99**

21:23, 26:25, 25:27, 31:24

კ: კროუფორდი (16), გრიფინი (15+6 მოხსნა), კოლისონი (15), პოლი (14+6 მოხსნა+10 პასი), რედიკი (14).

ი: ფეივორსი (24+17 მოხსნა), გ. ჰეივორდი (19+6 მოხსნა+6 პასი), კანტერი (13+6 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (11+5 პასი), ჰობერტი (4+12 მოხსნა+5 დაფარება).

**კლივლენდი-ვაშინგტონი 82:101**

32:20, 21:21, 19:32, 10:28

კ: ირვინგი (19), ტომპსონი (17+14 მოხსნა).

ვ: ბილი (21), არიზა (19+8 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), ჰარინგტონი (17+7 მოხსნა), ბუკერი (10+7 მოხსნა).

**ბოსტონი-ბრუკლინი 101:97**

19:24, 30:20, 23:27, 29:26

ბოს: ბასი (16+9 მოხსნა), ბრედლი (16), ფავერანი (15+7 მოხსნა+6 დაფარება), უოლასი (14+5 მოხსნა+5 პასი), გრინი (12).

ბრუ: ტ. ტეილორი (15), ბლეტჩი (14+5 მოხსნა), ტელეტოვიჩი (12), რ. ევანსი (11+8 მოხსნა), ანდერსონი (11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. WTA-ის შემაჯამებელი ტურნირი

# აზარენკამ საქმე გაირთულა

სტამბოლში გაგრძელდა წლის შემაჯამებელი ტურნირი და ორი სათამაშო დღის შემდეგ გამოიკვეთნენ ფავორიტები და აუტსაიდერები.

მეორე დღის პროგრამა გახსნეს თეთრი ჯგუფის მონაწილეეებმა. პირველად გავიდა სტამბოლის კორტზე ჩინელი **ნა ლი**, რომელიც **სარა ერანის** ხვდებოდა. იტალიელმა პირველი ტურის მატჩი წააგო **ვიქტორია აზარენკასთან** და უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ფავორიტად ჩინელი ჩოგბურთელი მიიჩნეოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ლის ხუთიდან ხუთი მატჩი ჰქონდა მოგებული ერანისთვის.

ლი უკეთ შევიდა თამაშში და 3:2-ზე პირველი ბრეიკი გააკეთა, რაც დიდი ფორმა აღმოჩნდა, რადგან ერანიმ დაკარგული მოწოდების დაბრუნება ვერ შეძლო და ჩინელმა 6:3 მოიგო. მეორე პარტიის წინ, ერანიმ მწვრთნელთან დაილაპარაკა და ამან შედეგი მოიტანა, რადგან იტალიელმა 3:1 დაწინაურება მოახერხა, თუმცა ლიმ უმაღლეს დონეზე ჩაატარა სეტის შუა ნაწილი და ზედიზედ ოთხი გეიმის აღებით ძალიან მიუახლოვდა გამარჯვებას. აზიელმა მიღებაზე მატჩბოლამდეც მიაღწია, მაგრამ პრობლემები შეექმნა გათამაშებების დასკვნით ფაზაში. ერანიმ გადაარჩინა თავისი მოწოდება, შემდეგ კი მატჩზე მოწოდებისას ორჯერ გააკეთა ბრეიკი. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ნა ლის ისევ ჰქონდა წარმატებული მონაკვეთი და სამმაგი მატჩბოლი მოიპოვა. ჩინელმა თავის მოწოდებაზე ორი შანსი გაანიავა, მაგრამ მიღებაზე მეტოქე დაეხმარა უნებლიე შეცდომით – 6:3, 7:6(5). ლის უდიდესი უპირატესობა ჰქონდა "ვინერსებით" – 42:14. ამ წაგებით, სარამ პრაქტიკულად დაკარგა ჯგუფიდან გასვლის შანსი.

■ ■ ■

მეორე მატჩშიც თეთრი ჯგუფის მონაწილეები ვიხილეთ კორტზე. აზარენკა მეორე მატჩს ატარებდა ორი დღის განმავლობაში. ერანისთან მოგებულ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ბელარუსი შორს არის ოპტიმალური ფორმისგან, თუმცა **ელენა იანკოვიჩთან** დაპირისპირებაში ფავორიტად მაინც ის მიიჩნეოდა.

პირველ გეიმებში აზარენკას თამაშის დონე დაახლოებით იგივე იყო, რაც ერთი დღით ადრე. ზოგიერთ გათამაშებას ის მაღალ დონეზე ატარებდა, მაგრამ სტაბილურობამდე შორს იყო. მრავლად ვიხილეთ მარათონული გეიმები და ყოველ ჯერზე ასეთ დუელებში გამარჯვებული იანკოვიჩი გამოდიოდა. პირველი პარტიის ბოლოს ბელარუსმა გადაარჩინა ორმაგი სეტბოლი, მაგრამ მომდევნო გეიმში სერბმა სეტზე წარმატებით ჩაატარა.

ტენდენცია შენარჩუნდა მეორე სეტში. იყო ბევრი ბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში სერბი უფრო თანაბრად თამაშობდა. აზარენკამ, როგორც იქნა, მოახერხა ერთი ხანგრძლივი გეიმის მოგება, მაგრამ იმ დროისთვის უკვე ბრეიკით აგებდა. ბოლოსკენ ბელარუსს არ ჰქონდა თამაშში გარდატეხის შეტანის რეალური შანსები, რადგან ბევრ შეცდომას უშვებდა. საბოლოოდ, ვიქტორიას 40 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა და 30 "ვინერსი" ჰქონდა. იანკოვიჩი უფრო აკურატულად თამაშობდა, მაგრამ ეფექტურად (14 "ვინერსი" და 13 შეცდომა). სერბმა შეძლო აზარენკასთან ოთხმატჩიანი წაგებათა სერიის შეწყვეტა – 6:4, 6:3.

თეთრ ჯგუფში ორი დღის შემდეგ, ფორმალურ ლიდერად აზარენკა მიიჩნევა, რომელსაც ნა ლისა და იანკოვიჩზე ერთით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. რეალურად კი ბელარუსის მდგომარეობა გართულდა და ახლა, ბევრი რამ ნა ლისთან მის მატჩში გადაწყდება.

■ ■ ■

ზედიზედ მეორე მატჩში დაადასტურა კარგი მომზადება **სერენა უილიამსმა**, რომელმაც ორ დღეში მეორე მატჩი მოიგო, მისმა მეტოქემ **აგნიეშკა რადვანსკამ** კი უკვე ორი შეხვედრის წაგება მოასწრო.

სერენასთვის პოლონელი ყოველთვის მოსახერხებელი მეტოქე იყო – შვიდიდან შვიდი მატჩი ჰქონდა მისთვის მოგებული და ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია. ამერიკელს პრობლემა მხოლოდ მატჩის დებიუტში შეექმნა, როცა პირველ გეიმში ხუთი წუთი იცავდა თავს საკუთარ მოწოდებაზე, ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და მაინც დაწინაურდა, რის შემდეგაც საქმეები კარგად წავიდა. ამერიკელმა მალე მოიპოვა სამგეიმიანი უპირატესობა და რადვანსკამ ვერაფერი მოახერხა.

მეორე პარტიაში პოლონელმა უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელს, მაგრამ ისევ უჭირდა ბრეიკ-პოინტების გამოყენება. 2:1-ზე სერენამ გაქცევის საშუალება მიიღო და შანსი ხელიდან არ გაუშვა. თუმცა რადვანსკამ შეძლო პასუხის გაცემა, როცა ისარგებლა ამერიკელის ჩავარდნით და პირველი ბრეიკი აილო მატჩში. თანაფარდობა მეათე გეიმამდე შენარჩუნდა, როცა ტურნირის ფავორიტმა ბოლო სპურტი განახორციელა, აგნიეშკას გეიმი აილო და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

**თეთრი ჯგუფი**

**ნა ლი (ჩინ, 4)**-სარა ერანი (იტა, 6) 6:3, 7:6(5); **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2) 6:4, 6:3.

**წითელი ჯგუფი**

**სერენა უილიამსი (აშშ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:2, 6:4.



ვიქტორია აზარენკა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| სუონსი-ყუბანი | 1:1 |
| ვალენსია-სტ. გალენი | 5:1 |
| ჩერნომორეცი-ლუდოგორეცი | 0:1 |
| დინამო (ზ)-ეინდჰოვენი | 0:0 |
| ელფსბორგი-ესბერგი | 1:2 |
| ზალცბურგი-სტანდარდი | 2:1 |
| უიგანი-რუბინი | 1:1 |
| ვარეგემი-მარიბორი | 1:3 |
| ფიორენტინა-პანდური | 3:0 |
| ფერეირა-დნიპრო | 0:2 |
| ბორდო-აპოელ | 2:1 |
| აინტრახტი-მაკაბი | 2:0 |
| დინამო (კ)-თუნი | 3:0 |
| გენკი-რაპიდი | 1:1 |
| ფრაიბურგი-ეშტორილი | 1:1 |
| ლიბერეცი-სევილია | 1:1 |
| ლიონი-რიეკა | 1:0 |
| ბეტისი-გიმარაეში | 1:0 |
| აპოლონი-ლაციო | 0:0 |
| ტრაბზონი-ლეგია | 2:0 |
| ანჟი-ტრომსიო | 1:0 |
| შერიფი-ტოტენჰემი | 0:2 |
| შახტიორი (ყ)-ალკმაარი | 1:1 |
| პაოკ-მაკაბი (ჰ) | 3:2 |

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| უზბეკეთი-ხორვატია | 2:1 |
| მაროკო-პანამა | 4:2 |
| ვენესუელა-რუსეთი | 0:4 |
| იაპონია-ტუნისი | 2:1 |

**ევრო 2014**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| შვედეთი-იტალია | 0:3 |
| ლიტვა-უკრაინა | 1:1 |
| ჩეხეთი-ლიხტენშტაინი | 3:0 |
| ისრაელი-საფრანგეთი | 2:2 |
| ინგლისი-სომხეთი | 4:0 |
| ირლანდია-გიბრალტარი | 4:1 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰვიდოვრე-ჰობრო | 1:1 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვარდ ჰაუგესუნდი-სტაბეკი | 3:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პოდბესკიძიე-რუხი | 0:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ლ. რიტასი | 68:53 |
| მაკაბი-ცრ. ზვეზდა | 96:82 |
| მილანი-ჟალგირისი | 82:75 |
| გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 67:78 |
| რეალი-ბამბერგი | 98:58 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ვიტიაზი | 3:2 (ო) |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ტონსბერგი | 8:2 |
| სტავანგერი-სტორჰამარი | 4:0 |
| ფრისკ ასკერი-სტიერნენი | 2:1 (ო) |
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 6:3 |
| სპარტა-ლორენსკოგი | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ლუგანო | 3:6 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-მოდო | 0:1 |
| ვეძსიო-ლულეა | 1:4 |
| ლინჩოპინგი-ლეკსანდი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| პოსპიშილი-კარლოვიჩი | 6:3, 6:4 |
| როჯე ვასელენი-კამკე | 7:5, 6:3 |
| კუბოტი-ბრანდსი | 2:6, 4:6 |
| მატიო-ლოდრა | 6:4, 6:3 |
| დელ პოტრო-ბალდატისი | 6:1, 6:2 |
| დიმიტროვი-დოლგოპოლოი | 6:3, 6:2 |

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| ფალა-ნიემინენი | 2:6, 3:6 |
| შარდი-ისნერი | 7:6, 6:3 |
| იუჟნი-კოლშრაიბერი | 6:4, 6:3 |
| სოუზა-იანოვიჩი | 2:6, 5:7 |
| ფერერი-ბენეტო | 6:2, 6:1 |
| ალმაგრო-პრისიეჟნი | 6:4, 7:5 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-იანკოვიჩი | 6:3, 2:6, 6:3 |
| ა. რადვანსკა-კერბერი | 2:6, 2:6 |
| ს. უილიამსი-კვიტოვა | 6:2, 6:3 |

TV პროგრამა

**25 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ტრაბზონი-ლეგია.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლიბერეცი-სევილია.
14:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფერეირა-დნიპრო.
16:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 არგენტინის ჩემპიონატის მიმოხილვა
19:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფიორენტინა-პანდური.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:05 არგენტინის ჩემპიონატი . XIII ტური. ნიუელსი-გოდოი (LIVE).
01:15 არგენტინის ჩემპიონატი . XIII ტური. ბოკა-კოლონი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ცსკა-მანჩესტერ სიტი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. ჩემპიონის გზა. სან ანტონიო-მაიამი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-ბარსელონა (LIVE).
23:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. VIII ტური. ბრაგა-აკადემიკა (LIVE).
01:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 16 | (უნალექოდ) |
| ქუთაისი | 12 | 21 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 10 | 20 | (მზე) |
| ზუგდიდი | 8 | 20 | (მზე) |
| გორი | 7 | 18 | (მზე) |
| თელავი | 7 | 14 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 6 | 13 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 0 | 8 | (მცირე თოვლი) |
| ბორჯომი | 6 | 14 | (მზე) |
| მესტია | 2 | 15 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3021 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6682 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6983 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2688 |

ამბები

## სერენას 10 მილიონი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა**, რომელმაც წლის შემაჯამებელ ტურნირზე უკვე ორ გამარჯვებას მიაღწია, სეზონში მოპოვებული საპრიზო თანხის მიხედვით 10 მილიონ დოლარს გადააჭარბა. იმ შემთხვევაში, თუ 32 წლის სერენა სტამბოლში წაუგებლად აიღებს მთავარ პრიზს, მაშინ მისი სეზონური ჰონორარი 12 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ქალებს შორის ერთ სეზონში მოპოვებული საპრიზო თანხის მიხედვით რეკორდსმენი **ვიქტორია აზარენკა** იყო, რომელმაც 2012 წელს 7 923 920 დოლარი გამოიმუშავა.

შეგახსენებთ, რომ წელს უილიამსი გახდა პირველი ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც კარიერაში 50 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო.

## სოფიას ტურნირი დაკომპლექტდა

ცნობილია ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გასამართი ტურნირის ყველა მონაწილე. ამ შეჯიბრებას მეორენაირად WTA-ის წლის "მცირე" შემაჯამებელ ჩემპიონატს უწოდებენ.

რვა მონაწილისგან ოთხი WTA-ს რეიტინგის ტოპ-ოცეულს წარმოადგენს: **სიმონა ჰალეპი** (რუმინეთი, მე-14 ჩოგანი), **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი, 16), **მარია კირილენკო** (რუსეთი, 18), **სამანტა სტოსური** (ავსტრალია, 19), **ელენა ვესნინა** (რუსეთი, 25), **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი, 26), **ალიზ კორნე** (საფრანგეთი, 27), **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი, 118).

ისევე, როგორც სტამბოლში მიმდინარე წლის შემაჯამებელ ტურნირზე, აქაც მონაწილეები ორ ჯგუფად იქნებიან დაყოფილნი. ისინი ქვეჯგუფებში წრიული სისტემით ითამაშებენ და ნახევარფინალისტებს გამოავლენენ.

## შარაპოვას სამეულიდან ამოაგდებენ

28 ოქტომბერს უნდა გამოქვეყნდეს WTA-ს ახალი რეიტინგი, რომლის მიხედვითაც მესამე ადგილს დაკარგავს რუსი **მარია შარაპოვა**. მას გაუსწრებს პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**, რომელიც ახლა მეოთხე პოზიციაზე იმყოფება. ამისთვის რადვანსკას უბრალოდ მონაწილეობა სჭირდებოდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე.

თუმცა წლის საბოლოო რეიტინგში პოლონელმა, შესაძლოა, ვერ შეინარჩუნოს ეს მესამე ადგილი, რადგან მისი გასწრების შანსი აქვს ჩინელ **ნა ლის**.

## ბერდიხი ლონდონში მიდის

ცნობილია ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე. მას შემდეგ, რაც ამ კვირას ბაზელში მიმდინარე ტურნირის მეორე წრეში ვერ გავიდნენ შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა** და ფრანგი **რიშარ გასკე**, "საჩემპიონო რბოლის" კლასიფიკაციაში მიუღწეველი გახდა ჩეხი **ტომაშ ბერდიხი**.

თავად ბერდიხმა ასევე პირველი წრიდან დატოვა შვეიცარიის ტურნირი, როცა **ივო კარლოვიჩთან** დამარცხდა ორ სეტში.

აღსანიშნავია, რომ ბერდიხმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ლონდონში გამოსვლა გაინაღდეს **რაფაელ ნადალმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა, დავიდ ფერერმა, ხუან მარტინ დელ პოტრომ** და **ენდი მარეიმ**, თუმცა ეს უკანასკნელი, ტრავმის გამო არ ითამაშებს ლონდონში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-ოტავა 1:6**

1:3, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 გრიბა-1 (ზიბანეჯადი-1, კონდრა-3), 0:2 სპეცა-6 (კ. ფილიპსი-3, ე. კარლსონი-5), 0:3 რაიანი-5 (კორვო-4, ტარისი-6), 1:3 ბერტუცი-3 (ზეტერბერგი-6, კრონვალი-6), 1:4 სპეცა-7 (ე. კარლსონი-6, მეტოტი-2), 1:5 კოუენი-2 (ზ. სმიტი-1), 1:6 რაიანი-6 (მაკარტური-5, ტარისი-7).

**ბაფალო-ბოსტონი 2:5**

0:1, 2:2, 0:2

გოლები: 0:1 ლუჩიჩი-4 (იგინლა-3, კრეიჩი-6), 0:2 ლუჩიჩი-5 (იგინლა-4), 1:2 ჰოჯსონი-3 (ვანეკი-4, ფოლინო-1), 1:3 ჰემილტონი- (მარჩანდი-2, სოდერბერგი-2), 2:3 ზადოროვი-1 (ოტი-2, ფოლინო-2), 2:4 კრუგი-2 (რ. სმიტი-5, სოდერბერგი-3), 2:5 კრუგი-3 (კრეიჩი-7, ლუჩიჩი-4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელაშვილის ჩემპიონობაზე კი შეაგდებდა კაცი ლარიანს

ყოველდღიურად ყვითელ სამარშრუტო ტაქსიში საფეხბურთო მატჩის დროს ვატარებ: სახლიდან სამსახურამდე ერთი ტაიმი (45 წუთი), უკანა გზაზეც ამდენივე და ჯამში 90 წუთი გამოდის... მსაჯის მიერ წამატებული დრო ხშირად ხუთ წუთზე მეტხანს გრძელდება - „მარშრუტები“ სალამოობით ისე ივსება, საქართველო-გერმანიის 1995 წლის მატჩს გაგახსენებთ და არ მიჩერებენ.

სამშაბათს მორიგი შეხვედრისთვის ყვითელში ჩავჯექი. გაზეთი მოვიმარჯვე და იმ გვერდზე გადავშალე, ჩემპიონთა ლიგის წინათქმა რომ ეწერა. ღამით „მილანსა“ და „ბარსელონას“ უნდა ეთამაშათ. გაზეთი ორიოდე წუთში დავხურე, რადგან მარცხენა ყურში „დინამიკი“ ჩამყვიროდა - ნუ დაიდარდებო. არადა, როგორ არ უნდა დაიდარდო, როცა ბოლო ხმაზე უსმენ: „სიყვარულმა დაურეკა სევდას“... მარჯვნიდან კი ახალგაზრდა კაცმა ტელეფონით 45 წუთში ხუთგან დარეკა და ხუთივე შემთხვევაში შესავალი იმდენად მსგავსი იყო, რომ მეორე ზარის შემდეგ ვიცოდი, რას ეტყოდა თანამოსაუბრეს:

- დღეს ლიგაა, გადახედე წყვილებს? მერე რას ფიქრობ?

...და ყოველი დარეკვისას თავიდან ბოლომდე იხილავდა რვავე თამაშს:

- კი ამბობ, „ბარსა“ მაინც „ბარსააო“, მაგრამ გავიწყდება, რომ შაბათს კლასიკო აქვს სათამაშო? ხომ შეიძლება „რეალისთვის“ ძალები გამოიზოგოს და მილანში წააგოს?!

- როგორ? „მილანი“ არაა „ბარსელონას“ მომგები? კაი, ან ერთიანს ავილებ,




ან - ორიანს.

- „სელტიკი“-“აიაქსი“ ტაიმბოლია? ჰოლანდიელები მოიგებენ? მეც ზუსტად ასე ვფიქრობ.

- აბა, მითხარი, ყველაზე ნალდი რომელი თამაშია.

- „პორტუ“-“ზენიტი“? ვითომ, ფორიანიცაა?

- წელან ვოვას ველაპარაკე, მითხრა „ჩელსი“ იგრუზებაო. შენც ფიქრობ, რომ ჩელსელები ვერ მოიგებენ? მაშინ, 1/X-ს ავილებ. „არსენალი“-“ბორუსიას“ „აძინიქსსაც“ მივაბამ და მოვიგებ. ეგ უეჭველია, არსენალელები ინგლისში ყველაფერს ანადგურებენ.

ჩემმა მარჯვენა მეზობელმა კიდევ ორი თამაში ახსენა: „სტიაუა“-“ბაზელი“ და „აუსტრია“-“ატლეტიკო“, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, ყურმილს მიღმიდან რა უთხრეს და არც ის მახსოვს, რა გადაწყვიტა ამ ორ შეხვედრაზე.

კიდევ კარგი, სალამო იყო და სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოსულს სასიამოვნო ჰაერმა დამკრა (გაზეთი განგებ დავტოვე სკამზე, იქნებ, ისიც რამეში გამოადგეს მეზობელს-მეთქი). უკვე ცივ გონებაზე გავაანალიზე ქართული მუსიკის ფონზე მოსმენილი საფეხბურთო წინათქმა. მოკლედ, დასკვნა ასეთია:

„არსენალი“-“ბორუსია“ - 1/X (უეჭველი)
„პორტუ“-“ზენიტი“ - 1
„შალკე“-“ჩელსი“ - 1/X
„სელტიკი“-“აიაქსი“ - 2
„მილანი“-“ბარსელონა“ - 1/2

ისლა დამრჩენოდა, დაველოდებოდი 22:45 საათს და მეყურებინა, როგორ გამართლდებოდა ექვსი ექსპერტის დიაგნოზი. ამასობაში, სამსახურში მისულს ერთი „მსუყე კუში“ დამხვდა: ერთ-ერთ ქართულ ტოტალიზატორს საკუთარ პროგრამაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები შეუტანია. გიორგი მარგველაშვილის მოგებაზე ლარის დადების შემთხვევაში 1.10-ს მოიგებ, დავით ბაქრაძის გამარჯვება - 7.0, ნინო ბურჯანაძის - 10.0, გიორგი თარგამაძის - 1000.0, შალვა ნათელაშვილის - 1500.0, სხვა კანდიდატის - 2000.0.

დადგა ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვის დრო: მარგველაშვილის ფორიანი მოგება... დავით ბაქრაძის ტაიმბოლი (პირველ ტურში წაგება, მეორეში გამარჯვება)... ისე, კი შეაგდებდა კაცი ნათელაშვილის ჩემპიონობაზე ლარიანს... ზოგის აზრით, ხომ ყველა მატჩს ტოტალიზატორები აკონტროლებენ და რატომ არ შეიძლება 15000-იანი კუში ამოაგდონ?!

მოკლედ, პოლიტიკური საჩემპიონო თამაში (არჩევნები) 27 ოქტომბერს გაიმართება და მანამდე ფიქრის დრო კიდევ არის, სამშაბათს კი „მარშრუტკელი“ მეზობლის ნოსტრადამუსობა „დადასტურდა“: ხუთივე თამაში მის საწინააღმდეგოდ დამთავრდა - მოიგეს „ბორუსიამ“ (უეჭველი რომ იყო), „ჩელსიმ“, „ზენიტმა“ „სელტიკმა“, ხოლო „მილანი“-“ბარსა“ 1/2-ის ნაცვლად ფრედ დამთავრდა.

● კალათბურთი. მიხეილ ქორქიას გახსენება

## ეს შენი საუკეთესო თამაში იყოო

- *ოლიმპიური ჩემპიონის მიხეილ ქორქიას დებიუტი საკავშირო ნაკრებში 45 წლის წინათ შედგა. საინტერესოა, რომ სწორედ ამის შემდეგ ითამაშა პირველი შეხვედრა თბილისის „დინამოში“. დებიუტანტ ქორქიას კაუნასის „ჟალგირისის“ წინააღმდეგ მოუწია მოედანზე გასვლამ. თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო და 18 ქულა ჩააგდო. მომდევნო დღეს იმავე ლიტველებთან 24 ქულა მიითვალა,* - გაიხსენა გუშინ ჟურნალისტმა **გოჩა კაჭარავამ** ტოტალიზატორ „ლიდერბეთის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელიც ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის 65 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ღონისძიება მიჰყავდათ ტელეკომპანია GMG-ის გენერალურ მენეჯერ **ბიძინა ბარათაშვილსა** და ვეტერან კალათბურთელ **პაატა გურასპაულს**. ბატონმა პაატამ 1972 წლის ოლიმპიადის ფინალის ამბავი მოიგონა:

- *ამერიკასთან მატჩისას მიხეილ ქორქია და დუაით ჯონსი ჩხუბისთვის მოედნიდან გააძევეს. ლეგენდარული ქართველი კალათბურთელი მიყვებოდა, რომ იმ ეპიზოდის შემდეგ იგი მივიდა მთავარ მწვრთნელ კონდრაშინთან და მოუბოდიშა - გუნდი დავალალატეო. მწვრთნელს დაუმშვიდებია: ეს იყო კარიერაში შენი საუკეთესო თამაშიო. ჯონსი მაღალი დონის კალათბურთელი იყო და ოლიმპიადაზე უხვქულიანობითაც გამოირჩეოდა. მისი გამოკლება კი ძალიან დაეხმარა სსრკ-ის ნაკრებს ჩემპიონობის მოპოვებაში.*

- *მოგეხსენებათ, მიხეილ ქორქია საფეხბურთო „ტორპედოს“ პრეზიდენტი იყო. სწორედ მაშინ მოიპოვა იმერულმა კლუბმა ზედიზედ სამჯერ ქვეყნის ჩემპიონობა. ქუთაისში დიდი გუნდი რომ შენდებოდა, დავით ყიფიანს შეთავაზება მოსკოვის „დინამოდან“ ჰქონდა, მაგრამ... ერთ დღესაც მითხრა: ქუთაისის „ტორპედოში“ მივდივარ, მიხეილ ქორქიამ მთხოვა და უარს როგორ ვეტყვიო,* - ეს ამბავი ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **გია გორგოძემ** გაიხსენა.

ბოლოს სიტყვა ლეგენდარული გვარის წარმომადგენელ ვეტერან კალათბურთელ **ნოდარ ქორქიას** ერგო:

- *1973 წელს მაშინდელ ლენინგრადში ჰოკეის მოედანზე ვთამაშობდით. მატჩის წინ, მე და მიშა ქორქია ბარიერებთან ვიდექით, როცა ალექსანდრე გომელსკიმ გამოიარა და მიშას გამოელაპარაკა. რაზე ისაუბრეს, ვერ გავიგონე, მაგრამ ბოლოს გომელსკიმ უთხრა - გაბრაზებით ნუ მელაპარაკები, მოვა დრო, ნაკრებში დავინიშნებიო. მიშამ უპასუხა - როცა ეგ დრო მოვა, მე უკვე დიდი, თეთრი წვერი მექნებაო. მას მერე ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ ალექსანდრე გომელსკი საბჭოთა ნაკრებში მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და გუნდში მაშინვე მიიწვია მიხეილ ქორქია.*



● კალათბურთი. ქართველი NBA-ში. საგამოფენო მატჩი



## შინაურულად

როგორც ცნესი, ახალ გუნდთან ადაპტაციისთვის ყველა კალათბურთელს სჭირდება გარკვეული დრო. ეს არ ეხება **ზაზა ფაჩულიას**, რომელიც ამ სეზონის წინ „ატლანტადან“ „მილუოკიში“ გადავიდა. ვინც „ნიუ იორკთან“ ზაზას თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ იგი ისევე შინაურულად გრძნობს თავს ახალ გუნდში, როგორც მილუოკელთა ყველაზე სტაჟიანი წევრი.

ფაჩულიამ მართალია, მხოლოდ მეორე თამაში ჩაატარა, მაგრამ გუნდის სისტემას კარგად მოერგო - დაცვაშიც საიმედოა, შეტევაში ბევრი ცენტრისგან განსხვავებით კომბინაციურ თამაშში აქტიურად მონაწილეობს და ამიტომაც იყო, „ნიუ იორკთან“ ერთბაშად 5 შედეგიანი გადაცემა რომ მიითვალა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის ოფიციალურად გახსნის შემდეგ ფაჩულიას როლი გუნდში კიდევ უფრო გაიზრდება. მანამდე ერთი საკონტროლო თამაშია - 25 ოქტომბერს „ტორონტოსთან“.

**მილუოკი-ნიუ იორკი 105:95**

**ზაზა ფაჩულია:** 21 წუთი, 7 ქულა (3/1 ორქულიანი, 9/5 საჯარიმო), 9 მოხსნა, 5 პასი, 1 ფოლი

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 6:15 | 12-15 | სენდერსი შეცვალა |
| 5:54 | 13-17 | პასი: 1 (ჰენსონი 2ქ) |
| 5:01 | 13-20 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ) |
| 4:43 | 13:20 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 4:24 | 15-20 | ფოლი: 1 |
| 3:25 | 15-21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 2:24 | 17-23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 2:23 | 17-25 | საჯარიმოები: 2/2 (3ქ) |
| 1:58 | 19-27 | პასი: 2 (ჰენსონი 2ქ) |
| 1:15 | 21-27 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 1:07 | 21-30 | პასი: 3 (ვოლტერსი 2ქ) |
| 0:56 | 21-30 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 0:34 | 21-32 | ორქულიანი: 5ქ |
| 0:34 | 21-32 | საჯარიმო: 1/1 (არაზუსტი) |
| 0:01 | 23-32 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 0:01 | 23-32 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| **II პერიოდი** | | |
| 4:41 | 37-38 | სენდერსი შეცვალა |
| 3:58 | 39-40 | პასი: 4 (ვოლტერსი 2ქ) |
| 2:43 | 39-44 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 2:43 | 39-45 | საჯარიმოები: 2/1 (6ქ) |
| **III პერიოდი** | | |
| 3:48 | 58-74 | ბატლერი შეცვალა |
| 0:57 | 66-77 | საჯარიმოები: 2/1 (7ქ) |
| **IV პერიოდი** | | |
| 10:34 | 76-80 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 10:11 | 76-80 | მოხსნა: შეტ-4, დაც-5 |
| 7:22 | 82-87 | პასი: 5 (მაიო 2ქ) |
| 5:41 | 87-89 | სენდერსმა შეცვალა |

● ქართველი ევროლიგაზე

## მარცხი ჩემპიონებთან

**მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ“ ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლა და 67:78 დამარცხდა. იყო მომენტი, „გალა“ 15 ქულით აგებდა, მაგრამ ეს სხვაობა აღმოფხვრა. გადამწყვეტი ბოლო წუთები გამოდგა, როცა „ოლიმპიაკოსის“ კალათბურთელებმა სამქულიანს სამქულიანი მიაყოლეს და შინ გამარჯვებულები გაბრუნდნენ.

მარკოიშვილმა 24 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი მიითვალა. მასზე 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608